ბურჯაანში კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს A2

საქართველოს არშემდგარი დემოკრატია და მისი მიზეზები A8

„საოჯახო ტოტო„ B5-B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წელი. №86 (635)

ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

"განხეთქილების ვაშლიდან" ფინანსურ "გაჯანსაღებამდე"

მომავალ კვირას ხელისუფლებაში სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხზე იმსჯელებენ. საგულისხმოა, რომ თავის დროზე კანონპროექტი "საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზების შესახებ" პარლამენტსა და მთავრობას შორის "განხეთქილების ვაშლად" იქცა. უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ განსახილველად წარდგენილი პროექტი რამდენიმეჯერ დაიწუნა და მის ავტორებს უკან დაუბრუნა.

A4

უცხოეთი

ერაყი: ამბოხების ერთი კვირა

ერაყში ამბოხების დაწყებიდან უკვე კვირაზე მეტი გავიდა. შიიტების ლიდერის მოქთად ალ-სადრის მიერ დაწყებულ ბრძოლას სუნიტი პარტიზანებიც შეუერთდნენ, რამაც ბრძოლების მასშტაბი საგრძნობლად გაზარდა და თითქმის მთელი ერაყი მოიცვა. შვიდდღიანმა ბრძოლებმა 50-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცის და 900-მდე ერაყელის სიცოცხლე შეიწირა.

A5

საზოგადოება

ჩვენი მრავალბინიანი სახლების მოვლა-პატრონობა ჩვენვე გვეკითხება

თბილისის საბინაო ფონდის უდიდეს ნაწილს მრავალბინიანი სახლები წარმოადგენს. ყველა ხედავს, რომ მათი ტექნიკური მდგომარეობა და ესთეტიკური სახე დღითიდღე უარესდება, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მასშტაბური ნაბიჯები არ იდგმება. არადა, ჩვენი კანონმდებლობა გვკარნახობს ერთადერთ გამოსავალს - ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბებას; ეს ის სუბიექტებია, რომლებმაც უნდა მართონ მრავალბინიანი სახლები თავისი ეზოებითურთ ან მიმდებარე ტერიტორიით.

A6

სამართალი

დაღესტნიდან გატაცებული ჰოლანდიელი თითქმის ორი წლის შემდეგ გაათავისუფლეს

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის "ექიმები საზღვრებს გარეშე" თანამშრომელი ჰოლანდიელი არიან ერკელი, რომელიც ჩეჩნეთის მახლობლად ორი წლის წინ გაიტაცეს, რამდენიმე თვიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ, კვირას პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გაათავისუფლეს. ამჟამად იგი უკვე მოსკოვშია გადაყვანილი.

A7

ამინდი

თბილისი	26	☀
ქუთაისი	28	☀
ბათუმი	27	☀
სოხუმი	25	⛅
ფოთი	28	☀
თელავი	24	☀
ზუგდიდი	28	☀
გორი	24	☀
ახმეტა	25	☀
ჭიათურა	25	☀
გაგრა	23	☁
სამტრედია	28	☀

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.0000
ევრო	2.4363
გირვანქა სტერლ.	3.6840
რუბლი	0.0701

აჭარის განტოლება

ნიკა იმნაიშვილი

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება თენგიზ ასანიძის სატუსაღოდან გამოშვების შესახებ პირველი შემთხვევაა მთელი ამ წლების განმავლობაში, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩვენი ქვეყნისათვის არა მხოლოდ პოლიტიკურად სასიკეთო, არამედ ხელშესახები შედეგით დასრულდა.

თავისთავად, რა თქმა უნდა, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და არანაკლებ საინტერესოა, რომ ეს მოვლენა დაემთხვა აჭარასთან დაკავშირებით ახალი ხელისუფლების ძალისხმევას.

ასლან აბაშიძის სრულიად გაუგებარი კომენტარი სტრასბურგის ვერდიქტთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ცხადყოფს: აჭარის ლიდერს, ჯერჯერობით, არა აქვს გამომუშავებული არანაირი სტრატეგია იმ მდგომარეობიდან გამოსასვლელად, რომელშიც თავი თავად ჩაიყენა: სპექტაკლი ასანიძის მანქანებით გამოყვანისა და თბილისში სასწრაფოდ მისი გადაფრენის ორგანიზებით მხოლოდ აძლიერებდა საინფორმაციო წნეხს, რომელსაც აჭარის ხელისუფლება (ესეც ცხადია) ვერ უძლებს და ვერც გაუძლებს, სანამ თამაშის შესაბამის წესებს არ აღიარებს.

აქ საუბარია არა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ თამაშის წესებზე, არამედ, მთლიანად, ახალ სისტემაზე, რაც რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდა. მედია სივრცე, რასაკვირველია, სისტემის განუყოფელი ნაწილია. კიდევ უფრო მეტი: ასლან აბაშიძემ თვითონ, საკუთარი "ტექნოლოგიით" შექმნა თენგიზ ასანიძისაგან ისეთი მონსტრი, რომლის გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებრივ წარმოსახვაში მისი ადგილი მანვე უნდა დაიკავოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ევროპული ინტეგრაცია - გზა თუ გამოსავალი ?

აბრაამი (გარმელია)
დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი

დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებაში ამ რამდენიმე თვის განმავლობაში განვითარებული მოვლენები გულგრილად ვერ დატოვებს ქვეყნის ბედით დაინტერესებულ ადამიანს. სულაც არ არის საჭირო, იყო პოლიტიკოსი, რათა დაინახო, რომ დადგა უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპი, როდესაც ქართველ ერს, ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ყველა მკვიდრს სჭირდება სრულად გაცნობიერება იმ საშიშროებისა, რაც შესაძლებელია მოჰყვეს შიდა დაპირისპირებას ამ მართლაც საბედისწერო ჟამს. საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული საგარეო და საშინაო პოლიტიკა დღეს ეფუძნება ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ გამოთქმულ ურყევ და მტკიცე ნებას და მისი რეალიზაციის შეჩერება, უბრალოდ, შეუძლებელია. საუბარია იმაზე, რომ დასახული გეგმების განხორციელება წარიმართოს რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩვენი ქვეყნის დატანჯული მოსახლეობისათვის.

გაგრძელება B1 გვერდზე


ლევან ხერხეულიძის ფოტო

მეუფე აბრაამი.

შარლატანიზმი არ ნიშნავს კონფლიქტის მოგვარებას

ირაკლი კაკაბაძე
ამერიკის სახალხო დიპლომატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში. ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი, კონფლიქტოლოგიის მაგისტრი

საქართველოში ბოლო 12 წლის მანძილზე უამრავი კონფლიქტის მომსწრენი ვართ. ზოგიერთი მათგანის მოგვარება მშვიდობიანი გზით მოხერხდა, ზოგიერთი კი დღესაც მოუგვარებლად რჩება. ამ სტატიაში მინდა, მოკლედ შევეხო ზოგიერთი იმ ადამიანის ქმედებებს, რომელთაც საკუთარი თავი კონფლიქტის მომგვარებლებად მოაქვთ და ამ დროს საერთო არაფერი აქვთ ამ დისციპლინასთან. ბოლო წლებში საკმაოდ მოდურად იქცა გამოთქმა - მე კონფლიქტოლოგი ვარ. უმეტესწილად ამას ისეთი ადამიანები ამბობენ, რომელთაც საკუთარი პროფესიონალიზმის დამადასტურებელი საბუთიც კი არ გააჩნიათ, არათუ ცოდნა. ვარდების რევოლუციამ ამ შარლატანიზმსაც, ისევე როგორც ბევრ სხვას, ბოლო უნდა მოუღოს. ისევე, როგორც სიტყვა პოლიტოლოგი, კონფლიქტოლოგიც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ადვილად მისაწებებელი ხარისხი, რომლის მეშვეობითაც შემდგომ საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანა და ისედაც დაბნეული ადამიანების კიდევ უფრო დაბნევა მოხდება.

გაგრძელება A8 გვერდზე

სომხეთის მიხაკისფერი გაზაფხული

რევაზ ბახტაძე

ერევანში სომხეთის გაერთიანებულმა ოპოზიციამ - ბლოკმა "ართარუთიუნმა" (სამართლიანობა) და ეროვნული ერთიანობის პარტიამ - პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანის ნდობის რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით მასობრივი გამოსვლები დაიწყო.

იმის მიუხედავად, რომ ერევანში შემოსასვლელი გზები ბლოკირებული იყო, გაერთიანებული ოპოზიციის მიტინგზე, დაახლოებით, 30 000 კაცმა მოიყარა თავი. "წადი, წადი!" - სკანდირებდა ხალხი.

გუშინ, დღის 12 საათამდე ოპოზიციამ ხელისუფლებას ვადა მისცა, რათა მათ კანონში "რეფერენდუმის შესახებ" ცვლილებები შეეტანათ. ოპოზიცია კოჩარიანის ნდობის რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს.

გაგრძელება A5 გვერდზე

გაერთიანებული ოპოზიციის მიტინგზე, დაახლოებით, 30 000 კაცმა მოიყარა თავი.

ცესკო კვლავ არჩევნებისთვის ემზადება

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" კი - სასამართლო პროცესისთვის

თამარ ასათიანი

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ ცესკო-ს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელს უზენაესი სასამართლო, სავარაუდოდ, დღეს განიხილავს. თუმცა, როგორც ჩვენთან საუბარში ასოციაციის თავმჯდომარემ თინათინ ხიდაშელმა განაცხადა, არ არის გამორიცხული, უზენაესმა სასამართლომ პროცესი ხვალისთვის გადადოს. ამის მიუხედავად, თინათინ ხიდაშელი იმედოვნებს, რომ სასამართლო მოსმენა სწორედ დღეს გაიმართება.

გაგრძელება A3 გვერდზე

ქუთაისის საკრებულოს ძებნილი თავმჯდომარე გამოძიებას თანამშრომლობას სთავაზობს

ბექა სისაური
ქუთაისიდან

ქუთაისის საკრებულოში მომხდარი ინციდენტისა და საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბენიძის გაუჩინარების შემდეგ 20 დღე გავიდა და მის კვალს სამართალდამცველებმა, ჯერჯერობით, ვერ მიაგნეს. გავრცელებული ინფორმაციით, ბენიძემ საქართველოს ტერიტორია უკვე დატოვა, თუმცა მასზე საერთაშორისო ძებნა ჯერ არავის გამოუცხადებია. კიდევ ერთი ინფორმაციით, ქუთაისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, სავარაუდოდ, საქართველოში უნდა იმყოფებოდეს.

გაგრძელება A7 გვერდზე

მაღალი გადასახადები + დაუცველი საზღვრები = კონტრაბანდა

თამბაქოს ბაზარზე კვლავ კონტრაბანდა ლიდერობს

სოფიკო ოხანაშვილი

კონტრაბანდის დიდი მასშტაბები, ძველი მოთამაშეები და ახალი რიცხვები - ასეთია დღესდღეობით თამბაქოს ბაზრის ზოგადი სურათი. მას შემდეგ, რაც თამბაქოს ბაზარს "ომეგას" სახით ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშე გამოეთიშა, ამ სეგმენტიდან ბიუჯეტში შესული თანხები უნდა შემცირებულიყო, მოვლენები კი საპირისპიროდ განვითარდა და, ოფიციალური მონაცემებით, ბიუჯეტში შეტანილმა თანხებმა ხუთჯერ მოიმატა. ამის უმთავრეს მიზეზად ხელისუფლების მიერ გატარებული ანტიკონტრაბანდისტული ოპერაციები სახელდება. ფაქტი სახეზეა, რომ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ეფექტური აღმოჩნდა ბიუჯეტისა და თამბაქოს ბაზარზე მოქმედი სხვა სუბიექტებისათვისაც, თუმცა, ჯერჯერობით, ისიც ფაქტია, რომ ბიზნესმენები ძველ პრობლემებზე კვლავ აქტიურად საუბრობენ და ხელისუფლებისგან უფრო რადიკალური ნაბიჯების გადადგმას ელოდებიან. მთავარ პრობლემად კვლავ მაღალი გადასახადები და კონტრაბანდის

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები
A3 პოლიტიკა
A4 ეკონომიკა
A5 უცხოეთი
A6 საზოგადოება
A7 სამართალი
A8 რეპორტაჟი

B2 რევიუ
B3 რევიუ
B4 სპორტი
B5 სპორტი
B6 გულახდილად
B7 სხვადასხვა
B8 სხვადასხვა

ცესკო კვლავ არჩევნებისთვის ემზადება

პირველი გვერდიდან

ლევან ხერხეულიძის ფოტო

თინათინ ხიდაშელი.

შეგახსენებთ, რომ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" სასამართლოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ განკარგულების გაუქმებას სთხოვს, რომლითაც ცესკო-მ ხულოსა და ქობულეთის ოლქებში საპარლამენტო არჩევნების შედეგები გააუქმა და ხელახალი არჩევნები დანიშნა. ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, ამ განკარგულებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კანონმდებლობა დაარღვია, რადგან მას არ ჰქონდა ოლქის შედეგების გაუქმების უფლება, ანუ ცესკო-ს თითოეული "პრობლემური" საარჩევნო უბნის საკითხი ცალ-ცალკე უნდა განეხილა და, შესაბამისად, შედეგებიც უბან-უბან გაეუქმებინა.

ამასთან ერთად, თინათინ ხიდაშელის თქმით, **"ცესკო-მ კანონი მაშინაც დაარღვია, როდესაც ამ ორ ოლქში ხელახალი კენჭისყრა დანიშნა, რადგან ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუკი გაუქმებული უბნების რაოდენობა მთლიანად შეადგენდა საარჩევნო უბნების ერთ მესამედს. თანაც, ხელახალი კენჭისყრა არა მხოლოდ გაუქმებულ უბნებზე, არამედ მთლიანად ქვეყანაში უნდა დანიშნულიყო".**

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" პირველად სარჩელი საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიტანა. ანალოგიური სარჩელით სასამართლოს მიმართა "აღორძინების კავშირმაც". ცესკო-ს წარმომადგენელთა თხოვნით, მოსამართლეებმა ეს ორი სარჩელი გააერთიანეს და ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ დაასკვნეს, რომ ორივე სარჩელის ავტორები არასათანადო მოსარჩელეები იყვნენ. სწორედ ამის შემდგომ მიმართეს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრებმა უზენაეს სასამართლოს.

ჯერ კიდევ გუშინ, შუადღისთვის, თინათინ ხიდაშელს სასამართლო უწყება მიღებული არ ჰქონდა. მოსამართლეებს "მოწვევა" არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ჰქონდათ გაგზავნილი. თავად ცესკო-ში კი არაფერი იცოდნენ იმის თაობაზე, როდის გაიმართებოდა სასამართლო პროცესი. კომისიის წევრები გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემით, ანუ ხულოსა და ქობულეთში არჩევნების სამზადისით იყვნენ გართულნი (გუშინ გაიმართა ცესკო-ს სხდომა, სადაც ამ ორ ოლქში გასაგზავნი საარჩევნო ბიულეტენების ფორმა დამტკიცდა. სავარაუდოდ, ახალ ბიულეტენებს აჭარაში თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი ჩაიტანს).

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ხულოსა და ქობულეთში უკვე გაემგზავრნენ სპეცჯგუფების წევრები, რომელთაც არჩევნების ორგანიზება დაევალათ. როგორც ცესკო-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, ჯგუფებმა ქობულეთსა და ხულოში უკვე ჩაიტანეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

ერთიანი ეკონომიკური საინვესტიციო გარემო – ეკონომიკის განვითარების წინაპირობა

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენლის ალექსი ალექსიშვილის შეფასებით, თუ არ მოხდა ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება, საქართველოში ეკონომიკა ვერ განვითარდება.

როგორც მან დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აუცილებელია დროულად მოგვარდეს ცენტრსა და აჭარას შორის ურთიერთობები, ვინაიდან ამით საქართველოს ეკონომიკა ძალიან ბევრს კარგავს. ალექსიშვილი ცენტრალურ ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ ყველანაირი ბერკეტი გამოიყენოს, რათა ეს პრობლემა დროულად მოგვარდეს.

ალექსიშვილის განცხადებით, მათ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო სამი თვის განმავლობაში აჭარის მიერ გადმოსარიცხი 11 მილიონიდან გადმორიცხულია მხოლოდ 3 მილიონი ლარი. მისი თქმით, ცენტრსა და აჭარას შორის არ უნდა მოხდეს ეკონომიკურ საკითხებზე ვაჭრობა.

ალექსი ალექსიშვილი ორი წლის წინ ფინანსთა მინისტრის მოადგილედ მუშაობდა და უკვე მეორე წელია, რაც ის აშშ-ში იმყოფება. ალექსიშვილი აშშ-ში ხვალ გაემგზავრება.

ინტერ-პრესი

სტამბოლში გამოფენა "უნიკერა-2004" ქართულმა დელეგაციამაც დაათვალიერა

6-11 აპრილს, თურქეთის დედაქალაქ სტამბოლში გაიმართა კერამიკის, სამზარეულოსა და აბაზანის მოწყობილობების გამოფენა "უნიკერა-2004". იგი საგამოფენო ცენტრის "Tuyap"-ის მიერ იყო ორგანიზებული. გამოფენის მონაწილე 170 კომპანიიდან 130 თურქული იყო. წარმოდგენილი იყო აშშ-ს, იტალიის, გერმანიის, ჩინეთისა და ავსტრიის კომპანიებიც.

საქართველოს დელეგაცია, რომელიც არქიტექტორებისა და მშენებლებისაგან შედგებოდა, გამოფენაში დამთვალიერებლის სტატუსით მონაწილეობდა. დელეგაციის წევრები წარმოდგენილი პროდუქციით კმაყოფილები დარჩნენ.

გამოფენის დროს ქართულ კომპანიებს გამოფენაზე წარმოდგენილ კომპანიებთან ხელშეკრულებები არ გაუფორმებიათ, თუმცა, როგორც დელეგაციის წარმომადგენლები აცხადებენ, იქ საკმაოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია იყო წარმოდგენილი. ქართველები არ გამორიცხავენ, რომ მომავალში ხელშეკრულებები გაფორმდება გამოფენაში მონაწილე კომპანიებთან.

მსგავსი გამოფენა თურქეთში მომავალი წლის 5-10 აპრილს მოეწყობა.

ინტერ-პრესი

სად გაფრინდა მერიის სამხედრო აეროდრომი და რით გვემუქრება აეროდრომყოფილი ტერიტორია

უცხოეთის ერთ-ერთი ქვეყანის ერთ-ერთ ქუჩაზე, თურმე, ქვაფენილი მოუპარავთ. ეს ფაქტი დაუყონებლივ დაფიქსირდა გინესის რეკორდების წიგნში. ოზურგეთის რაიონის სოფ. მერიაში მდებარე ყოფილ სამხედრო აეროდრომსაც, ალბათ, მსგავსი ხვედრი ელოდება. აქ, სამხედრო ტექნიკის თვალსაზრისით, რაც კარგი და ვარგისიანი იყო, ჯერ რუსმა სამხედროებმა გააყოლეს ხელს, მერე დარჩენილს ქართველები ეკვეთნენ. გაიძარცვა საწყობები, ყაზარმები, სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელი კორპუსები და ა.შ. ახლა აქ ყოველივე გულისმომკვლელად გამოიყურება და ომისდროინდელი სტალინგრადისა და ლენინგრადის რომელიმე ძლიერ დაბომბილ უბანს მოგვაგონებს.

ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას წლების განმავლობაში დიდი ძალისხმევა დასჭირდა მერიის აეროდრომზე რუსი სამხედროების მიერ დატოვებული ძლიერ ტოქსიკური საწვავის "მელანჟისა" და "სამინის" განეიტრალება-გატანისათვის. მანამდე კი ვიღაც ზედმეტად თავზეხელაღებულმა ქურდმა რეზერვუარების ალუმინის ხუფები მოიპარა და თავღია ჭურჭლიდან ადენილი მომშხამველი აირით მთელი სოფელი იწამლებოდა.

ამჟამად მერიის ნააეროდრომალზე დასასრულს უახლოვდება ძირითადი და სათადარიგო ასაფრენი ზოლების რკინა-ბეტონის ფილების დემონტაჟი - 2340-მეტრიანი ძირითადი და მისი ტოლი სათადარიგო ზოლი აღარ არსებობს. ამ ფილებით ბათუმ-ქობულეთისა და ფოთის გზები და მოედნები კეთილმოეწყო, ნაწილი კი შავიზღვისპირეთის საკურორტო ფეშენებელური აგარაკების მშენებლობას მოხმარდა. მცირე თანხით - 130000 ლარით, რაიონულმა და ცენტრალურმა ბიუჯეტმაც იხეირა. თუმცა, ოზურგეთში ბავშვმაც კი იცის, რომ ფილების რეალური გასაყიდი ღირებულება დაფიქსირებულზე გაცილებით მეტი იყო და ბიუჯეტიც თავის ნამდვილ წილს ვერ იღებდა.

რაც მოხდა, მოხდა, ჯოჯოხეთია მოსაგონებლად, მაგრამ მერიის სამხედრო აეროდრომის ამქვეყნიური არსებობა ჯერ კიდევ არ დასრულებულა და მოსახლეობას სერიოზულ საშიშროებას უქადის. მერიელებს სჯერათ, რომ ამ ტერიტორიაზე შენარჩუნებულია გაძლიერებული ტოქსიკური და რადიაციული ფონი, რაც საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას. ამ ცოტა ხნის წინათ კი, ჯართის მაძიებლებმა, რომლებიც მიწის ზევით და მიწის ქვევით რკინის ნარჩენებს დაეძებენ, საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი საავიაციო ჭურვი აღმოაჩინეს. თუმცა, იღბლად, ვაზიანის ტრაგედია არ განმეორდა და ჯართის მაძიებელი ერთი ოჯახი დედაწულიანად ამოწყვეტას გადაურჩა. მერიის სამხედრო აეროდრომის ტერიტორია 300 ჰექტარზეა გაშლილი და, სავარაუდოა, აქ კიდევ იყოს რუს სამხედროთა მიერ დატოვებული და ქართველებისაგან ჯერ კიდევ ვერმიგნებული რაიმე საშიშროება.

მოკლედ პრობლემა სახეზეა. მერიის აეროდრომზე ახლაც ბევრი ხალხი ტრიალებს - ჯართის მომპოვებლები, ასაფრენი ზოლების რკინა-ბეტონის ფილების დემონტაჟიორ-რეალიზატორები, მესაქონლეები, რომლებსაც ყოველ ნაბიჯზე ხიფათი ელოდებათ. ამიტომაც, გადაუდებლად საჭიროა ამ ტერიტორიაზე დეზაქტივაციის, თუნდაც, პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, რომ მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი გამოირიცხოს. ასევე, მიზანშეწონილია ტერიტორიის სრულფასოვანი დაზვერვითი დამუშავება. საავიაციო ჭურვის პოვნის ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მერიის ყოფილი სამხედრო აეროდრომიდან ჯერ ყველაფერი არ გამქრალა.

გურული გლეხი და ჩაი

მას შემდეგ, რაც გურიაში, წელიწადის ამ დროისათვის ყოვლად შეუსაბამოდ აცივდა და მოთოვა, რაიონს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით შერვაშიძე ეწვია. შერვაშიძე ახალი მთავრობის რიგით მეორე მინისტრია, რომელიც ოზურგეთს სამუშაო ვიზიტით სტუმრობდა. ფეხადი კი, ამ თვალსაზრისით, ქვეყნის მთავარი ფინანსისტი ზურაბ ნოღაიდელი გახლდათ. დავით შერვაშიძე გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში შეხვდა გურიის რაიონების ხელმძღვანელებს, მეჩაიეობის სისტემის მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს. მინისტრმა დამსწრეთ აუწყა, რომ გამოყოფილია 3 000 000 ლარი ჩაის კულტურის რეაბილიტაცია-განვითარებისათვის. ტენდერი გამოავლენს იმ საწარმოებს, რომლებიც დაფინანსდებიან და საშუალება ექნებათ, შექმნან უკეთესი პირობები ჩაის პროდუქციის დასამზადებლად.

ჩაის დარგის სუბსიდირება ამავე მოცულობის თანხებით და უკვე ნაცნობი მიზნებით, რამდენიმე წელია, ხორციელდებოდა და პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილ სუბსიდიად იყო სახელდებული, მაგრამ ამგვარი ერთჯერადი ფინანსური ინექციებით გაპარტახებამდე მისული დარგის რეანიმაციული მდგომარეობიდან გამოყვანა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. ახალ სარეაბილიტაციო პროგრამას კი, სხვა წინამორბედთაგან განსხვავებით, ბევრი დადებითი მომენტი ახლავს. როგორც ზემოთ ხსენებული შეხვედრის ერთი მონაწილემ, ანასეულის ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა, აკადემიკოსმა ვალერიან ცანავამ განაცხადა, ამ სუბსიდიების ისტორიაში პირველად დაფიქსირდა, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა გამოიჩინეს ყურადღება ჩაის მიმართ და ეს სამი მილიონი ლარი დახმარების ფონდიდან, და არა ე.წ. პრეზიდენტის ფონდიდან, გამოიყო. ამით წერტილი დაესვა უცხოური ფონდების მიერ ჩაის დარგის აბსოლუტურ იგნორირებას, რადგან ნებისმიერი პროგრამა, რომელიც ჩაის უკავშირდებოდა, წინასწარ იყო განწირული. მეორე სპეციფიკური თავისებურება ისაა, რომ ამჯერად თანხები პირდაპირ მიმართულია ჩაის რეაბილიტაციაზე - პლანტაციების აღდგენა, გადამამუშავებელი მრეწველობის ფეხზე დაყენება, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება. მნიშვნელოვანი მომენტია, რომ ამჟამად გათვალისწინებულია პლანტაციებში აზოტოვანი, ფოსფოროვანი და კალიუმოვანი სასუქების შეტანა, რასაც, 12 წელიწადია, მოკლებული იყო ნიადაგი და თანდათან იფიტებოდა. ამასთან, პროგრამის შესაბამისად, თანხების დიდი ნაწილი მიმართული იქნება პლანტაციების ნახევრად მძიმე და მძიმე გასხლვაზე, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება გატყავებული პლანტაციების გამოცოცხლება და საექსპლოატაციოდ მომზადება.

სიახლეა ისიც, რომ პროგრამის რეალზაციის ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება მონიტორინგის ჩატარება და სუბსიდიის ხარჯვის პროცესისათვის გამჭვირვალეობის მინიჭება.

სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობის მინისტრი გურიას იმ დროს ეწვია, როცა ჩაის ბუჩქები გვიანი თოვლით იყო დაფარული და ვერ იხილა მათი სავალალო მდგომარეობა. მართალია, ასობით ჰექტარზე ჩაის ბუჩქები უკვე ამოიძირკვა და მას სხვა ალტერნატიული კულტურები ჩაენაცვლა, მაგრამ გურული გლეხი მაინც ჩაის პლანტაციისაკენ იყურება იმედის თვალით; მასში ხედავს გამოსავალს კნინი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან.

თამაზ ხარაიშვილი, ოზურგეთიდან

გურჯაანში კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს

მუქარა ქურდული სამყაროს მიმართ კვლავ გრძელდება. რეგიონის ძლოვანები კი მათთან საბრძოლველად ძალას არ იშურებენ. გუშინ კახეთის სამხარეო პოლიციამ, შს გურჯაანის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად, საშიში დამნაშავე, კანონიერი ქურდი "დრელე" დააკავა. იგი გახმაურებული ყაჩაღური თავდასხმის და მანქანების გატაცების ორგანიზატორად მოიაზრება.

კახეთის რეგიონში ანტიკრიმინალური ღონისძიებები გრძელდება. ამჯერად კი შს კახეთის მთავარი სამმართველოს და გურჯაანის პოლიციის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე კიდევ ერთი, ქურდული სამყაროს ავტორიტეტი, სოფელ ვეჯინში მცხოვრები, 1971 წელს დაბადებული ბესიკ ჭანყოშვილი, მეტსახელად "დრელე" დააკავა. კრიმინალის აყვანა პოლიციამ მის საცხოვრებელ ბინაში მოახერხა. ჩხრეკის შედეგად კი ჭანყოშვილს ხელყუმბარა და გადაჭრილი სანადირო თოფი აღმოაჩნდა. როგორც რაიონის პოლიციის უფროსმა თამაზ მაჭავარიანმა განაცხადა, "დრელე" მეტადა საშიში დამნაშავე იყო: **"იგი მარტო რაიონში კი არა, რესპუბლიკაში ქმნიდა კრიმინალურ ამინდს. ამის მაგალითი არაერთი გახმაურებული დანაშაულია,"** - ამბობს მაჭავარიანი.

ბესიკ ჭანყოშვილის სახელს უკავშირდება 1992 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში ჩადენილი გახმაურებული ყაჩაღური თავდასხმა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა. იგი თანამზრახველებთან ერთად თავს დაესხა ბეჟაშვილების ოჯახს. წინააღმდეგობის გაწევისას, შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა დიასახლისი მერი ბაჟაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე მალე დააკავეს და სასამართლომ ათიწლიანი პატიმრობა მიუსაჯა, ჭანყოშვილი ვადაზე ადრე გათავისუფლდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ კი იგი უკვე ახალ საქმეში ერთვება. როგორც წინასწარი გამოძიების შედეგად ირკვევა, ჭანყოშვილი რეგიონში ავტომანქანების გამტაცებლების ერთ-ერთი ბანდის წევრი და მფარველი იყო: **"ჩვენ გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია, რომ ჭანყოშვილი ედგა სათავეში სწორედ მანქნების გამტაცებელთა ჯგუფს და შემდგომ დაზარალებულებთან "ვაზვრატის" საკითხს "აგვარებდა,"** - აცხადებს პოლიციის შეფი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის გურჯაანის განყოფილება აწარმოებს. ბესიკ ჭანყოშვილს კი დაკავების დროს პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, რადგან იგი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. როგორც გურჯაანელი ძალოვანები აცხადებენ, ანალოგიური ღონისძიებები რაიონში კვლავ გაგრძელდება, რადგან ამ ბოლო დროს გურჯაანი კრიმინალების ერთ-ერთ თავშესაფარ ადგილად იქცა. შეგახსენებთ, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში აქ უკვე არაერთი გახმაურებული მკვლელობა მოხდა, საქმეები კი პროკურატურას კვლავ გაუხსნელი აქვს.

ზვიად რუაძე, კახეთიდან

სპეცოპერაცია გურიაში

სპეცოპერაციები მთელ საქართველოში გრძელდება.

გურიის სამხარეო პოლიციამ განსაკუთრებით საშიში დანაშაულებრივი ჯგუფის მეთაური დააკავა. გურიის სამხარეო პოლიციის უფროსის ვიქტორ გობრონიძის განცხადებით, მხარის კრიმინალური პოლიციის ოპერატიულმა ჯგუფმა ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიყაურში გასული წლის 10 სექტემბერს რუსთავის N2 მკაცრი რეჟიმის კოლინიიდან გაქცეული 129 პატიმართაგან ერთ-ერთი, ოზურგეთში განსაკუთრებული სისასტიკით მოქმედი ბანდის მეთაური, ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში მცხოვრები მიხეილ ანთაძე დააკავა.

გობრონიძის თქმით, 1975 წელს დაბადებულ ანთაძეს, რომელიც სოფელ ლიხაურში, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სარდაფში იმალებოდა, 13-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. ბანდამ, რომელსაც ანთაძე ხელმძღვანელობდა, განსაკუთრებული სისასტიკით უამრავი ყაჩაღობა ჩაიდინა.

ვიქტორ გობრონიძის განცხადებით, ანთაძის თბილისში ტრანსპორტირება უახლოეს დღეებში განხორციელდება, მანამდე კი გურული ძალოვნები გამოიკვლევენ გაქცევაში მყოფი ანთაძის სხვა შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებს.

ინტერ-პრესი

"წალკაში კონფლიქტი არ მომხდარა"

"ჩვენი აჭარის" პრესმდივნის გელა ვასაძის ინფორმაციით, სააღდგომოდ წალკაში ჩასახლებულ აჭარლებს და ადგილობრივ ბერძნებს შორის არანაირ კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით მცირე შელაპარაკებას, რომელიც სოფელ ხარაბას მართლმადიდებლური ეკლესიის ეზოში მოხდა. წალკის გამგებლის მიხეილ ცქიტიშვილის თქმით, წალკა-მანგლისის ეპისკოპოსის, მეუფე ანანიას მიერ გაგზავნილი მამა გიორგი ხარაბას ეკლესიაში ოთხ აჭარელს ქრისტიანულად ნათლავდა. უკვე მონათლულებსა და სხვა აჭარლებს შორის შეკამათება მოხდა, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა.

ცქიტიშვილის თქმით, წალკის ყველა სოფელში სიმშვიდეა, აჭარლები და ბერძნები დღეს ერთად აწესრიგებენ საფლავებს. გელა ვასაძე აცხადებს, რომ მათი ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის კობა ხაბაზის განცხადება იმის თაობაზე, რომ ასლან აბაშიძე დაინტერესებულია ქვეყნის სხვა რეგიონებში სიტუაციის დაძაბვით, ზოგადი მოსაზრებაა და ის არანაირად არ უკავშირდება წალკაში მცირე ინციდენტს.

ინტერ-პრესი

საფინანსო პოლიცია კონტრაბანდული ტვირთების გაცილებაში სამართალდამცველებს ადანაშაულებს

საფინანსო პოლიციის თანამშრომლები კონტრაბანდული ტვირთების გაცილებაში სამართალდამცველებს ადანაშაულებენ. საფინანსო პოლიციის მეოთხე ქვეგანყოფილების ხელმძღვანელების მტკიცებით, ცხინვალიდან მომავალ "გაზელის" მარკის სატვირთო ავტომანქანას შიდა ქართლის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს ორი სპეცრაზმელი აცილებდა. ტვირთი გორის ტერმინალშია შეტანილი. სპეცრაზმელთა ბრალეულობა კი მოკვლევის შედეგად დადგინდება.

შიდა ქართლის სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელის რევაზ კლდიაშვილის განცხადებით, უკვე მიმდინარეობს მოკვლევა და იმ შემთხვევაში, თუ სპეცრაზმელთა ბრალეულობის საკითხი დადგინდება, მაშინ ორივე მათგანი სათანადოდ დაისჯება.

შსს-ს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის და გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ფოთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე "მეზღვაურთა კლუბში" ქრთამის გამოძალვის ფაქტზე, ქალაქის ერთ-ერთი ქვეგანყოფილების პოლიციის უფროსი ზაურ კინტერაია დააკავეს. დაკავებიდან რამდენიმე საათში კინტერაია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ფოთის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. გუშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მორიგი, მესამე სამშვიდობო ასეული გერმანიის ქალაქ აუსბერგში გაემგზავრა. შესაბამისი მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ ასეული სამშვიდობო მისიას კოსოვოში შეასრულებს.

ქართველი სამხედროები გერმანულ-იტალიური ბრიგადის შემადგენლობაში იმსახურებენ და მათი ამოცანა სამხედრო ბაზებისა და ბლოკ-საგუშაგოების დაცვა იქნება. 129 სამხედრო მოსამსახურით დაკომპლექტებულ ჯგუფს მაიორი დავით ბიჭიკაშვილი ხელმძღვანელობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს დილით საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია აჭარაში გაემგზავრება. ბათუმში სტუმრობის მიზანს აჭარის მეთაურთან - ასლან აბაშიძესთან შეხვედრა წარმოადგენს, სადაც ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხებს განიხილავენ. ზურაბ ჟვანია აჭარაში საქართველოს პრეზიდენტის დავალებით მიემგზავრება. მასთან ერთად იქნება უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილიც. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ზუგდიდი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის სამმართველოსა და სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს ერთობლივი სპეცოპერაცია სახელწოდებით "ხაფანგი", რომელიც ძებნილთა დაკავებას და გამოვლენას ითვალისწინებდა, გუშინ დასრულდა. ერთი კვირის განმავლობაში დაკავებულია 14 ძებნილი, მათ შორის 4 საერთაშორისო ძებნილი, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიას აფარებდნენ თავს და ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცებებზე იყვნენ დახელოვნებულნი. შს ზუგდიდის სამმართველოს უფროსის კახა რაფავას განცხადებით, დაკავებულნი არიან რაულ შარვაშიძე, რომეო კუტალია, ვეფხია ყურაშვილი და გია ბოკუჩია, რომლებიც გუშინ, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში ადამიანის გატაცების მორიგი მცდელობის დროს აიყვანეს. კახა რაფავას განცხადებით, ღონისძიებები გრძელდება. დაკავებულთაგან ორმა მათგანმა უკვე აღიარა საკუთარი დანაშაული. მათ ბრალად ფულის გამოძალვის მიზნით არაერთი ადამიანის გატაცება და სხვადასხვა კრიმინალური შემთხვევები ედებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ზუგდიდი. გუშინ ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს ეზოში გაიხსნა მემორიალი, რომელიც ზუგდიდის სამმართველოს დაღუპული თანამშრომლების ხსოვნას ეძღვნება. მემორიალზე მითითებულია 14 პოლიციელის სახელი და გვარი, რომლებიც 1992 წლიდან 2004 წლამდე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ. შს ზუგდიდის სამმართველოს უფროსის კახა რაფავას განცხადებით, მემორიალის გახნის გარდა, სამმართველოს ხელმძღვანელობა და პირადი შემადგენლობა გეგმავს მათ საფლავებზე გასვლას, ოჯახის წევრების მონახულებას და მათთვის მორალური მხარდაჭერის გამოცხადებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

გორი. უშიშროების სამინისტროს სპეცოპერაცია გორში რამდენიმე საათს გაგრძელდა. საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა იარაღით მოვაჭრე მაღაზიის საწყობებიდან დიდი ოდენობით სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. მაღაზიის მფლობელი ივანე გოგლიძე სამინისტროს ანტიტერორისტულმა დეპარტამენტმა ორი დღის წინ, მის ავტომანქანაში აღმოჩენილი ხელყუმბარის გამო დააკავა. უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. დაკავებულის ნათესავები და ადვოკატები კი აცხადებენ, რომ გოგლიძეს ხელყუმბარა ძალოვნებმა ჩაუდეს, მისი დაკავება კი იარაღის ბიზნესით გარკვეული ჯგუფის დაინტერესებას უკავშირდება. ვის გულისხმობენ იარაღის ბიზნესით დაინტერესებულში, გოგლიძის ადვოკატები არ აცხადებენ. **ინტერ-პრესი**

თანამშრომლები თანაუგრძნობენ
მაია კობახიძეს, მამის

ვაჟა დავითის ძე კობახიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი: 13, 14 აპრილს, 18სთ;
დაკრძალვა: 15 აპრილს, 14სთ.
მისამართი: ჟიული შარტავას 44, I სადარბაზო.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

დაღუპულთა მემორიალი და მათი დედების ემოციები

საპატიო ყარაული დაღუპულთა მემორიალთან

"ჩემი შვილი მხოლოდ თავის ოჯახს მოუკვდა..."

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

ვერიკო თევზაძე

"ჩვენ თუ ხელს ავიღებთ საქართველოს გამთლიანებისთვის ბრძოლაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანები დავიწყებულნი არიან, მათი ხსოვნა, უპირველესად, საქართველოს გამთლიანებას ნიშნავს", - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალთან.

გუშინ გმირთა მოედანზე შეკრებილი დაღუპულთა დედები და ახლობლები პრეზიდენტს ელოდნენ, თუმცა მათ მოლოდინი ნაწილობრივ გაუმართლდათ. მემორიალი პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა შეამკო ვარდებით. ქალბატონმა სანდრამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი, როგორც ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მზად არის დაეხმაროს დაღუპულთა ოჯახებს: **"ჩემი კარი ყოველთვის ღიაა მათთვის. იმის მიხედვით, თუ როგორ დაგვაფინანსებენ უცხოელი დონორები, სოციალურად ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს დავეხმარებით".**

საფლავთა კურთხევის დღეს დაღუპულთა დედებმა, რომელთაც განგებამ შვილების საფლავებიც კი არ აღირსა, გმირთა მოედანზე აღმართულ ობელისკთან მიიტანეს ყვავილები, წითელი კვერცხები და სააღდგომო "პასკები". **"ჩვენი შვილები არ დააფასეს"; "სახელმწიფოს საჭიროებისამებრ ახსენდება ისინი"; "როგორ მეგონა, რომ დღეს ამ კედელთან აფხაზეთის ხელისუფლებიდან თუნდაც ერთი წარმომადგენელი არ მოვიდოდა"; "ჩემი შვილი მხოლოდ თავის ოჯახს მოუკვდა..." "მერჩივნა, ჩემი შვილი ცოცხალი ყოფილიყო, ვიდრე გმირი დარქმეოდა";** - ასეთი იყო დაღუპულთა და შინმოუსვლელთა დედების ემოციები. მათი დიდი ნაწილი სოციალურ დახმარებას ითხოვს, ზოგიერთი დედის ერთადერთი ოცნება კი დაღუპული შვილის გადმოსვენებაა.

ჟურნალისტებმა შემთხვევით ისარგებლეს და გიორგი ბარამიძეს აჭარის შესახებაც დაუსვეს კითხვები. გუშინაც კი შინაგან საქმეთა მინისტრისთვის უცნობი იყო, გაჰყვება თუ არ დღეს იგი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ბათუმში. ბარამიძის აზრით, აჭარის ხელისუფლებამ რამდენიმე შემხვედრი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია: **"მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ არ მიმდინარეობს შეიარაღებული ფორმირებების დაშლის პროცესი."** როგორც ბარამიძე აცხადებს, ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც ჰქონდა შანსი, რევოლუციის ტალღა ბათუმშიც შეეტანა, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა პრობლემა მშვიდობიანი გზით გადაწყვიტოს. თუმცა, შინაგან საქმეთა მინისტრი იქვე შენიშნავს, რომ საზღვარი აქვს ყველაფერს, მათ შორის - საქართველოს ხელისუფლების მოთმინებასაც.

ძირითადი ტენდენცია

აჭარის განტოლება

პირველი გვერდიდან

ასეა თუ ისე, "ასანიძის საქმე" საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ყველაზე დიდ წარმატებად იქცა თბილისი-ბათუმის დაპირისპირების მთელი პერიოდის განმავლობაში.

აქ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ასლან აბაშიძემ, როგორც ჩანს, მხოლოდ ევროპის სასამართლოს როდი გაუწია ანგარიში. ზოგიერთი კომენტარი მეტყველებდა, რომ მისი იგნორირებაც შეეძლო, მაგრამ სტრასბურგის სასამართლოს ვერდიქტი ძალიან სერიოზულ არგუმენტად იქცა პრეზიდენტისთვის და აჭარაში კიდევ უფრო გაძლიერდა პროცესი, რომლის შეჩერება ასლან აბაშიძეს უკვე აღარ ძალუძს: ეს გახლავთ მისი სახელისუფლებო სისტემის თანდათანობითი გამოფიტვა.

თვით აჭარის მმართველ ელიტაში აღარ არის ერთიანობა და ძველებური სიმტკიცე ავტონომიური რესპუბლიკის მრავალწლიანი მმართველის საქმიანობასთან დაკავშირებით. აჭარის ისტებლიშმენტიც იწყებს ფიქრსა და შფოთს იმის თაობაზე, თუ რამდენს დაკარგავს ამ დაპირისპირებით. უმალვე წარმოჩინდა აგრეთვე, რომ თბილისმა პრობლემას დროზე "მიუსწრო", - როდესაც მას ჯერ არ ჰქონდა გადალახული პარტიკულარიზმის ზღვარი. უმალვე ჩაერთო ზემოქმედების სხვა ბერკეტებიც: პრეზიდენტის წარმომადგენლები ფოთის პორტსა და სარფის საბაჟოზე დავით ახალაია და ვასილ სანოძე აცხადებენ, რომ აჭარაში მათ ხელს აღარავინ უშლით, რათა თავიანთი ფუნქცია სრულფასოვნად შეასრულონ. რაც იმას ნიშნავს, რომ, როგორც მინიმუმ, დასრულდა აჭარის საბაჟოებზე დემპინგის ეპოქა. წინათ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სწორედ უთანაბრო საბაჟო განაკვეთების დაწესებით ტვირთების მოზიდვა იყო. ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტის წარმომადგენლებს თუ ყველა დოკუმენტაციის შემოწმების საშუალება ექნებათ, ამის გამორიცხვა მოხერხდება.

ჯერჯერობით გადაუწყვეტელია მთავარი პრობლემა: აჭარაში აკრეფილი თანხების თბილისში გადმორიცხვის საკითხი. ეს სახსრები კვლავინდებურად ადგილზე აკუმულირდება და თითქოს არ ჩანს მექანიზმი მათი მოზიდვისა, მაგრამ პრეზიდენტის წარმომადგენლების ჩართვა ასლან აბაშიძის საათივით აწყობილ სისტემაში, ადრე თუ გვიან უეჭველად იმ "ტროას ცხენის" როლს შეასრულებს, რომელიც მის სისტემას მთლიანად დაანგრევს. მით უმეტეს, რომ სულ მალე ამუშავდება ახალი პარლამენტი. მას შეუძლია მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც აჭარის ტერიტორიაზე გამავალი რესურსების კონტროლის სრულიად ახალ სისტემას შექმნის.

ასეთ შემთხვევაში, დემპინგური საბაჟო ტარიფების გამორიცხვის პარალელურად, თვით ბიზნესმენებისთვის აღარ იქნება ხელსაყრელი ავტონომიის ტერიტორიზე ტვირთის გამოტარება, თუ მისი განბაჟებისთვის გადახდილი თანხა რეალურად არ ჩაირიცხება ცენტრალურ ბიუჯეტში.

ამრიგად, ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოიმუშავა ასლან აბაშიძის რეჟიმთან დამოკიდებულების განტოლება, რომელიც გულისხმობს რეჟიმისა და მისი მეთაურის მუდმივი "ძაბვის ქვეშ ყოლას" (რეალურად ყოველგვარი ძალისმიერი მეთოდის გამორიცხვით), ამავდროულად, აქტიურ მუშაობას აჭარის საზოგადოებასთან (რომელიც, საბედნიეროდ, ქართული საზოგადოების განუყოფელი ნაწილია) და შესაბამისი სოციუმის თანდათანობით შემცირებას.

ყველაფრის მიუხედავად, რაოდენ არაპოპულარულადაც არ უნდა ჟღერდეს, ფორმულა მაინც უტოვებს შანსს ასლან აბაშიძეს, მიიღოს სტრატეგიული კომპრომისი თბილისისაგან, თუ მასთან ერთად მიიღებს თამაშის წესებს, რომლებსაც (პირველად 1991 წლიდან) თავად ველარ აწესებს.

KONMAK AHķAP 2004
კონიის ხის დამუშავების და ტექნოლოგიის გამოფენა
2004 წლის 22-23 აპრილი **KTO-TÜYAP** საერთაშორისო
გამოფენის ცენტრი - ქონია

მგზავრობის და სასტუმროს ხარჯები ანაზღაურდება ჩვენი ორგანიზაციის მიერ

საერთაშორისო სტამბოლის გამოფენები
37 Chavchavadze Tbilisi
Tel: 25 17 81 Fax: 25 11 49
www.tuyap.com.tr

გთხოვთ KONMAK 2004 კონიის სამრეწველო მანქანების დამხმარე მრეწველობის, ფაბრიკის აღჭურვილობის გამოფენა და KONMAK AHķAP 2004 კონიის ხის დამუშავების მანქანების, საჭრელი კომპლექტების, ხელის ინსტრუმენტების, ავეჯის დამხმარე მრეწველობის და აქსესუარების, ხის პროდუქციის და ხის მასალის ტექნოლოგიის გამოფენაში მონაწილეობის მიღების მსურველმა დაინტერესებულმა ფირმებმა 2004 წლის 18 აპრილამდე გამოაგზავნოთ ფოსტით ჩვენს წარმომადგენლობაში ან გამოაგზავნოთ ფაქსი ფირმის მონაცემების შესახებ.

გამოფენის არეალი:
ხის მასალის მანქანები – დანაწევრების დაზგები – შეთეთრების და შეღებვის საშუალებები – ავეჯის წარმოების მანქანა და დაზგები – ლამინატი – პარკეტი Mdf – დეესპე – სამშენებლო ხე-ტყე – მორის გვერდითი ლენტები – რელსის ჩამკეტი სისტემები – ხის კარები – ფანჯარა, ელექტრო მექანიკური ხის ინსტრუმენტები – ავეჯის საბურავები
KONMAK 2004
მეტალის ხის მასალის პლასტიკის ტექნოლოგიის სამრეწველო მანქანები
კომპლექტური სახარატო ჩარხები, ლაზერული წრა, დაზგების სარჩილავით
ჭრის ტექნოლოგიები და მანქანები, კომპრესორები,
ფაბრიკის აღჭურვილობა,განათება

მონაწილეობის მიღება ხარჯების გარეშე

ITAF საერთაშორისო სავაჭრო საშუალებების დამხმარე მრეწველობის და აქსესუარების გამოფენა
2004 წლის 22-23 აპრილი თუიაფი ბეილიქდუზუ – სტამბოლი

მგზავრობის და სასტუმროს ხარჯები ანაზღაურდება ჩვენი ორგანიზაციის მიერ

საერთაშორისო სტამბოლის გამოფენები
37 Chavchavadze Tbilisi
Tel: 25 17 81 Fax: 25 11 49
www.tuyap.com.tr

გთხოვთ **ITAF საერთაშორისო სავაჭრო საშუალებების დამხმარე მრეწველობის და აქსესუარების გამოფენა 2004-**ში მონაწილეობის მიღების მსურველმა დაინტერესებულმა ფირმებმა 2004 წლის 18 აპრილამდე გამოაგზავნოთ ფოსტით ჩვენს წარმომადგენლობაში ან გამოაგზავნოთ ფაქსი ფირმის მონაცემების შესახებ.

გამოფენის არეალი:
ბუქსირები – სატვირთო მანქანები – პანელები – მსუბუქი სატვირთო მანქანები – პიკაპები – ავტობუსები – მიდიბუსები და მინიბუსები – სატვირთო მანქანების მისაბმელები – ტრაილერები – სატვირთო მანქანების ზედა მოწყობილებები

– დამხმარე მრეწველობა(ღერძების წარმოება) – სიჩქარეების გადამცემი კოლოფის წარმოება – გათბობის და გაცივების სისტემები – სამუხრუჭო სისტემები – კავშირის სისტემები – მოტორის ზეთები და დამცველი ზეთები – საბურავები – სერვისის აღჭურვილობა – სარეზერვო ნაწილები – მოტორის ზეთები და დამცველი ზეთები - საბურავები – სერვისის აღჭურვილობა – სარეზერვო ნაწილები – აქსესუარის კომპიუტერული პროგრამები.

მონაწილეობის მიღება ხარჯების გარეშე

რიგით მეორე დაჯილდოება
გასული წლის საუკეთესო ნაწარმოებების გამოვლენა 8 ნომინაციის მიხედვით
ყოველწლიური ლიტერატურული პრემია
საბა
24 საათი

მაღალი გადასახადები + დაუცველი საზღვრები = კონტრაბანდა

პირველი გვერდიდან

დიდი მასშტაბები სახელდება.

ნავთობპროდუქტების შემდეგ ქვეყანაში ყველაზე სარფიანი და წარმატებული სიგარეტის კონტრაბანდაა. ქვეყანაში ბოლო დროს განხორციელებული ანტიკონტრაბანდული ღონისძიებების მიუხედავად, არალეგალური სეგმენტის მასშტაბები კვლავ 60-70 პროცენტს შორის მერყეობს. სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური ინფორმაციით, ყოველი სამი კოლოფიდან ორი კონტრაბანდულია. კონტრაბანდის ასეთი მაღალი მაჩვენებლები კი, პირველ რიგში, ყველაზე მეტად ლეგალურ ბიზნესმენებს აზარალებს. პროდუქცია, რომელიც საქართველოში უკანონოდ შემოდის საფრთხეს უქმნის ლეგალურ იმპორტს, ამცირებს მის მოცულობას, ახდენს შიდა ბაზრის დეზორგანიზაციას და აზარალებს ადგილობრივ წარმოებას, ვინაიდან იგი კონკურენტუუნარო ხდება. **"არალეგალური სეგმენტი კვლავ სერიოზული პრობლემაა. კონტრაბანდული სიგარეტი ფასით სერიოზულ კონკურენციას გვიწევდა. კონტრაბანდა უფრო მეტად იყიდება, ვიდრე ლეგალური პროდუქცია; ასე რომ, კანონიერი ბიზნესი იჩაგრება. იმისთვის, რომ კონტრაბანდისთვის კონკურენცია გაგვეწია, ხშირად ზარალზე გვიწევდა მუშაობა",** - აცხადებს კომპანია "საქართველოს თამბაქოს წარმოების" ფინანსური დირექტორი ზურაბ ბერუაშვილი.

მარტივი არითმეტიკული გაანგარიშებითაც ცხადია, რომ სიგარეტის გაყიდვების ოფიციალური მონაცემები საგრძნობლად განსხვავდება რეალური მოხმარებისგან. სტატისტიკური მონაცემებით, თამბაქოს ეწევა მოსახლეობის 30 პროცენტი - სხვადასხვა პერიოდულობითა და ინტენსივობით. თითო მწეველზე საშუალოდ ყოველდღიურად ერთი კოლოფი სიგარეტი რომ ვიანგარიშოთ, საქართველოს ბაზარზე ყოველ დღე ერთი მილიონი კოლოფი სიგარეტი მაინც იყიდება. აქედან გამომდინარე, უხეში გათვლებით, საქართველოს ბაზარს ყოველთვიურად, დაახლოებით, 55 ათასი ყუთი სიგარეტი სჭირდება, თითო ყუთში 500 კოლოფია. ოფიციალური მონაცემებით კი, ყოველთვიურად საქართველოს მოსახლეობა საშუალოდ 15 ათას ყუთ სიგარეტს მოიხმარს. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა სიგარეტის დეფიციტს არ განიცდის, ამ მცირე გაანგარიშებითაც ნათელია, რომ ბაზრის უდიდესი ნაწილი ჩრდილოვან სექტორშია მოქცეული.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"ომეგას" პროდუქციას, შეიძლება, უფრო იმპორტირებული სიგარეტი ჩაენაცვლოს.

კერძო სექტორი კონტრაბანდის დიდი მასშტაბების მთავარ მიზეზად, საზღვრების გაუკონტროლებლობის გარდა, საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების საგადასახადო განაკვეთებს შორის არსებულ დისბალანსს ასახელებს. თამბაქოს ბაზარზე მოქმედი იმპორტიორები და ადგილობრივი მწარმოებლები აცხადებენ, რომ ქვეყანა, რომელსაც მაღალი საგადასახადო განაკვეთები გააჩნია და რომლის მეზობელიც რუსეთია (რუსეთში საგადასახადო განაკვეთები ხუთჯერ ნაკლებია, ვიდრე საქართველოში), ყოველთვის მიმზიდველი და ხელსაყრელი იქნება კონტრაბანდისტებისთვის, თუ ქვეყანაში სერიოზული საგადასახადო ცვლილებები არ განხორციელდა. კონტრაბანდის აღმოფხვრის ილუზია არავის აქვს, თუმცა მისი დასაშვებ ნორმამდე შემცირება სავსებით რეალურად მიაჩნიათ. ამისთვის კი, პირველ რიგში, პოლიტიკური ნება, ადმინისტრაციული ბერკეტების ამოქმედება, მეზობელ სახელმწიფოებთან საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაა საჭირო. **"ლეგალური ბიზნესი აბსოლუტურად დაუცველია. სახელმწიფომ უნდა დაიცვას კანონიერი ბიზნესი კონტრაბანდისაგან. არ შეიძლება ამხელა განსხვავება გქონდეს ფასში შენს მეზობელ სახელმწიფოსთან. ისეთი საგადასახადო განკვეთები უნდა იყოს, რომ კონტრაბანდისტებმაც კი საკუთარი სურვილით დაიწყონ სიგარეტის ბიზნესის გათეთრებაზე ფიქრი",** - აღნიშნა იმპორტიორი ფირმის "პნლ"-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა შოთა მამნიაშვილმა

"მაღალი გადასახადები გემრიელი ლუკმაა კონტრაბანდისტებისთვის. იმ ქვეყანაში, სადაც მაღალია ტარიფები, კონტრაბანდისტები ცდილობენ, ნახონ პარტნიორები და აწარმოონ არალეგალური ბიზნესი", - აცხადებს სიგარეტის მსხვილი იმპორტიორი კომპანიის "მარდის" პრეზიდენტი თამაზ ელიზბარაშვილი.

"ჩანთის ბიზნესს, ვფიქრობ, რომ ვერ გააჩერებენ. კონტრაბანდის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ მეზობელი ქვეყნისგან სერიოზულად განსხვავებული საგადასახდო სისტემა გვაქვს. ამას კი თოფითა და ზარბაზნით ვერ შეაჩერებ", - აცხადებს ზურაბ ბერუაშვილი.

თოფისა და ზარბაზნის რა მოგახსენოთ, მაგრამ ხელისუფლებისთვის კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლისას ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება უცხო არ არის. ამ მეთოდმა უმნიშვნელო შედეგი მაინც გამოიღო: კონტრაბანდის მასშტაბები შემცირდა, რაც, პირველ რიგში, ლეგალური პროდუქციის რეალიზების მაჩვენებლებზე აისახა. გაყიდვებმა მოიმატა, თუმცა კონტრაბანდა კვლავ უმთავრეს პრობლემად რჩება.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც თანაბრად აწუხებს თამბაქოს ბაზარზე მოქმედ იმპორტიორებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს, რთულ საგადასახადო სისტემას უკავშირდება. ბიზნესმენები ერთსულოვნად ითხოვენ საგადასახადო სისტემის გამარტივებას. თუმცა, ერთი და იმავე მოთხოვნების გარდა, იმპორტიორებსა და ადგილობრივ მეწარმეებს ნაწილობრივ განსხვავებული მოთხოვნებიც აქვთ. იმპორტიორები, კონტრაბანდისა და მარცხენა სიგარეტის არსებობის გარდა, ადგილობრივი წარმოებისგან განსხვავებულ საგადასახადო რეჟიმში მუშაობასაც აპროტესტებენ (დღევანდელი განაკვეთები ასეთია: იმპორტის აქციზური გადასახადი ერთ კოლოფზე 40 თეთრია, ადგილობრივ ნაწარმზე - 20 თეთრი). ადგილობრივი მწარმოებლების არგუმენტები რადიკალურად განსხვავებულია. მათი თქმით, ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქციის თანაბარ პირობებში ჩაყენება კიდევ უფრო არაკონკურენტუნარიანს გახდის ადგილობრივ წარმოებას. **"ჩვენ გაცილებით მეტ გადასახდს ვიხდით, ვიდრე იმპორტიორი კომპანიები"**, - აცხადებენ "საქართველოს თამბაქოს წარმოებაში".

მიმდინარე წელს ექსპერტები სიგარეტის ბიზნესიდან 98,5 მილიონი ლარის მობილიზებას ვარაუდობენ. თუმცა, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სიგარეტის იმპორტიდან 7 მილიონ 743 ათას 100 ლარი შევიდა ბიუჯეტში. აქედან 4 მილიონ 663 ათას 435 ლარი ყველაზე მსხვილმა იმპორტიორმა კომპანიამ - "მარდმა" შეიტანა. ბიუჯეტში გადახდილი თანხების დაკონკრეტებისგან თავს იკავებს "საქართველოს თამბაქოს წარმოების" ხელმძღვანელობა, თუმცა ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ბოლო დროს ბიუჯეტში უფრო მეტ თანხას რიცხავენ. რაც შეეხება ადგილობრივ წარმოებას, ადგილობრივი ნაწარმი, ძირითადად, მხოლოდ ადგილობრივი ბაზრისთვის მუშაობს. ექსპორტზე კი ადგილობრივი პროდუქციის ძალიან მცირე ნაწილი გადის. სტატისტიკური მონაცემებით, 2003 წელს განხორციელებულმა ექსპორტმა 13 მილიონ 131 ათასი კოლოფი სიგარეტი შეადგინა; მიმდინარე წლის ორი თვის მონაცემებით, ორი მილიონ 912 ათასი კოლოფი სიგარეტის ექსპორტი განხორციელდა. ძირითადად, ექსპორტს ორი ფირმა - "საქართველოს თამბაქოს წარმოება" და BAT (British American Tobacco) ახორციელებს. ექსპორტის მიმღებები, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები არიან.

დღესდღეობით საქართველოში თამბაქოს მწარმოებელი ორი ქარხანაა ("ომეგა-ფილიპ მორისი", "საქართველოს თამბაქოს წარმოება"). "ომეგას" გარშემო ატეხილი ხმაური და მისი ქონების დალუქვა საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდა თამბაქოს ბაზარზე მოქმედი სხვა სუბიექტებისთვის: "საქართველოს თამბაქოს წარმოების" სახით სიგარეტის ადგილობრივ წარმოებაში მხოლოდ ერთი მსხვილი მოთამაშე დარჩა. თუმცა, "საქართველოს თამბაქოს წარმოებაში" ირწმუნებიან, რომ "ომეგას" გაჩერებას სერიოზული გავლენა არ მოუხდენია მათ ბიზნესზე. ამის მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ ლეგალურ ბაზარზე კომპანიები სხვადასხვა სეგმენტზე მუ-

---

საქართველოს ეკონომიკა ახალი ხელისუფლების აქილევსის ქუსლად რჩება

თამარ ხორბალაძე

დღემდე ახალი ხელისუფლების მიერ ქართული ეკონომიკის მართვის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, ძირითადად, წინასაარჩევნო-პოპულისტურ ხასიათს ატარებდა ან სტრუქტურის ისეთ ცვლილებებს ემსახურებოდა, რომელთა რეალური შედეგის დასანახავად საკმაოდ დიდი დრო არის საჭირო:

სწორედ ხალხის კეთილგანწყობაზე გახდათ გათვლილი ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე სახელმწიფო საწარმოთა მართვის "გამჭვირვალეობის" მიმართულებით გადადგმული სახელისუფლებო ნაბიჯები, რომლებიც "გამჭვირვალე" სულ ორიოდე საწარმოსთან - რკინიგზასა და "მადნეულთან" დაკავშირებით გახლდათ. ამ ორმა მაგალითმა და მათ ირგვლივ ატეხილმა აჟიოტაჟმა, როგორც ჩანს, ხელისუფლებას დაანახა, რომ სჯობს "საქმე" ისევ ჩუმად აკეთოს და მას შემდეგ ეს თემა მიყუჩდა, ხოლო გარკვეული გადაწყვეტილებები, როგორც თავად უწოდებენ - "სამუშაო რეჟიმში" იქნა მიღებული.

ჯერ კიდევ არჩევნებამდე "მოკვდა" სახელმწიფო სამსახურში თანამშრომელთა კონკურსის საფუძველზე შერჩევის და ე.წ. საინფორმაციო ბანკის შექმნის თემა, რომელიც ახლა ისევ რომ წამოიწიოს, დიდი ეფექტის მომტანი თუნდაც იმიტომ არ იქნება, რომ ხელისუფლების თითქმის ყველა რგოლი, მათ შორის - საშუალო და დაბალიც, თითქმის უკვე დაკომპლექტებულია პარტიული აქტივისტებითა და სხვა სანდო პირებით. რა თქმა უნდა, დარჩენილია "რეზერვიც" - ანუ ხალხი, რომელსაც მომავალში, შესაძლოა, კიდევ დააწერინონ განცხადებები სამსახურიდან წასვლის შესახებ, ან ე.წ. "გამოცდები" ჩაუტარონ "გასაცხრილად". საერთოდ, სახელმწიფო უწყებებში მომუშავე კადრებისადმი ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება ცალკე შესასწავლი და საკმაოდ მძიმე საკითხია, რომელიც რევოლუციით მოსულ ხალხს დადებითად ნამდვილად არ ახასიათებს.

აშკარად წინასაარჩევნო ელფერს ატარებდა დაპირება, რომ გადასახადები შემცირდებოდა, თუმცა საგულისხმოა, რომ საგადასახადო კოდექსის პარლამენტში შეტანის ვადა, იმავე ხელისუფლების კომენტარების თანახმად, თანდათან იწევს აპრილიდან - მაისისკენ, მაისიდან - ივნისისკენ... საგადასახადო კოდექსის კონკრეტული მონახაზი კი, ყოველ შემთხვევაში - დღეისათვის, ჯერ არ არსებობს, სამაგიეროდ არსებობს კომისია ამ საკითხთან და ბევრ სხვა საკითხთან დაკავშირებით, რომელთა უმრავლესობა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით არსებობს და, იმედია - ფუნქციონირებს კიდეც.

განსაკუთრებით საგულისხმო იყო ე.წ. ფინანსური ამინისტიის იდეა, რომელზეც ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა, თუმცა საინტერესოა, რომ მიუხედავად ამინისტიის იდეისა (მისი ავტორები ბიზნესმენებს აძლევენ შანსს, რომ ივნისამდე "გათეთრებული" დეკლარაციები წარმოადგინონ), მაკონტროლებელი სტრუქტურები უკვე ტრადიციად ქცეულ "შევარდნა-დალუქვებს" აგრძელებენ.

აშკარაა ხელისუფლების "საბიუჯეტო წარმატებები", თუმცა, თუ გავითვალიწინებთ, რომ წელს ხელისუფლება სახელმწიფო ბიუჯეტის ერთი-მესამედით გაზრდას გეგმავს, ცხადი გახდება, რომ ზრდა არასაკმარისია. ცალკე საკითხია ის, რომ პროკურატურის მიერ "ამოღებულ" თანხებზე ქვეყნის ბიუჯეტი დამოკიდებული ვერ იქნება და საგადასახადო ცვლილებების გარეშე კონტროლის გაძლიერებამ კი თავად ბიზნესი შეიძლება იმ მდგომარეობამდე მიიყვანოს, როცა ბიზნესმენი გადასახადებს არ გადაიხდის არა კანონისადმი დაუმორჩილებლობის, არამედ - "გადახდის უუნარობის" გამო.

ჯერჯერობით, საბოლოოდ გაურკვეველია ეკონომიკური პრიორიტეტებიც და მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ინვესტიციების შემოსავლისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე აქტიურად საუბრობს, დღეს საქართველოში მომუშავე ინვესტორებთან - თუნდაც, "ფეროს" ინვესტორთან დამოკიდებულება, ჯერ კიდევ არასტაბილური კრიმინალური გარემო, აჭარასთან არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური გაუგებრობები და კარგად ცნობილი ეკონომიკური ბლოკადის საკითხიც, "ბრიტიშ აირლაინთან" დაკავშირებული ისტორიაც ქართულ ბიზნესგარემოს დადებითად ნამდვილად ვერ ახასიათებს.

გაურკვეველია ეკონომიკური პოლიტიკის დეტალური შინაარსიც, რომელზე ზუსტი წარმოდგენა ვერც დაპირებებმა შექმნა და ვერც უკვე გადადგმულმა ნაბიჯებმა.

ცხადია, ხელისუფლებას აქვს არგუმენტი იმის თაობაზე, რომ არ შეიძლება რამდენიმე თვეში მოითხოვო ქვეყნის აშენება, თუმცა ქართული საზოგადოების და, ზოგადად, სახელმწიფოს მოთმინების ფიალა ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლებამ აავსო და ამიტომ ყოველდღიური, აქტიური, რაც კიდევ უფრო მთავარია - წინასწარი დაპირებების ადეკვატური და მეტიც - სწორი ნაბიჯების გადადგმის გარეშე ხელისუფლების აქილევსის ქუსლად დარჩენილ ეკონომიკას მომაკვდინებელი ისარი სულ რამდენიმე თვეში შეიძლება მოხვდეს.

"განხეთქილების ვაშლიდან" ფინანსურ "გაჯანსაღებამდე"

მომავალ კვირას ხელისუფლებაში სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხზე იმსჯელებენ. საგულისხმოა, რომ თავის დროზე კანონპროექტი "საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზების შესახებ" პარლამენტსა და მთავრობას შორის "განხეთქილების ვაშლად" იქცა. უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ განსახილველად წარდგენილი პროექტი რამდენიმეჯერ დაიწუნა და მის ავტორებს უკან დაუბრუნა. სანამ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება კანონპროექტს თავ-თავისკენ ექაჩებოდნენ და მასში საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობდნენ, ანტიკორუფციულმა საბჭომ მას მკაცრი ვერდიქტი გამოუტანა და "კორუფციული" უწოდა. ახალმა მთავრობამ ეს კანონი მეწარმეებს ახალი სახით შესთავაზა და ერთი თვის წინ პარლამენტის მხარდაჭერაც მიიღო.

ნინო წერეთელი

წლების განმავლობაში სხვადასხვა საწარმოთა დავალიანებამ ბიუჯეტისადმი 2 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. მიუხედევად იმისა, რომ დავალიანებათა რესტრუქტურიზება საწარმოთა ფინანსური გაჯანსაღების ერთ-ერთი ფორმაა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ის არ უნდა იყოს გამოყენებული, როგორც გადასახადისგან თავის არიდების საშუალება. სამწუხაროდ, ამ ეჭვს რეალური საფუძველი აქვს. მრავალი საწარმო "გაუგებარი მოტივებით" მოხვდა რესტრუქტურიზებულთა ნუსხაში. ამ საწარმოებს ბიუჯეტიდან 47 მილიონი დოლარის ეკვივალენტი თანხა აქვთ გამოტანილი და დააბრუნეს მხოლოდ 350 ათასი ლარი, ანუ ნასესხები თანხის 0,7 პროცენტი.

შეგახსენებთ, რომ 1998 წლიდან მოქმედი კანონი მხოლოდ საგადასახადო დავალიანებებზე იყო გათვლილი და არ ითვალისწინებდა სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზებას. ცვლილებების თანახმად, ახალ კანონპროექტში ეს უკანასკნელიც გაითვალისწინეს. ამასთან, შეიცვალა რესტრუქტურიზაციის ვადები და 3 წლიდან (1 წელი - გაყინვა, 2 - გადავადება), 5 წლამდე (2 წელი - გაყინვა, 3 - გადავადება) გაიზარდა. განსაკუთრებულ შემთხვევებში რესტრუქტურიზება, შესაძლოა, 15 წლითაც მოხდეს.

კანონის ამოქმედებიდან დღემდე რესტრუქტურიზების რეჟიმით 100-ზე მეტმა საწარმომ და ორგანიზაციამ ისარგებლა. მარტო 1999 წელს ბიუჯეტისადმი საწარმოთა ვადაგადაცილებულმა დავალიანებებმა 36,1 მილიონი ლარი შეადგინა; მაგალითად, სააქციო საზოგადოება "აზოტს" ბიუჯეტის მართებ- და 15,9 მილიონი ლარი, რაც მთლიანი დავალიანების 44 პროცენტია. ასევე დიდია სააქციო საზოგადოება "რუსთავცემენტის" დავალიანება - 4,05 მილიონი ლარი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვადაგადაცილებული თანხები აღრიცხულია ლარებში და წლების შემდეგ, ინფლაციისა და დევალვაციის გათვალისწინებით, მათი რესტრუქტურიზება ვალის ნაწილის ჩამოწერას ნიშნავს. ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ საწარმოთა უმრავლესობამ ეს თანხები არარაციონალურად გამოიყენა. თავად სახსრების გამოყოფის მიზნები და მოცულობებიც ეჭვებს ბადებს.

ოპონენტები იმასაც ითვალისწინებენ, რომ სასესხო დავალიანებაში აღირიცხა კერძო კომპანიების მიერ აღებული საგარეო ვალის ის ნაწილიც, რომლის გასტუმრებაც მთავრობამ თავად ივალდებულა (მაგალითად, თურქეთის 50 მილიონ დოლარიანი სესხი). მათი აზრით, კანონპროექტში ცვლილებების შეტანა გამოიწვევს ამ სახის ვალების გადავადებას და ჩამოწერასაც კი. მით უმეტეს, რომ ასეთი უკანონო პრეცედენტი უკვე მოხდა, როდესაც, ექსპრეზიდენტის განკარგულებით, ერთ-ერთ ფირმას 10 წლით გადაუვადდა თურქეთის 10 მილიონი დოლარის კრედიტი. აბსურდული სიტუაციაა შექმნილი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების დივიდენდებთან დაკავშირებით. გამოდის, რომ 1000-ზე მეტი საწარმოდან თითქმის ყველა წამგებიანია და ამიტომ სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების სახით არაფერი შედის. უფრო რეალური კი მეორე ვარიანტია. მთელი შემოსავალი კერძო პარტნიორს მიაქვს, სახელმწიფო კი "მშრალზე" რჩება. ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ საწარმოები მოგებას მალავენ. შარშან ამ სახის საწარმოებიდან დივიდენდების სახით ბიუჯეტში დაგეგმილი 16 მილიონის ნაცვლად მიზერული თანხა შევიდა.

კანოპროექტის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა დღესაც არსებობს. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კონკრეტული საწარმოები სამართლიანი შეღავათებით არ სარგებლობენ და ამიტომ ბიუჯეტი ზარალდება. თუმცა, ფინანსთა სამინისტროში ამ აზრს არ ეთანხმებიან და შემდეგი არგუმენტი მოჰყავთ: ვერც ერთი ორგანიზაცია, რომელიც შესაბამის მტკიცებულებას ვერ წარმოადგენს, რესტრუქტურიზაციის რეჟიმით ვერ ისარგებლებს. გარდა ამისა, სახელმწიფო აძლევს შანსს საწარმოს, ძველი და ახალი დავალიანება გარკვეული დროის განმავლობაში, დოკუმენტურად დადგენილი გრაფიკით დაფაროს და თუ ობიექტი ამ ვალდებულებას ვერ შეასრულებს, სანქცია-საურავები დაეკისრება. იქცევა თუ არა ახალი კანონი საწარმოთა რეალურ მშველელად და არა ბიუჯეტის მორიგ ტვირთად, დრო გვიჩვენებს.

სომხეთის მიხაკისფერი გაზაფხული

პირველი გვერდიდან

მათ მოთხოვნას კანონიერი საფუძველი აქვს: შარშან, როდესაც ოპოზიციამ საკონსტიტუციო სასამართლოში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები გააპროტესტა, სასამართლომ შედეგები არ გააუქმა, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ პრეზიდენტის ნდობის რეფერენდუმის ჩატარება შესაძლებელია. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მსგავსი მოთხოვნები უკანონო და არაკონსტიტუციურია. თავად კოჩარიანმა კი ოპოზიციას "აგრესიული პოლიტიკური უმცირესობა" უწოდა.

ოპოზიციის ულტიმატუმი არ დაკმაყოფილდა. ორშაბათს, სომხეთის პარლამენტში კვორუმის არარსებობის გამო, სესია არ გაიმართა. სახელისუფლებო კოალიციაში შემავალი პარტიის წევრებმა საკანონმდებლო ორგანოში მისვლაზე უარი განაცხადეს. რესპუბლიკური პარტიის, "დაშნაკციუტუნისა" და "ორინაც იერკირის" საერთო განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს ნაბიჯი "დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად გაკეთდა".

"მათი თქმით, ნდობის რეფერენდუმის ჩატარება კონსტიტუციიდან არ გამომდინარეობს, - განაცხადა სტეპან დემირჭიანმა მიტინგზე, - მაშ, რა გამომდინარეობს კონსტიტუციიდან? უკანონო დაჭერები თუ გაყალბებული არჩევნები?"

"ჩვენ მათ პრობლემის სამართლებრივი გზით გადაწყვეტის საშუალება მივეცით," - დასძინა ბლოკ "სამართლიანობის" ერთ-ერთმა ლიდერმა არამ სარგსიანმა. "საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობით, მათ თავიანთი თავი კანონის ზემოთ დააყენეს და ისინი შესაბამის შედეგებს მოიმკიან."

ოთხი საათიდან ოპოზიციის მომხრეები მარშალ ბაღრამიანის გამზირისაკენ დაიძრნენ, სადაც ეროვნული ასამბლეის (პარლამენტის) შენობა და პრეზიდენტის რეზიდენცია მდებარეობს. მომიტინგეებმა პარლამენტამდე მიღწევა შეძლეს. რაც შეეხება პრეზიდენტის რეზიდენციას, მას ეკლიანი მავთულხლართი ჰქონდა შემოვლებული, რომლის მიღმა შეიარაღებული პოლიცია და სახანძრო მანქანები იდგა. ოპოზიციის მიტინგი ისევ პარლამენტის წინ გაგრძელდა.

სომხეთის ხელისუფლება და რობერტ კოჩარიანი უკან დახევას არ აპირებენ. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ოპოზიციის რამდენიმე აქტივისტი დააკავეს, რომლებზეც სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა. ოპოზიციის ცნობით, მათი 254 მომხრე დაკავებულია. გუშინდელი დღის განმავლობაში მცირე ხნით ორი ოპოზიციონერი დეპუტატიც - თათულ მანასერიანი და ვართან მკრტიჩიანი დააკავეს, როდესაც ისინი ქალაქის გარეუბნებში ხალხს ოპოზიციის მიტინგზე გამოსვლისაკენ მოუწოდებდნენ.

ოპოზიციის მხარდამჭერები თავისუფლების მოედანზე ყოველდღე იკრიბებიან.

პოლიციის მტკიცებით, დეპუტატებმა მანქანით კინაღამ ფეხით მოსიარულეს გადაუარეს და ისინი ამიტომაც დააკავეს.

ხელისუფლებამ სომხეთში ტელეკომპანია "ენტევეს" ტრანსლირებაც შეწყვიტა, რადგან ამ ტელეკომპანიამ ოპოზიციის მიტინგების შესახებ სიუჟეტი გადასცა. რუსული სააგენტო "რეგნუმის" ცნობით, ერევნის ჯიხურებიდან ასევე გაქრა რამდენიმე რუსული გაზეთიც, სადაც სომხეთში პრეზიდენტის მოსალოდნელ შეცვლაზე სტატიები იყო გამოქვეყნებული.

ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნით, ოპოზიციამ გამოსვლები ჯერ კიდევ 2003 წლის თებერვალ-მარტის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო. თუმცა, მაშინ ოპოზიციის ორმა ლიდერმა სტეფან დემირჭიანმა (ბლოკი "სამართლიანობა") და არტაშეს გეღამიანმა (ეროვნული ერთიანობის პარტია) გაერთიანება ვერ მოახერხეს. ამჯერად, პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანის წინააღმდეგ ისინი უკვე ერთიანი ფრონტით გამოდიან.

წელს გამოსვლები 9 აპრილიდან დაიწყო და მას შემდეგ ოპოზიციის მხარდამჭერები თავისუფლების მოედანზე ყოველდღე იკრიბებიან. პარასკევსა და შაბათს 10 000-ზე მეტი ადამიანი გამოვიდა მიტინგებზე. ათეულობით მომიტინგე კი ღამეს ღია ცის ქვეშ ათევდა.

საქართველოს მსგავსად, სომხეთის ოპოზიცია აქცენტს გაყალბებულ არჩევნებზე აკეთებს. 8 აპრილს საქართველოს "ვარდების რევოლუციას" სომხეთის საზოგადოებრივი ტელევიზიით გამოსვლისას პრეზიდენტი კოჩარიანი საგანგებოდ შეეხო და აღნიშნა, რომ "საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა სომხეთში არსებულ ვითარებაზე გავლენა მოახდინა." თუმცა, "მათ [ოპოზიციას] ავიწყდება, რომ სომხეთსა და საქართველოში ვითარება განსხვავებულია, ისევე როგორც [საქართველოსა და სომხეთში არსებული] ხელისუფლების ძალა."

და კიდევ ერთი მსგავსება საქართველოსთან: შაბათს გამართულ ოპოზიციის მიტინგზე სომხეთის ოპოზიციის მომხრეებსაც ყვავილები ეჭირათ. ოღონდ, ვარდებს "სომეხმა რევოლუციონერებმა" თეთრი მიხაკები ამჯობინეს.

ერაყი: ამბოხების ერთი კვირა

ერაყში ამბოხების დაწყებიდან უკვე კვირაზე მეტი გავიდა. შიიტების ლიდერის მოქთად ალ-სადრის მიერ დაწყებულ ბრძოლას სუნიტი პარტიზანებიც შეუერთდნენ, რამაც ბრძოლების მასშტაბი საგრძნობლად გაზარდა და თითქმის მთელი ერაყი მოიცვა. შვიდდღიანმა ბრძოლებმა 50-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცის და 900-მდე ერაყელის სიცოცხლე შეიწირა. აქედან 600 ერაყელი მარტო ქალაქ ფალუჯაში დაიღუპა. საერთაშორისო მისიების და მასმედიის ცნობით, დაღუპულთა უმეტესობას ქალები და ბავშვები შეადგენენ. ამერიკელთა სარდლობა ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ დაღუპულთა 90 პროცენტი შეიარაღებული ტერორისტია. დამკვირვებელთა შეფასებით, ომის სასწორი ნელ-ნელა კოალიციის მხარეს იხრება. თუმცა, ამბოხებულები ბრძოლას მაინც განაგრძობენ.

ახალი მძევლები

ფალუჯას მისადგომებთან ნიღბიანმა ერაყელებმა ჩინეთის შვიდი მოქალაქე აიყვანეს მძევლად. ეს ფაქტი უკვე დაადასტურა ოფიციალურმა პეკინმა და, ამავე დროს, დატყვევებულთა დაუყოვნებლივი გათავისუფლება კატეგორიულად მოითხოვა.

ამ დროისათვის ამბოხებულებს რამდენიმე ათეული მძევალი ჰყავთ ტყვეობაში. კვლავ გრძელდება მოლაპარაკებები იაპონელების გათავისუფლების თაობაზე. თუმცა, ტოკიოს განცხადებით, ეს მოლაპარაკებები საკმაოდ რთულ სტადიაშია. არაბულმა ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ" ტელეეთერში ნიღბიანი გამტაცებლები და მათი რვა მძევალი უჩვენა. ყველანი აზიური ქვეყნებიდან არიან. ტელევიზიას მათი წარმომავლობა არ დაუკონკრეტებია. საინფორმაციო სააგენტოების მოსაზრებით, რამდენიმე მძევალი, მათ შორის - ბრიტანელები, ერაყელებმა უკვე გაათავისუფლეს. პირობა ერთია - კოალიციასთან ყოველგვარი თანამშრომლობის და კავშირის გაწყვეტა. ჩინელებისგანაც იგივეს ითხოვენ. თუ რას მოიმოქმედებს ოფიციალური პეკინი, ჯერჯერობით, უცნობია.

ჯორჯ ბუში: "ჩვენ სწორად ვმოქმედებთ"

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დუმილი დაარღვია და ერაყში შექმნილ ვითარებაზე პირველი კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, რთული განსასაზღვრია, დასრულდა თუ არა ერაყში ფართომასშტაბიანი სისხლისღვრა. თუმცა, მან დაბეჯითებით განაცხადა, რომ კოალიციის ჯარები ზუსტად და მართებულად მოქმედებენ. **"მათი ყოფნა ერაყში აუცილებელია მშვიდობის დასამყარებლად და შეერთებული შტატების უსაფრთხოებისათვის,"** - განაცხადა ბუშმა.

ჯორჯ ბუში აშშ-ს არმიის მოქმედებით კმაყოფილია

ფალუჯა - ამბოხებულთა ბასტიონი

ფალუჯაში ბრძოლები, ჯერჯერობით, შეწყვეტილია. დაღუპულთა ცხედრებს ერაყელები ქალაქის სტადიონზე კრძალავენ. ფალუჯაში ერაყის სხვა ქალაქებიდან თანამემამულეთა დასახმარებლად ჰუმანიტარული მისიით მოხალისეთა რაზმები მიემართებიან. მათ ალყაშემორტყმულ ქალაქში საკვები და მედიკამენტები შეაქვთ

ფალუჯაში ცეცხლის შეწყვეტას ზოგიერთი მაღალი რანგის სამხედრო პირი მკვეთრი კრიტიკით შეხვდა. გადამდგარმა პოლკოვნიკმა და ახლო აღმოსავლეთში პენტაგონის სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენელმა პოლ ლენგმა "ვაშინგტონ პოსტთან" საუბარში განაცხადა, რომ ამერიკელების მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთავაზებას არაბულ სამყაროში კოალიციის სისუსტედ აღიქვამენ. **"ჩვენ ისინი იძულებულნი უნდა გაგვეხადა, რომ ცეცხლის შეწყვეტა თავად ეთხოვათ,"** - განაცხადა პოლკოვნიკმა.

დაახლოებით იგივე აზრს გამოთქვამს ამერიკელების საზღვაო ქვეითთა ლეიტენანტი მეთიუ აგნოლი. მისი განცხადებით, ნებისმიერი შედეგი, ამბოხებულთა განადგურების ან მათი კაპიტულაციის გარდა, კოალიციის დამარცხების მანიშნებელი იქნება. ამჟამად ფალუჯას გარშემო სწორედ საზღვაო ქვეითთა ელიტარული დანაყოფები არიან გამაგრებულები.

ფალუჯა რომ ამბოხებულთა მოქმედების ერთადერთი ქალაქი იყოს, კოალიციისათვის ეს, რასაკვირველია, პრობლემა არ იქნებოდა. სუნიტი და შიიტი პარტიზანები კი ყველგან არიან. ერაყის თითქმის მთელი ტერიტორია მათი სამოქმედო პერიმეტრია. კვირას ამბოხებულებმა ბაღდადში ამერიკელების ელიტარული საბრძოლო ვერტმფრენი - "აპაჩი" ჩამოაგდეს. ქერბალა და ნეჯეფი კვლავ შიიტი ამბოხებულების ხელში რჩება.

ალ-სადრი: "ეს ნამდვილი რევოლუციაა"

კოალიციის ნაწილები კვლავ გამალებით დაეძებენ შიიტების ლიდერს და "მეჰდის არმიის" სარდალს მოქთად ალ-სადრის. მისი ადგილსამყოფელი კი უცნობია. ერაყში აშშ-ს დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პოლ ბრემერმა მმართველი საბჭოს წევრების საშუალებით მას წერილი გაუგზავნა და დანებება მოსთხოვა. პოლ ბრემერი მისი დაჯგუფების "მეჰდის არმიის" დაშლასაც ითხოვს. ამერიკელებმა სადრისგან საპასუხო წერილი მიიღეს. წერილის ადრესატი არც პოლ ბრემერია და არც ერაყის მმართველი საბჭო. სადრი უშუალოდ ჯორჯ ბუშს მიმართავს. ამ წერილის თაობაზე არაბული გაზეთი "ალ-შარქ ალ-აუსათი" იუწყება.

"თუ შენ ადრე სადამი და მასობრივი განადგურების იარაღი გჭირდებოდა, ახლა შენ ერაყელი ხალხის წინააღმდეგ იბრძვი. წადი, თუ არ გინდა, რომ არჩევნებში დამარცხდე. ამერიკას ერაყულ წინააღმდეგობასთან არ უწევს ბრძოლა. ამერიკის წინააღმდეგ ახლა ნამდვილი რევოლუცია მიმდინარეობს," - აცხადებს ალ-სადრი.

ცხადია, ერაყელთა ეს პირველი და მასშტაბური ამბოხი მარცხით დასრულდება. კოალიცია კვლავ გააკონტროლებს ერაყულ ქალაქებს და მალე წინააღმდეგობის ცეტრში - ფალუჯაშიც შეაბიჯებენ. მაგრამ ეს ამბოხი მსოფლიოს დიდხანს დაამახსოვრდება. მის უმთავრეს შედეგად აქამდე მტრად გადაკიდებული სუნიტების და შიიტების გაერთიანება შეიძლება ჩაითვალოს. ეს მოვლენა კი კოალიციისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს.

არიელ შარონი დახმარებას ვაშინგტონს სთხოვს

დღეს აშშ-ში ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი ჩადის. ვიზიტის მიზანი შარონის მიერ ინიცირებული, ღაზას სექტორში ებრაული დასახლებების გაუქმების გეგმისათვის ამერიკელთა მხარდაჭერის მოპოვებაა.

გუშინ კი ტეხასის ერთ-ერთ რანჩოში ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქსა და პრეზიდენტ ბუშს შორის მოლაპარაკებები გაიმართა. ჰოსნი მუბარაქი შტატებში გასულ პარასკევს ჩავიდა და აშშ-ს ხელმძღვანელობასთან ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირების ახალ გზებს განიხილავდა.

შეხვედრისას "საგზაო რუკის" გეგმაც განიხილეს. გეგმის ერთ-ერთი მთავარი პირობა ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დატოვებაა, ხოლო ეგვიპტის როლი, გეგმის მიხედვით, ისრაელის შეიარაღებული ძალების მიერ ტერიტორიების დატოვებისას საზღვრისპირა რაიონებში უსაფრთხოების შენარჩუნება უნდა იყოს. პრინციპში, მუბარაქი წინააღმდეგი არ არის, რომ ეგვიპტემ რეგიონში უსაფრთხოების დამცველის როლი შეასრულოს და მზადაა დაეხმაროს პალესტინის ძალოვან სტრუქტურებს შეიარაღებისა და წვრთნის პროგრამებით. თუმცა მიაჩნია, რომ ღაზას სექტორში უსაფრთხოების დაცვა თავად პალესტინელების საქმეა. მეორე საკითხი, რომელიც დღის წესრიგში იდგა, ისრაელისაგან პალესტინის ავტონომიის ცალმხრივად გამიჯვნის პროცესია.

როგორც ცნობილია, აშშ-ს, რუსეთის, ევროკავშირისა და გაერო-ს ერთობლივი ძალისხმევით 2003 წელს შემუშავებული სამშვიდობო გეგმა "ძალადობის აქტების დაუყოვნებელ, უპირობო შეწყვეტას" ითხოვდა. გასული წლის დეკემბერში ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ცალმხრივი ნაბიჯების გადადგმის მზადყოფნის შესახებ განაცხადა. შარონის სიტყვებით, იგი დაიღალა პალესტინელებთან გაუთავებელი, არაფრისმომცემი მოლაპარაკებებით და იმის მოლოდინით, როდის იქნებიან პალესტინელები მზად მშვიდობისათვის. თებერვალში ისრაელმა გამოაქვეყნა ღაზას სექტორიდან ებრაული დასახლებების ევაკუაციის სქემა, რომელსაც ისრაელის მოსახლეობის 77 პროცენტი ეთანხმება. ამავდროულად, ამ გეგმას ეწინააღმდეგებიან ისრაელის როგორც მემარცხენე, ასევე მემარჯვენე პოლიტიკური ძალები.

ამასობაში, კონფლიქტის რეგიონში ძალადობა გრძელდება. გუშინ საინფორმაციო სააგენტო "როიტერმა" კიდევ რამდენიმე პალესტინელის დაღუპვის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. ისრაელის ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, "როიტერი" აცხადებს, რომ პალესტინელები ღაზას სექტორში ებრაულ დასახლება ნეცარიმზე თავდასხმისას დაიღუპნენ.

სერგეი ივანოვს იანდარბიევის მკვლელობა ბრალდება

ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის ყატარში გახმაურებული მკვლელობის საქმეს ახალი სენსაციური ინფორმაციები ემატება. როგორც ცნობილი ხდება, ამ მკვლელობასთან დაკავშირებული შეიძლება აღმოჩნდეს რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი. ყოველ შემთხვევაში, ამგვარ ინფორმაციას ავრცელებს ყატარის ადგილობრივი გაზეთი "არ-რაია". გაზეთი იუწყება, რომ გამოძიების მასალებში ფიგურირებს სერგეი ივანოვის სახელი. თუ არაბულ გამოცემას დავუჯერებთ, ივანოვმა რუსეთის საელჩოში მომუშავე სპეცსამსახურის თანამშრომელს ოპერაციის მომზადება და განხორციელება პირადად დაავალა. არაბების მტკიცებით, ოფიცერს 19 თებერვალს დაკავებული ორი აგენტი ეხმარებოდა. ძნელია უაპელაციოდ ირწმუნო არაბული გაზეთის აღნიშნული ცნობა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსი დიპლომატის დეპორტაციას ყატარიდან მართლაც ჰქონდა ადგილი, ყატარის პრესის წარმომადგენლის სიტყვებში სიმართლის მარცვალი შეიძლება კიდეც არსებობდეს. "არ-რაია" უფრო შორსაც მიდის და სპეცოპერაციის დეტალებსაც ამხელს. იგი ამტკიცებს, რომ ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტის ჯიპში ჩამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა დოჰაში დამზადდა პლასტიდისაგან და ასევე, ირწმუნება, რომ იანდარბიევზე თვალთვალი რუსული კოსმოსური თანამგზავრიდან ხორციელდებოდა.

აღნიშნულ ცნობას რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მხრიდან საკმაოდ მძაფრი რეაქცია მოჰყვა. სერგეი ივანოვის პრეს-მდივანმა ვიაჩესლავ სედოვმა განაცხადა, რომ აბსურდულის გარდა, ამგვარ ცნობას ვერაფერს დაარქმევს. და ამიტომაც ასეთი მონაჩმახის კომენტირების შესაძლებლობას ვერ ხედავს. შეგახსენებთ, რომ რუსული პრესა აქამდე იტყობინებოდა, რომ ყატარში დაკავებული რუსები "გრუ"-ს (დაზვერვის მთავარი სამმართველო) ოფიცრები იყვნენ და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ჩეჩნეთის კამპანიაში. ნიშანდობლივია, რომ "გრუ" გენერალური შტაბის უფროსის ანატოლი კვაშნინის უშუალო დაქვემდებარებაში შედის, ის კი, თავის მხრივ, პირდაპირ ემორჩილება თავდაცვის მინისტრს და პრეზიდენტს. შესაძლოა, სწორედ ამის გამო ხდება სერგეი ივანოვის "გარევა" იანდარბიევის მკვლელობის საქმეში.

11 აპრილს დოჰაში რუსი მოქალაქეების წინააღმდეგ პირველი სასამართლო პროცესი გაიმართა. ყატარის პროკურატურამ რუსეთის მოქალაქეებს ბრალი ცხრა პუნქტით წაუყენა, მათ შორისაა: სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა (იგულისხმება იანდარბიევის შვილის მძიმედ დაჭრა), ასაფეთქებელი მასალების დამზადება, იარაღის კონტრაბანდა. ამ ნუსხას თან ერთვის კიდევ ერთი მძიმე ბრალდება - ყატარში არეულობის გამოწვევის მცდელობა. თუ რუსების დანაშაული დამტკიცდა, მათ შეიძლება სასიკვდილო განაჩენიც კი გამოუტანონ. ყატარის კანონმდებლობის თანახმად, დაკავებულთა ინტერესებს სასამართლო სხდომაზე მხოლოდ არაბი ადვოკატი დაიცავს, თუმცა მას ორი რუსი და ერთი ამერიკელი იურისტიც დაეხმარება.

ამასობაში ცნობილი ხდება დაკავებული რუსების აქამდე მკაცრად გასაიდუმლოებული ვინაობა. არაბული ტრანსკრიფციით, მათი სახელებია ანატოლი ვლადიმირის ძე ბელაშკოვი და ვასილი ანატოლის ძე ბოკჩოვი. ორივე დაკავებული წაყენებულ ბრალდებებს დღემდე უარყოფს.

მოსკოვი რუსეთის მოქალაქეების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს. რუსული მხარის მტკიცებით, მათი დაკავება დაუსაბუთებელი იყო. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში იყო ნათქვამი, რუსეთის მოქალაქეები კანონიერად იმყოფებოდნენ ყატარში და ადგილობრივი კანონმდებლების რაიმენაირი დარღვევის გარეშე ეწეოდნენ საინფორმაციო-ანალიტიკურ მუშაობას.

Germania
ახალი საზაფხულო განრიგი!

ავიაკომპანია
გერმანია

თბილისი - კიოლნი

კიოლნი - თბილისი პარასკევი 22:30 - 05:40
თბილისი - კიოლნი შაბათი 06:40 - 08:05

განრიგი ძალაშია 19.04.04-დან 31.10.04-მდე
გაფრენის და დაფრენის დროები ადგილობრივია

ერთი გზა 250,- ევრო
ორი გზა 380,- ევრო

გადახდა წარმოებს ლარებში ეროვნული ბანკის კურსით

ქ. თბილისი, თელავის ქ. N20 (სასტუმრო "მეტეხის" კომპლექსი)
ტელ: 77 31 71 ფაქსი: 77 41 71

გერმანია, ქ. კიოლნი 51147, კიოლნ-ბონის აეროპორტი
ტელ: +49 2203 503544, ფაქსი: +49 2203 54490
e-mail: georgien@germaniaairline.de

ონლაინ გაყიდვა WWW.GEXX.DE

ჩვენი მრავალბინიანი სახლების მოვლა-პატრონობა ჩვენვე გვეკითხება

თბილისის საბინაო ფონდის უდიდეს ნაწილს მრავალბინიანი სახლები წარმოადგენს. ყველა ხედავს, რომ მათი ტექნიკური მდგომარეობა და ესთეტიკური სახე დღითი დღე უარსედება, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მასშტაბური ნაბიჯები არ იდგმება. არადა, ჩვენი კანონმდებლობა გვკარნახობს ერთადერთ გამოსავალს - ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბებას; ეს ის სუბიექტებია, რომლებმაც უნდა მართონ მრავალბინიანი სახლები თავისი ეზოებითურთ ან მიმდებარე ტერიტორიით.

ლადო ვარდოსანიძე
საქართველოს ურბანისტთა ასოციაცია

ასეთ კომპლექსს საერთაშორისო პრაქტიკაში კონდომინიუმი ეწოდება; ეს ცნება ახალია ჩვენს პრაქტიკაში და ამიტომ იგი დეტალურ განმარტებას მოითხოვს.

კონდომინიუმი არის მრავალბინიან სახლებში საკუთრების თავისებური ფორმა, რომელიც ორი განუყოფელი კომპონენტისაგან შედგება. პირველია პრივატიზებული ბინები, რომლებიც ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს; ხოლო მეორე - სამეზობლოს საერთო წილადი საკუთრება (სადარბაზო, კიბის უჯრედი, ლიფტი, სხვენი და სახურავი, სახლის მზიდი კონსტრუქციები და საინჟინრო ქსელები და, რაც განსაკუთრებით არსებითია - ეზო ან სახლის მიმდებარე ტერიტორია). დასავლეთში, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კონდომინიუმს ამგვარ პრინციპებზე ორგანიზებულ საცხოვრებელ კომპლექსსაც უწოდებენ.

შემთხვევით არ გავუსვით ხაზი მიწის ნაკვეთის კუთვნილების მნიშვნელობას - ძირითადად, ეს არის სამეზობლო დავების, ახალი მშენებლობების მოსახლეობის მხრიდან გაპროტესტების ასპარეზი, რადგან საქალაქო, ურბანული მიწის სამართლებრივი სტატუსი, ნაკვეთების კუთვნილება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ჯერ დადგენილი არ არის.

საქმე ისაა, რომ ჩვენში უძრავი ქონების ყველაზე მასობრივი ფორმის - ბინების პრივატიზება უსისტემოდ და გაუაზრებლად ჩატარდა. 1992 წლის თებერვალში დაწყებულ ამ საყოველთაო აქციას პოპულისტური ხასიათი ჰქონდა - ქვეყნის ახალმოსულმა მესვეურებმა ხელის ერთი მოსმით შექმნეს მესაკუთრეთა, მართლაც, მასობრივი ფენა - დღეს თბილისში მრავალბინიან სახლებში ბინების 90%-მდეა პრივატიზებული, მაგრამ იმთავითვე დაუდგენელია "თამაშის წესები".

ბინის მესაკუთრეებმა კარგად ვიცით ჩვენი უფლებები - შეგვიძლია ჩვენი ბინა გავყიდოთ, გავაქირაოთ, დავაგირაოთ, ვუანდერძოთ, გავაჩუქოთ. მაგრამ, ეს ყოველივე საკუთრების მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხარე კი მესაკუთრის ვალდებულებებია.

ჩვენი საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სწორედ ეს მეორე მხარე ბინის მესაკუთრეებს ნაკლებად გვაქვს გაცნობიერებული. ეს გასაგებიცაა - ჩვენი თანამემამულეების რამდენიმე თაობამ ისე განვლო თავისი ცხოვრების გზა, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია თავისი სახლების მოვლა-პატრონობაში. მიმდინარე თუ კაპიტალური რემონტი, სახლის ფასადის შეღებვა, სადარბაზოებისა და ეზოების დახვეტა-დასუფთავება, ნაგვის გატანის ორგანიზება - ყოველივე ამაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო იყო.

დღეს ვითარება მკვეთრად შეიცვალა; სახლების მძიმე ტექნიკური მდგომარეობა და ულირსი ესთეტიკური სახე შეიძლება შეუქცევადი გახდეს. დრო და სტიქიური მოვლენები ულმობელია - მათ გამოწვევას ქალაქელების ორგანიზებულობა უნდა დაუპირისპირდეს. გავიმეორებ, გამოსავალი ერთია - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ყველა მრავალბინიან სახლში ჩამოყალიბდეს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა, რომელიც მოუვლის თავისი საცხოვრისის მრავალმხრივ პრობლემატიკას.

ძალა ამხანაგობასა და ერთობაშია

ჭაჭა ფარუაშვილის ფოტო

იმ ობიექტურ მიზეზებს შორის, რომელიც აბრკოლებს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბებას, არის მოსახლეობის დიდი ნაწილის ეკონომიკური გაჭირვება. მრავალბინიანი სახლების ათწლეულის განმავლობაში მოუვლელობით გამოწვეული ტექნიკური და ესთეტიკური მდგომარეობა, საინჟინრო ქსელების ცვეთის ხარისხი ისეთია, რომ მოსახლეობის ფინანსური შესაძლებლობების სრული მობილიზაციაც კი არაადექვატური იქნებოდა გასაწევი დანახარჯების საჭირო ოდენობისა. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სახელმწიფო/მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამების სახსრები წარიმართოს მრავალბინიანი სახლების ავარიულ სამუშაოებზე და კაპიტალურ რემონტზე; მით უფრო, რომ პრივატიზებისას არ დადგენილა სახლების ტექნიკური მდგომარეობა, რაც, ხშირ შემთხვევაში, დააფიქრებდა საპრივატიზაციო ბინის მფლობელებს. სამაგიეროდ, საზოგადოებრივი ფონდები არ უნდა დაიხარჯოს მრავალბინიანი სახლების მიმდინარე რემონტსა და შენახვაზე - მაგალითად, სახურავების შეკეთებაზე, ეზოების მოვლა-აპტრონობაზე და ა.შ.- იქ, სადაც ასამოქმედებელია ბინის მესაკუთრეების შესაძლებლობები.

პრობლემის ეკონომიკური ასპექტის უთუო მნიშვნელობის მიუხედავად, საკვანძო საკითხად მაინც ბინის მესაკუთრეების განწყობა, მათი ცნობიერება გვესახება. რა დასამალია, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერჯერობით ვერ გასცდა ჰომო სოვიეტიკუსის შეგნებას, სარჩენის სოციალურ-ფსიქოლოგიურ განწყობას. მისთვის უცხოა დასავლური კულტურის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული მაქსიმა - "საკუთრება ავალდებულებს"; რომელმაც, მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც კი ჰპოვა ასახვა. გფრ-ს კონსტიტუციის მუხლი 14.2. პირდაპირ აცხადებს: "საკუთრება ავალდებულებს. საკუთრებით სარგებლობა, იმავდროულად, უნდა ემსახურებოდეს საზოგადო სიკეთეს".

ამის საწინააღმდეგოდ, საქართველოში ბინის პრივატიზების სქემის დადგენისას ხელიდან გაშვებული იქნა შესაძლებლობა, ბინის ახალ მესაკუთრეს მოეპოვებინა საკუთრების უფლება მხოლოდ გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ, როგორც ეს გაკეთდა, თუნდაც, სლოვაკეთის რესპუბლიკაში. იქ, ბინის პრივატიზებამდე საკუთრების უფლების მაძიებელი ვალდებულებას იღებდა, გამხდარიყო ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი და დაეცვა კონდომინიუმის მართვის ყველა წინასწარ განსაზღვრული პირობა. ამის საწინააღმდეგოდ, საქართველოში, ხშირ შემთხვევაში, მრავალბინიანი სახლების მობინადრეებს შორის მოქმედებს დაუწერელი სქემა - სახურავს პატრონობენ ზედა სართულების მაცხოვრებლები, სახლის მიმდებარე მიწის ნაკვეთს - პირველ სართულზე მცხოვრებნი და ა.შ.

მრავალბინიან სახლებში ცალკე პრობლემად იკვეთება არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეების მოვალეობა, მონაწილეობა მიიღონ კონდომინიუმის მართვაში. რეალობაში, მრავალბინიანი სახლების, ძირითადად, პირველ სართულებზე განთავსებული მაღაზიების, ოფისების, კაფეებისა და სხვა ამგვარი დაწესებულებების მესაკუთრეებს წარმოდგენაც არა აქვთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან, ჩაერთონ მთელი სახლის მართვაში. ამ ვალდებულებას განსაკუთრებით ძნელად იზიარებენ ის მესაკუთრეები, რომელთა ობიექტები განთავსებულია ცენტრალური ქუჩა-მაგისტრალების გაყოლებით და დამოუკიდებელი შესასვლელი აქვთ.

დიდ პრობლემებს ქმნის მრავალბინიან სახლებში საკუთრების შერეული (კერძო და საზოგადოებრივი) ხასიათი, ანუ - პოტენციური ამხანაგობების მრავალსუბიექტურობა. თუ, მაგალითად, თბილისის ბინების 90%-მდე პრივატიზებულია, დარჩენილი 10% სახელმწიფოს ეკუთვნის (საქართველოში ჯერჯერობით მუნიციპალური საკუთრება სახელმწიფო საკუთრებისგან გამიჯნული არ არის) და, პრაქტიკულად, სოციალურ (საზოგადოებრივ, მუნიციპალურ) საბინაო ფონდს წარმოადგენს. ეს თავისებურება ჩვენებურ კონდომინიუმებს პრინციპულად განასხვავებს კონდომინიუმებისაგან, ვთქვათ, აშშ-ში, სადაც ისინი იმთავითვე ამ სამართლებრივი ფორმით პროექტდება, შენდება, იყიდება ან ქირავდება და გამოიყენება. საკუთრების შერეული ხასიათი მით უფრო პრობლემურია ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გამო, რომლებიც, როგორც წესი, თავს იკავებენ მათი კუთვნილი წილის ფარგლებში კონდომინიუმებში საერთო წილადი საკუთრების მართვაში მონაწილეობისგან. საკუთრების ფორმის ერთგვაროვნების შენარჩუნება საფუძვლად უდევს იმ პრაქტიკას, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლება ახორციელებს აღმოსავლეთ ახლად შემოერთებულ მიწებზე, მაგალითად - ყოფილ აღმოსავლეთ ბერლინში. ამ ზონაში მრავალბინიან სახლებში პრივატიზებულ ბინათა წილი ნახევარს ვერ აღწევს; შექმნილია და წარმატებით მოქმედებს შერეული - მუნიციპალური-კერძო მმართველი კომპანიები. პოზიტიური შედეგიც სახეზეა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ სულ სხვა სურათი ისახება ახალაშენებულ სახლებთან მიმართებაში. ცნობილია, რომ ამჟამად თბილისში საბინაო მშენებლობას, ძირითადად, ახორციელებენ კერძო სტრუქტურები, თანაც - ქალაქის, პრესტიჟულ უბნებში და საზოგადოების შეძლებული ფენებისათვის. სასურველია, რომ ამგვარი ობიექტები იმთავითვე კონდომინიუმის იდეოლოგიის კონტექსტში მოიაზრებოდეს - დაწყებული სახლის გეგმარებით სტრუქტურაში შესაბამისი სათავსების გათვალისწინებიდან, ვიდრე კონკრეტული ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში მომავალი მესაკუთრის უფლება-მოვალეობის დეტალურ გაწერამდე. ამ შემთხვევაში მომავალ მესაკუთრეთა პირადი ინტერესები და საბინაო ფონდის მართვისა და ურბანული განვითარების ზოგადი მიზნები ერთმანეთს დაემთხვევა.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ერთიანი ნაციონალური საბინაო ფონდის ისეთი მნიშვნელოვანი სექტორის მართვას, როგორიცაა პრივატიზებული ბინები მრავალბინიან სახლებში, ადეკვატური ძალისხმევა ესაჭიროება. ამისთვის ასამოქმედებელია ყველა დონე - პოლიტიკური, საკანონმდებლო, ფინანსური, ინსტიტუციური, ინფორმაციული, მეთოდური. ამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სათანადოდ დაგეგმილი, ორგანიზებული და წარმართული კონდომინიუმების ნაციონალური პროგრამის მეშვეობით. ასეთი პროგრამების განმახორციელებელი სპეციალისტები საქართველოში უკვე არიან.

როგორ დაასაქმებს 25 თეთრი 25 ათასამდე თბილისის მოქალაქეს

ვლადიმერ მჭედლიშვილი

ქართველ ხალხს არ ეკადრება ასეთი დაბინძურებული და მოუწესრიგებელი ქალაქი, როგორიც ამჟამად თბილისია. მინდა, დედაქალაქის საზოგადოებას დიდი მოკრძალებით შევთავაზო ერთი ძალინ მარტივი ბიზნესპროექტი, რომელიც თბილისის მაცხოვრებელებს ამ პრობლემას მოუხსნის და თბილსს მზისა და ვარდების ქალაქის სახელს დაუბრუნებს. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, მხოლოდ შესრულდეს ერთი პირობა - საზოგადო საქმის კეთება და კეთილმეზობლური ტრადიციების აღდგენა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩამოყალიბდება საზოგადო ბიზნესმენის ინსტიტუტი. საზოგადო ბიზნესმენი არის სავაჭრო ობიექტის მეპატრონე, რომელიც ახლომდებარე საცხოვრებელი კორპუსის მამასახლისობას შეითავსებს და კორპუსის კეთილმოწყობისათვის ყოველთვიურად 200-300 ლარს გამოყოფს. ამის გარდა, კორპუსს ეყოლება მეეზოვე, რომელიც კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის ყოველდღიურ დასუფთავებაზე იზრუნებს და ხელფასი 80 ლარი ექნება; საცხოვრებელი კორპუსის ყველა სადარბაზოს ეყოლება კარისკაცი, რომელსაც სადარბაზოში სისუფთავისა და წესრიგის დაცვა დაევალება. მისი ხელფასიც 80 ლარი იქნება; კორპუსის მობინადრეების წვრილმან დავალებებს (პროდუქტის ბინაზე მიტანა...) კი შეასრულებს ორი, 10-15 წლის მოზარდი, რომელნიც გასამრჯელოდ 60 ლარს მიიღებენ; კორპუსის წინამდებარე სავაჭრო ჯიხური ღამის საათებში საყარაულო ჯიხურების ფუნქციებს შეასრულებს და უზრუნველყოფს კორპუსის განათებას; ამ ყველაფერს საზოგადო ბიზნესმენი დააფინანსებს, მხოლოდ იმ პირობით, თუკი ახლომდებარე ერთი ან რამდენიმე პატარა კორპუსის ყველა მობინადრე ყოველდღიური მოხმარების პროდუქტს მის სავაჭრო ობიექტში იყიდის. მხოლოდ პურისა და სიგარეტის შესაძენად თითოეული ოჯახი ყოვედღიურად, საშუალოდ, 2 ლარს ხარჯავს. ამ თანხიდან 12 პროცენტი, ანუ - 25 თეთრი, მოგების სახით, რჩება სავაჭრო ობიექტის მეპატრონეს. ზუსტად ეს 25 თეთრი დაასუფთავებს და მოაწესრიგებს ჩვენს დედაქალაქს. ახლა ვნახოთ, რა მოგება დარჩება საზოგადო ბიზნესმენს. თუ ორი ან სამი საცხოვრებელი კორპუსის 300-მა ოჯახმა ყოველდღიურად მის მაღაზიაში მხოლოდ პური და სიგარეტი შეიძინა, მაღაზიის მეპატრონეს დღეში 750 ლარი, თვეში კი - 2 300 ლარი შემოსავალი ექნება. საზოგადო ბიზნესმენმა კორპუსის სერვისმომსახურებისათვის 1300 ლარი რომ გამოყოს, მხოლოდ პურისა და სიგარეტის ხარჯზე, 1000 ლარი მოგება მაინც რჩება. კმაყოფილი რჩებიან საზოგადო ბიზნესმენიც და კორპუსის მობინადრეებიც.

აღნიშნულის გარდა, ჩემი ბიზნესპროექტი მეორე ვარიანტსაც ითვალისწინებს. რადგან თბილისის მერიას გადაწყვეტილი აქვს, საცხოვრებელი კორპუსის ყველა მობინადრე კოლექტიური, ამხანაგური მეპატრონე გახადოს და მათ კორპუსების მოსაწესრიგებლად ყოველთვიურად გარკვეული თანხა გამოუყოს, ყველა საცხოვრებელ კორპუსს შეიძლება, გამოუჩნდეს ღირსეული კოლექტიური მეპატრონე, რომელიც ზემოთ აღნიშნულ სერვის საქმიანობას შეუდგება და საზოგადო საქმეში კორპუსის ყველა მობინადრეს ჩართავს. თბილისის მასშტაბით გაერთიანდება უბნები, ჩამოყალიბდება ამხანაგურ მეპატრონეთა შპს-ები, რომლებიც უფრო ორგანიზებულად დაიცავენ მოქალაქეთა ინტერესებს.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი ატარებს სასწავლო კურსს

ინგლისური ენა იურისტებისათვის

სწავლა ფასიანია. კურსდამთავრებულები მიიღებენ სერტიფიკატებს.

საბუთების მიღება ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-დან 16 საათამდე, 2004 წლის 15 აპრილამდე.

მის.: იუსტიციის სასწავლო ცენტრი, რუსთაველის 30
(იუსტიციის სამინისტრო)
ტელ: 98-42-69, 75-83-32
მობ: 899 208 708
ელ: ფოსტა: T.C.J@justice.gov.ge

სტუდენტები შიშობენ

"გავიგეთ, რომ გროვდება ხელმოწერები მამა ზაზა თევზაძის, მამა გიორგი ჩაჩავასა და მამა ბასილ კობახიძის განსაკვეთად. გვინდა, საწინააღმდეგო აზრი დავაფიქსიროთ. ისინი ამგვარ დამოკიდებულებას არ იმსახურებენ," - თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტები კახა ოღაძე და მედეა შამუგია "24 საათს" ეწვივნენ სხვა სტუდენტების და საკუთარი შეხედულებების გასაცნობად.

"მე, პირადად, მქონდა შეხება მამა ზაზასთან. ის ჩემი ლექტორი იყო და მინდა, ვთქვა, რომ ასეთ რამეს ნამდვილად არ იმსახურებს," - ამბობს კახა, - **„ჩვენი აზრით, ეს ხელმოწერები გროვდება იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ებრძვიან ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას. მამა ზაზას, მამა გიორგისა და მამა ბასილს ფანატიკოსები ებრძვიან. ასეთები, სამწუხაროდ, ბევრნი არიან ჩვენს საეკლესიო საზოგადოებაში. მათთან მეც მქონია შეხება და ბევრ სხვასაც. სწორედ მათ უნდა ებრძოლოს ეკლესია და არა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს. მე მჯერა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის; მჯერა, რომ გაგებით მოეკიდება ყველაფერს და ამ ხელმოწერებს, ამ გაუმართლებელ პოზიციას არ აღიარებს."**

"რწმენის ნაკლებობა დღევანდელ მართლმადიდებლურ ეკლესიაში ისე იგრძნობა, როგორც არასდროს," - ამატებს მედეა, - **„მეც, პირადად, ძალიან მაშფოთებს ეს ვითარება. ყველაზე პროგრესული და ნათელი პიროვნებების დევნა, კარგა ხანია, დაიწყო და ახლაც გრძელდება; უკვე საგანგაშო ხასიათიც მიიღო - ხელმოწერების შეგროვებაც კი დაიწყეს ისეთი ადამიანების წინააღმდეგ, როგორებიც არიან მამა ბასილი, მამა ზაზა და მამა გიორგი. ორ მათგანს მე ვიცნობ. მამა ზაზა ჩემი ლექტორია, მამა ბასილი კი კავკასიურ სახლში გავიცანი, როცა თემაზე ვმუშაობდი და ის სრულიად უცნობ ადამიანს საოცარი გულისხმიერებით დამეხმარა. შეიძლება, ეს დეტალია, მაგრამ კარგად მეტყველებს ადამიანის პიროვნებაზე. ასეთ ადამიანებს, დევნის ნაცვლად, მოფრთხილება სჭირდებათ."**

სტუდენტები ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II სახელზე წერილის გაგზავნას აპირებენ. როგორც "24 საათს" საქართველოს საპატრიარქოში განუცხადეს, რაიმე მოთხოვნა ზემოთ ჩამოთვლილი მამების განკვეთის თაობაზე საპატრიარქოში არ შესულა. შესაბამისად, საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

24 საათი



შაბათს,
10-23
თებერვლის
ნომერში
წაიკითხავთ

ყოველწლიური
ლიტერატურული
პრემიის,
"საბას"
ფინალური ეტაპის
ნომინანტების სიას

დათო ქარდავას
მოთხრობას

რატი ამაღლობელის
ლექსებს

რეცენზიებს
გურამ დოჩანაშვილის,
ირაკლი ლომოურის,
შალვა ბაკურაძის,
ლაშა ბუღაძის,
ჯიბრან ხალილ
ჯიბრანის
წიგნების შესახებ.

ინტერვიუს
ზვიად რატიანთან

ქუთაისის საკრებულოს ძებნილი თავმჯდომარე გამოძიებას თანამშრომლობას სთავაზობს

პირველი გვერდიდან

დავით ბენიძის დაკავება პროკურატურამ 19 მარტს სცადა. საკრებულოს თავმჯდომარის ოთახში განხორციელებული ჩხრეკის შედეგად აღმოაჩინეს ნარკოტიკული საშუალება "სუბოტექსი". მაშინ საქმეში თანაპარტიელის დასაცავად ჩაერთვნენ "მემარჯვენე-მრეწველების" ლიდერები - დათო გამყრელიძე და დათო საგანელიძე. ჩხრეკისას მათ საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტის კარები შეტეხეს და, ნებსით თუ უნებლიედ, ბენიძეს გაქცევაში დაეხმარნენ. ამჟამად ბენიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თანამდებობრივი გულგრილობის, ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ შეძენა-შენახვისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით არის აღძრული. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მას საკრებულოს თავმჯდომარის პოსტიც დაატოვებინა, ხოლო საოლქო სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა საბოლოოდ შეუფარდა.

საქმე, რომელიც ბენიძის "გამოჭერას" დაედო საფუძვლად, პროკურატურაში კარგა ხნის წინ აღიძრა და იგი მდინარე წყალწითელას მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენებულ სასათბურე მეურნეობას ეხება, რომელიც ბენიძის ქალაქის მუნიციპალური მართვის სამსახურის უფროსად მუშაობისას პირწმინდად გაიძარცვა; სამაგიეროდ, იქვე ანალოგიური, ოღონდ - კერძო სასათბურე მეურნეობა წამოიჭიმა. ზარალი, რომელიც სახელმწიფომ აღნიშნული მეურნეობის განადგურებით განიცადა, 322 ათას ლარს შეადგენს. **"1998 წელს აღნიშნული სასათბურე მეურნეობა უსასყიდლოდ გადაეცა საფიჩხიის მუნიციპალიტეტს. 1999 წლის მაისში კი აღნიშნული მეორნეობა საკრებულოს სარევიზიო კომისიამ შეამოწმა და იქ დაკარგული არაფერი იყო. 1999 წლის მარტიდან მუნიციპალური მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დავით ბენიძე დაინიშნა. 2000 წელს "წყალწითელას" სასათბურე მეურნეობა სწორედ მისი სამსახურის ბალანსზე გადავიდა. ამ დროიდან დაიწყო სათბურების განიავება,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქუთაისის პროკურორმა გელა გოგლიჩიძემ. მისივე განმარტებით, ბენიძემ სასათბურე მეორნეობის ძარცვის შესაჩერებლად და დასაცავად არაფერი გააკეთა. **"დღეს იმ ტერიტორიაზე რამდენიმე აგურიღა გდია. სწორედ აღნიშნულის გამო დათო ბენიძე გამოჩენილი სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე ეჭვმიტანილად იქნა ცნობილი. 19 მარტს იგი ქუთაისის პროკურატურაში მოვიწვიეთ, მაგრამ მან დაკითხვაზე დუმილის უფლება გამოიყენა. ამის გამო მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ჩხრეკა ჩატარებულიყო როგორც მის სამუშაო კაბინეტში, ასევე საცხოვრებელ სახლში,"** - აცხადებს გოგლიჩიძე. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებისას უზრუნველყოფილი იქნა ბენიძის მოთხოვნა და ჩხრეკას დაესწრო ყველა ის პირი, ვინც ბენიძემ თავად დაასახელა. **"ჩხრეკა დასასრულს მიუახლოვდა, როდესაც მივმართე ბენიძეს, რაიმე საპრეტენზიო ხომ არ ჰქონდა. მან მაგიდაზე დადებული ნივთები გადაათვალიერა და განაცხადა, რომ ერთ-ერთი ამპულა მას არ ეკუთვნოდა; არადა, აღნიშნული შუშა ერთი საათი იდო მაგიდაზე და მას პრეტენზია მანამდე არ გასჩენია,"** - განაცხადა გოგლიჩიძემ. ამ პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარის ოთახში "მემარჯვენემრეწველების" ლიდერები შეიჭრნენ. ბენიძემ შექმნილი არეულობა მოხერხებულად გამოიყენა და საკრებულოს შენობიდან გაუჩინარდა.

დავით ბენიძე თანახმაა ორმაგი თანხა გადაიხადოს.

პოლიციაში სასათბურე მეურნეობის ძარცვის ფაქტზე საქმე ცალკე აღიძრა. გამოძიებამ უნდა გაარკვიოს, ბენიძე სასათბურე მეორნეობის განადგურებისას შეგნებულად მოქმედებდა თუ არა. ამჟამად იგი ქუთაისის პროკურატურის გამომძიებლებს ინტენსიურად უთვლის, რომ მზადაა არა მარტო 322 ათასი ლარის, არამედ ორი ამდენის გადახდისთვისაც, სანაცვლოდ კი პატიმრობის შეცვლას მოითხოვს. გოგლიჩიძის განმარტებით, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგანაც მის საქმეს, თანამდებობრივი გულგრილობის გარდა, კიდევ ორი დანაშაული - ნარკოტიკების შეძენა-შენახვა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა ამძიმებს. გარდა ამისა, იმერეთის საოლქო პროკურატურაში ცალკე აღიძრა საქმე, რომელიც შემდეგნაირად დაკვალიფიცირდა: წინასწარი გამოძიებისათვის ხელის შეშლა, პროკურორის, გამომძიებლისა და მომკვლევის საქმიანობაში უკანონო ფორმით ჩარევა და პოლიციის მუშაკისათვის წინააღმდეგობის გაწევა. მართალია, აღნიშნული საქმე ფაქტზეა აღძრული, მაგრამ ზემოთ აღნიშნულ ქმედებებში დათო გამყრელიძე და დათო საგანელიძე ფიგურირებენ, ამიტომაც საქმე გამოსაძიებლად გენერალურმა პროკურატურამ დაიქვემდებარა.

დაღესტნიდან გატაცებული ჰოლანდიელი თითქმის ორი წლის შემდეგ გაათავისუფლეს

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის "ექიმები საზღვრებს გარეშე" თანამშრომელი ჰოლანდიელი არიან ერკელი, რომელიც ჩეჩნეთის მახლობლად ორი წლის წინ გაიტაცეს, რამდენიმე თვიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ, კვირას პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად გაათავისუფლეს. ამჟამად იგი უკვე მოსკოვშია გადაყვანილი.

35 წლის არიან ერკელი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში "ექიმები საზღვრებს გარეშე" მისიას ხელმძღვანელობდა, 2002 წლის 12 აგვისტოს დაღესტნის პერიფერიაში, ჩეჩნეთის საზღვრის მახლობლად სამმა ნიღბიანმა პირმა გაიტაცა. გაზეთ "ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ეს ის ტერიტორიაა, სადაც ადამიანების გატაცებით ისევე არიან დაკავებული რუსი სამხედროები, როგორც მათ წინააღმდეგ მებრძოლი აჯანყებულები. გატაცებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ერკელის ორგანიზაციამ "ექიმები საზღვრის გარეშე" მიიღო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ერკელის გატაცებაში მონაწილეობდა ტჟბ-ს ორი თანამშრომელი. შეტყობინების მიღებისთანავე ორგანიზაციამ მიმართა ევროსაბჭოს და რუსეთის ხელისუფლებას გატაცების საქმეში პასუხისმგებლობა დააკისრა.

ორგანიზაციის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, "იმ ღამეს, როდესაც ერკელი გაიტაცეს, მის მანქანას უკან მიჰყვებოდა რუსეთის სპეცსამსახურების ორი ოპერატიული თანამშრომელი, რომლებმაც თავადვე აღიარეს, რომ არაფერი გაუკეთებიათ უცხოელის გამტაცებელთათავის ხელის შესაშლელად".

გატაცებული თანამშრომლის გათავისუფლების და დამნაშავეების დასჯის კატეგორიული მოთხოვნით ორგანიზაციის "ექიმები საზღვრებს გარეშე" პრეზიდენტმა სულ ახლახან მიმართა რუსეთის ხელისუფლებას. მეტიც, ტომას ნირლემ ერკელის გატაცებასთან დაკავშირებით სკანდალური განცხადებაც გააკეთა და რუსეთის ხელისუფლება საერთაშორისო ექსპერტის გატაცებაში დაადანაშაულა. **"არიან ერკელი სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტერესების მსხვერპლი გახდა, ეკონომიკურმა და ანტიტერორისტული ბრძოლის იმპერატივებმა, იმაზეც იმოქმედა, რომ ნიდერლანდებმაც კი, რომლის მოქალაქეცაა ერკელი, მოსკოვზე ზეწოლა არ მოახდინა,"** - განაცხადა ტომას ნირლემ.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის წარმომადგენლის წელიწადნახევრიან დატყვევებაში მხოლოდ ადამიანის გამტაცებელთა მაფია ვერ იქნება გარეული და ამ საქმეში რუსეთისა და დაღესტნის ხელისუფლებათა დაინტერესებაც იკვეთება. კერძოდ, ორგანიზაციის მესვეურნი ეჭვობენ, რომ ერკელის გატაცება კიდევ ერთი გაფრთხილება იყო თავად ორგანიზაციასთან მიმართებაში, რათა მათ შეეწყვიტათ ჩეჩნეთში ჰუმანიტარული მოღვაწეობა. გატაცებაში ოფიციალურ პირთა მონაწილეობის ეჭვი "ექიმები საზღვრებს გარეშე"-ს თავკაცებს იმ ფაქტის გამოც აღეძრათ, რომ ისინი მზად იყვნენ გამტაცებლებისთვის ნებისმიერი რაოდენობის თანხა გადაეხადათ, გამოსასყიდის თაობაზე საიდუმლო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა კიდეც, მაგრამ შემდგარი გარიგება ბოლო მომენტში რატომღაც იშლებოდა ხოლმე და შუამავლები კონტაქტზე აღარ გამოდიოდნენ.

ტომას ნირლე აცხადებს, რომ ერკელის გატაცების ძირითადი მოტივი პოლიტიკაა. **"ჩვენი ინფორმაციით, ერკელი მსხვერპლი გახდა ჩრდილოეთ კავკასიაში დაფუძნებული კლანების ომისა, რომელთაც სერიოზული კავშირები აქვთ მოსკოვთან,"** - ამბობს ნირლე. უფრო კატეგორიულ განცხადებებს აკეთებს საერთაშორისო ორგანიზაციის საფრანგეთის ოფისის ხელმძღვანელი. გაზეთ "Le Monde"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ჟან-ერვე ბრადოლმა განაცხადა, რომ **"დაჯგუფებას, რომელსაც გატაცებული ყავს არიანი, მფარველობენ რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატები."** "ექიმები საზღვრის გარეშე"-ს საგანგებო სიტუაციათა ჯგუფის უფროსის ჟან კრისტოფ აზის განცხადებით, **"გატაცების კვალი მიდის რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატებამდე. ჩვენ ინფორმაციას ყოველთვის ვღებულობდით დაღესტნის ოფიციალური, ან ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაახლოებული პირებისგან. ფაქტია, რომ მოსკოვსა და დაღესტანში ერკელის ადგილსამყოფელის შესახებ სერიოზულ ინფორმაციას ფლობენ, იციან სად არის ის, რომელ დაჯგუფებას ყავს გატაცებული, შესაბამისად, რუსეთის სპეცსამსახურებისთვის მისი გათავისუფლება პრობლემას არ წარმოადგენს, ისინი კი ამას არ აკეთებენ,"** - ამბობს ჟან კრისტოფ აზი, რომელიც უშუალოდ აწარმოებდა მოლაპარაკებებს შუამავლებთან და სწორედ მისი მეშვეობით გადასცა რუსეთის სპეცსამსახურებმა ნიდერლანდების ხელისუფლებას ვიდეოფირი, რომელზეც ცოცხალი არიან ერკელი იყო გადაღებული. გარდა ამისა, ჟან კრისტოფ აზს სპეცსამსახურებმა გადასცეს მძევლის ფოტო და ერკელის მობილურ ტელეფონზე დარეკილი სატელეფონო ზარების სია, რომელთა შორისაც ფიგურირებდა ცნობილ დაღესტნელ ჩინოვნიკთა ტელეფონის ნომრები.

დღეს კი დაღესტნის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელი არ აზუსტებს იმ სპეცოპერაციის დეტალებს, რომლის შედეგადაც არიან ერკელის ტყვეობიდან გამოხსნა მოხერხდა. ოფიციალური ცნობა მხოლოდ იმის შესახებ იუწყება, რომ ოპერაციაში სპეცსამსახურების თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

თითქმის ორწლიანი ტყვეობიდან გათავისუფლებული ერკელი კი არაფერს ამბობს სამართალდამცველთა ღვაწლზე და გათავისუფლების გამო მადლობას მხოლოდ საკუთარ ორგანიზაციასა და ღმერთს უხდის. ხანგრძლივ მძევლობას მისი ჯანმრთელობა სერიოზულად არ შეურყევია. **"ეს არაჩვეულებრივი გრძნობაა, ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ სიცოცხლე დამიბრუნა და დღეს უკვე სახლში ვიქნები,"** - განუცხადა აღტაცებულმა ერკელმა ჟურნალისტებს.

მისი ორგანიზაცია კი კიდევ ერთხელ გამოთქვამს პრეტენზიებს გამოძიების უმოქმედობის გამო:

"გამოძიებამ არაერთხელ მოგვცა საფუძველი გვეფიქრა, რომ რუსეთის ხელისუფლება დამნაშავეთა მოძიებით დიდად არ უნდა იყოს დაინტერესებული, - აცხადებს ტომას ნირლე, - **გამოძიება ყოველ ფეხის ნაბიჯზე მუხრუჭდებოდა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი საქმის მიჩქმალვით უფრო არიან დაინტერესებულნი, ვიდრე პრობლემების მოგვარებით."**

ადამიანების გატაცება კი ჩრდილოეთ კავკასიაში კვლავაც უზარმაზარ პრობლემად რჩება. დღევანდელი ოფიციალური მონაცემებით, იქ გატაცებულად ითვლება 1808 ადამიანი, აქედან 1699 მძევლად აყვანილია ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. 2003 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში 747 ადამაინი გაიტაცეს, აქედან 605 ჩეჩნეთში. მათგან ჯერჯერობით მხოლოდ 137-ის გათავისუფლება მოხერხდა.

24 საათი

პროექტის სამედიცინო მრჩეველი

"BP"-ის ნავთობსადენის პროექტების განხორციელების მიზნით და "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას "ILA" სურვილი აქვს დაიქირავოს შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე პირი პროექტის სამედიცინო მრჩევლის თანამდებობაზე.

პროექტის სამედიცინო მრჩეველი იქნება "BP"-ის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტში მონაწილე მესამე მხარე კონტრაქტორი, რომელიც "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებს.

სამუშაოს დახასიათება:

გაუწიოს დახმარება პროექტის მენეჯმენტსა და პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერს კაპიტალური ფასეულობების პროცესისა (CVP) და პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი Mმოთხოვნების შესაბამისად მიერ ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სფეროში დასახული მიზნების მიღწევაში.

პროექტის სამედიცინო მრჩევლის მთავარი ფუნქციაა დაეხმაროს საპროექტო გუნდს შემდეგი მიზნების მიღწევაში:

- აზერბაიჯან-საქართველოს ყველა უბანზე ჯანმრთელობის სათანადოდ დაცვის (Getting Health Right) ამოცანების გათვალისწინებით პროექტის სამედიცინო სტრატეგიის, პროექტის ჯანდაცვითი პროცედურისა და პროექტის ჯანდაცვითი პროგრამის განხორციელებისთვის ხელშეწყობა;
- პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს მენეჯმენტთან მუშაობა კონტრაქტორების მიერ შემოთავაზებული სამედიცინო მენეჯმენტისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამედიცინო გეგმის კრიტიკულად შესაფასებლად, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროექტის მაღალი ეფექტურობა და ხარისხი ყველა იმ საკითხში, რომელიც ჯანმრთელობისა და სამედიცინო მენეჯმენტს შეეხება.

მოვალეობები:

ზოგადი მოვალეობები შედგება, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი საქმიანობებით:

- საპროექტო-სამედიცინო მზადყოფნის აუდიტის გრაფიკის შემუშავება და საგანგებო სამედიცინო რეაგირებისა და სანიტარიის საკითხებში კონტრაქტორის ბანაკსა და სხვა უბნებზე აუდიტების წარმოება კომპანიის მიერ შემუშავებული მოთხოვნების შესაბამისად. ამ დროს ის იმუშავებს კონტრაქტორებთან როგორც კომპანიის აგენტი ჯანმრთელობისა და სამედიცინო საკითხებში მომზადებულობის უზრუნველსაყოფად.
- პროექტის მენეჯმენტის წარმომადგენლობა ქვეყნის სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა სახელისუფლო ორგანოებთან და პროექტის მენეჯმენტის ინფორმირება ყველა იმ ცვლილებაზე, რაც შეიძლება მოხდეს ჯანდაცვის საკითხების მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობაში (კანონები, ბრძანებულებები და ა.შ.).
- აზერბაიჯან-საქართველოში არსებული სამედიცინო მომსახურების პუნქტების ეფექტურობის, ხელმისაწვდომობისა და ხარისხის შეფასება. პროექტის მენეჯმენტისთვის რჩევების მიცემა რომელიმე ამ საშუალებასთან დაკავშირებით რაიმე ფორმალური მოქმედებების განხორციელების საჭიროების შესახებ და მათი განხორციელება პროექტის სახელით.
- ადგილობრივ სამედიცინო მომსახურების პუნქტებში განხორციელებული საპროექტო მომსახურების შემთხვევების შემოწმება პროექტის ფარგლებში დადგენილი მოვლის სათანადო სტანდარტების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად და პროექტის მენეჯმენტსა და ადგილობრივ სამედიცინო მომსახურების პუნქტებს შორის მაკავშირებელი პირის როლის შესრულება.
- პროექტის მომსახურე პირის, ისევე როგორც კონტრაქტორის (თუ ეს სათანადო პროექტის მენეჯმენტმა ითხოვა) სამედიცინო ევაკუაციის შემთხვევების შემოწმება და იმის უზრუნველყოფა, რომ რეაგირების დონე შეეფერება პროექტისაგან მოსალოდნელ ხარისხსა და ეფექტურობას.

გამოცდილება და განათლება:

მოთხოვნილია შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაციები:

- სამედიცინო ხარისხი.
- ტრამვების, საგანგებო სიტუაციების მედიცინის, ზოგადი თერაპიისა და/ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე კლინიკასა თუ საავადმყოფოში მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება.
- ავარიული სიტუაციებისა და საგანგებო შემთხვევების მედიცინის, პირველადი სამედიცინო დახმარების, ტრამვის გამო სასიცოცხლო დახმარებისა (ATLS) და კარდიალური სასიცოცხლო დახმარების (ACLS) კარგი და თანამედროვე ცოდნა.
- კარგი კომუნიკაციური, ორგანიზაციული, სწავლება-პრეზენტაციისა და კომპიუტერთან მუშაობის უნარი.
- აზერბაიჯანსა და საქართველოში პროექტის უბნებისთვის სპეციფიური დაავადებების ცოდნა და მათთან მუშაობის გამოცდილება;
- უნდა გააჩნდეს აზერბაიჯანსა და საქართველოში არსებული ჯანდაცვის კანონმდებლობის/სტანდარტებისა თუ მოთხოვნების ცოდნა ან მისი ეფექტურად შესწავლა; მზად უნდა იყოს და უნდა შეეძლოს ჯანდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან და საავადმყოფოების მენეჯმენტთან მუშაობა.
- უნაკლოდ უნდა ფლობდეს წართულსა და ინგლისურს.
- უნდა ჰქონდეს კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (MS Windows).
- დასავლეთის მედიცინასთან პრაქტიკული ხელშეხება (ტრეინინგის კურსები, მუშაობის გამოცდილება, და ა.შ.), პროფესიული ჯანდაცვისა და ჰიგიენის ზოგადი ცოდნა, სამედიცინო ევაკუაციის (ჰაერით, გზებით და ა.შ.) უნარ-ჩვევები და აგრეთვე პროექტის ტერიტორიის მიმდებარე უბნებზე არსებული სამედიცინო დახმარების პუნქტების ცოდნა უპირატესობად იქნება მიჩნეული.

კანდიდატი მზად უნდა იყოს, რომ საჭიროებისდა მიხედვით იმუშაოს დაშორებულ უბნებზე, თანაც გრძელი პერიოდით და ხელმისაწვდომი იყოს 24 საათის განმავლობაში.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 15 აპრილი, 6:00 სთ.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

"ომეგაჯგუფი" პროკურატურისა და შსს-ს წინააღმდეგ

"ოჯთ-ს" ოფისში საგამოძიებო მოქმედებების დასრულების მიუხედავად სპეცდანიშნულების რაზმი 10 დღეზე მეტია, სრულიად უსაფუძვლოდ იმყოფება "ომეგაჯგუფის" ვაშლიჯვრის ოფისის ტერიტორიაზე. ამ ხნის მანძილზე ჩვენ ხუთზე მეტი შუამდგომლობა დავაყენეთ გენერალური პროკურატურის წინაშე, რომლითაც "ომეგაჯგუფის" საწარმოებისათვის მუშაობის საშუალების მიცემას ეხება, თუმცა პროკურატურა კანონს არღვევს და შუამდგომლობაზე პასუხს არ გვცემს," - აცხადებს "ომეგაჯგუფის" ადვოკატი იოსებ ბარათაშვილი.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიერ 10 მარტს გაცემული სანქციით დადგენილი ვადა, რომელიც "ომეგაჯგუფის" ოფისებიდან დოკუმენტაციის ამოღებას ითვალიწინებს, უკვე ამოიწურა, თუმცა პროკურატურა ვაშლიჯვრის ოფისიდან სპეცრაზმის გაყვანას მაინც არ აპირებს.

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის გია ლაცაბიძის განმარტებით, "ომეგაჯგუფის" უძრავ-მოძრავ ქონებას აქციზური მარკების სამსახურის მოთხოვნით თბილისის საოლქო სასამართლო განჩინებით ყადაღა აქვს დადებული.

"პროკურატურა რა შუაშია აქციზური მარკების სამსახურის მოთხოვნით დადებულ ყადაღასთან? თბილისის საოლქო სასამართლოს 27 თებერვლის განჩინებით, რომელიც ამავე სასამართლოს სააპელაციო პალატაში გავასაჩივრეთ, აქციზური მარკების სამსახურისა და "ომეგაჯგუფის" დავის სასამართლო განხილვამდე ქონება დაყადაღებულია. აქციზური მარკების სამსახური "ომეგაჯგუფს" ედავება 10 მლნ ცალი სიგარეტის აქციზური მარკის გამო, რომელიც ფირმამ შეიძინა და თანხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში გადაიხადა. ეს თანხა ცენტრალურ ბიუჯეტში არ ასახულა და "ომეგაჯგუფისგან" აქციზური მარკების სამსახური აქციზური მარკების დაბრუნებას ან თანხის გადახდას მოითხოვს. "ომეგაჯგუფი" მზად არის, აქციზური მარკების სამსახურს დაუბრუნოს აქციზური მარკები, თუმცა გენერალური პროკურატურის დავალებით, საგადასახადო სამსახური არ იღებს აქციზურ მარკებს, რათა "ომეგაჯგუფის" ოფისებს ყადაღა არ მოეხსნას," — აცხადებს სოსო ბარათაშვილი.

"ომეგაჯგუფს" თბილისის კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოში ადმინისტრაციული წესით სარჩელი აქვს შეტანილი პროკურატურისა და შს სამინისტროს წინააღმდეგ, რომლითაც ვაშლიჯვრის ოფისში სპეცდანიშნულების რაზმის ყოფნაა გასაჩივრებული.

მედია-ნიუსი

შარლატანიზმი არ ნიშნავს კონფლიქტის მოგვარებას

პირველი გვერდიდან

კონფლიქტების მოგვარების სპეციალისტს საქართველოში ლაზათიანი ქართული სახელიც გააჩნია, რომელიც თავად ილია ჭავჭავაძის მიერ არის დამკვიდრებული. მედიატორს ჩვენებურად მომრიგებელს უწოდებენ და არბიტრატორს კი მომრიგებელ-მოსამართლეს. სამოქალაქო სამომრიგებლო ინსტიტუტის ჩამოყალიბება საქართველოში სწორედ ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება და ყველა თვითმარქვია კონფლიქტოლოგი ფრთხილად უნდა იყოს ამ სახელის აუგად ხსენებაზე, რადგანაც ამ დროს იგი ძალაუნებურად თავად ჭავჭავაძის ნაღვაწსაც შეურაცხყოფს. თანამედროვე მსოფლიოს სამომრიგებლო ინსტიტუტის ჩამომყალიბებლები არიან ისეთი დიდი მეცნიერ-პრაქტიკოსები, როგორებიცაა ჯონ ბარტონი (ავსტრალია), ანატოლ რაპოპორტი (კანადა), ქრისტოფერ მიტჩელი და მაიკლ ბენიქსი (დიდი ბრიტანეთი), დენის სანდოლი, უალეს უორფილდი და დენის სანდოლე (აშშ), კევინ კლემენტსი (ახალი ზელანდია) და ასე შემდეგ. ამავე დროს, რა თქმა უნდა, არაძალადობის სწავლებისას ძალიან დიდი როლი აქვს მაჰატმა განდისა და ტიბეტელი სულიერი მოძღვრის დალაი ლამას ნაშრომებს. კონფლიქტების მომგვარებელი ნებისმიერი პროფესიის ადამიანი შეიძლება გახდეს, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შეისწავლის მრავალ დისციპლინას. კონფლიქტების მოგვარების დღევანდელი მეცნიერება აერთიანებს ელემენტებს სამართალმცოდნეობიდან, პოლიტიკური მეცნიერებიდან, ფილოსოფიიდან, ქალთა მეცნიერებიდან, სოციოლოგიიდან, ფსიქოლოგიიდან, მენეჯმენტიდან და სახელმწიფო მართვიდან. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ელემენტებისა, რომლებიც კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობას შეიცავენ. ცალ-ცალკე კი არც ერთი ამ პროფესიის წარმომადგენელს არ შეუძლია პრეტენზიის გაცხადება იმაზე, რომ ის კვალიფიცირებული კონფლიქტის მომგვარებელია ანუ კვალიფიცირებული მომრიგებელი. არსებობს აგრეთვე სხვადასხვა ტიპის კონფლიქტების მოგვარება: ეს არის ოჯახური კონფლიქტი, სათემო კონფლიქტი, ქუჩის კონფლიქტი, კლანური კონფლიქტი, შიდა-ორგანიზაციული კონფლიქტი (ეგრეთ წოდებული ADR-ის სამოქმედო არეალი), კლასობრივი კონფლიქტი, საერთაშორისო კონფლიქტი, სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი თუ რელიგიური კონფლიქტი. ამ წვრილმანების თხრობით მკითხველს თავს არ მოვაბეზრებ, უბრალოდ, იმას ვიტყვი, რომ მსოფლიოში არსებობს რამდენიმე გავლენიანი სამომრიგებლო უმაღლესი სასწავლებელი, როგორებიცაა ოსლოს მშვიდობის ინსტიტუტი ნორვეგიაში (იოჰან გალტუნგის მიერ დაარსებული), შლაინინგის მშვიდობის უნივერსიტეტი ავსტრიაში და ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის სამომრიგებლო სკოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოში კი ჯერ კიდევ აღსადგენია ილია ჭავჭავაძის სამომრიგებლო სკოლა, რომელიც კომუნისტების წყალობით მთლიანად ქურდებმა და სხვა ჯურის მამაძაღლებმა მიითვისეს.

ფსიქოლოგსა და ზოოლოგს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, პრეტენზია განაცხადოს მომრიგებლობაზე, თუ ის კარგად იცნობს ამ დისციპლინაში შემავალ სხვა დარგებსაც კონფლიქტების განხრით. ასევე სახელმწიფო მართვის სპეციალისტს შეუძლია თქვას, რომ მას კონფლიქტების მოგვარების გარკვეული კუთხით ცოდნა გააჩნია. მაგრამ არ შეიძლება ელემენტარული ჭეშმარიტების ქადაგება მომრიგებლობად ჩავთვალოთ, ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეიძლება დიდი დანაშაულიც აღმოჩნდეს.

ამ შემთხვევაში აჭარაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გამოჩნდა უამრავი არამკითხე "კეთილისმსურველი", რომელიც, ალბათ, მხოლოდ იმას ცდილობს, რომ თვითონ მზეზე ადგილი დაიტოვოს და ელემენტარული ჭეშმარიტებების ყბადაღებული გამეორებით იაფფასიანი ქულები ჩაიწეროს. "არ შეიძლება სისხლის ღვრა", "არ შეიძლება ბლოკადების ენაზე ლაპარაკი", "ცენტრსა და აჭარას შორის დაპირისპირებას პოლიტიკური მოგვარება სჭირდება" და ა.შ. გმადლობთ ბატონო, ეს ყველაფერი ვიცით და უკვე დიდი ხანია. ეს უაზრო სატელევიზიო პრანჭვა-განცხადებები საქმეს ამ მხრივ კი არ წასწევს, არამედ პირიქით, უფრო გაამწვავებს მდგომარეობას. ამას სჯობია პრობლემის გადაჭრის რეალური გზების ძიება და მართლაც შეიძლება, რომ საქმეში ჩავრთოთ პროფესიონალი მომრიგებლები, რომელთაც მსოფლიო რეპუტაცია გააჩნიათ.

ინტერ-პრესი

ბათუმი

აჭარის მაგალითი მსოფლიო მასშტაბზე რომ გავიტანოთ, არ არის ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირება. აქ საქმე გვაქვს ხალხის უმრავლესობასა და ერთ კლანს შორის დიდხნიან წინააღმდეგობასთან, რომელსაც ადრე თუ გვიან ბოლო გამოუჩნდება. ეს შემთხვევა ამერიკაში ცნობილ დეივიდ კორეშის გამაგრებულ ციხესიმაგრეს უფრო ჰგავს, ვიდრე რეგიონსა და ცენტრს შორის დაპირისპირებას. სხვათა შორის, "დავიდიანთა სექტის" უფროსსაც ჰყავდა საკმაო რაოდენობის დამცველები და ისინიც კბილებამდე შეიარაღებულნი. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც ტეხასის დამოუკიდებლობას ითხოვდა 1993 წელს. ფედერალურმა მთავრობამ უშედეგოდ აწარმოა დიდხნიანი მოლაპარაკებები ამ სექტის ნახევრად მანიაკ ლიდერთან და ბოლოს იარაღის ძალას მიმართა. ამ ტრაგედიის შედეგად დაიღუპა ასეულობით ადამიანი. დაახლოებით იგივე იყო ფილადელფიაში, როდესაც შავკანიან რადიკალთა ჯგუფმა ჯონ აფრიკას ხელმძღვანელობით საკუთარი სახელმწიფო ჩამოაყალიბა და უგულებელყო მათ გარშემო მცხოვრებ ადამიანთა სამოქალაქო უფლებები. მოლაპარაკებები რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა და სამწუხაროდ შედეგი ვერ გამოიღო. საბოლოოდ, ჯონ აფრიკა და მისი მომხრეები განადგურებულ იქნენ. ისინი ამერიკის მოქალაქეები იყვნენ და მათი დაღუპვაც ტრაგედია იყო, მაგრამ როდესაც რომელიმე კლანისა და სექტის ლიდერი ყველანაირ ნორმას გადაუხვევს, მაშინ სახელმწიფო იძულებული ხდება, ძალით დაიცვას საკუთარი მოქალაქეების უფლებები. აჭარაში ყველანაირად უნდა ავიცილოთ თავიდან ჩვენი საკუთარი დეივიდ კორეშის იმ დონემდე გაგიჟება, რომ ამას სისხლისღვრა მოჰყვეს. მაგრამ ამისათვის გარკვეული ნაბიჯები თვით ამ სექტის ლიდერმაც უნდა გადადგას.

აუცილებლად უნდა მოხდეს შეიარაღებული ბანდების სასწრაფო განიარაღება. ეს, პირველ რიგში, საჭირო ნაბიჯია. განიარაღების გარეშე მშვიდობის დამყარება ძალზე რთულია. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ მთელ საქართველოში დაინიშნოს ფედერალური მხარეების არჩევნები, მათ შორის აჭარასა და თბილისშიც და ხალხს მიეცეს საშუალება, რომ საკუთარი სურვილით აირჩიოს საკუთარი ლიდერი ყველა კუთხეში. ფედერალური სისტემისკენ სვლა, რა თქმა უნდა, შეამცირებს კონფლიქტოგენურ სიტუაციებს ყველა კუთხეში. მე ვფიქრობ, რომ დღევანდელი მთავრობა ამაზე წავა. ბატონმა ასლან აბაშიძემ კი, ჩემი აზრით, ღირსეული ბოლო შეიძლება დაუსვას თავის კარიერას. ვფიქრობ, 13 წელი უკვე საკმარისი ვადაა იმისათვის, რომ ადამიანმა საკუთარი ვალი ქვეყნის წინაშე მოხდილად ჩათვალოს. ის თუ ამ ღირსეულ ნაბიჯს გადადგამს და თავისით გადადგება, ვფიქრობ, ქართველი ხალხი ამას ნამდვილად დაუფასებს.

რაც შეეხება შარლატანიზმს ყველა პროფესიაში, ვფიქრობ, ამას ბოლო უნდა მოეღოს, პირადად მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ რამაზ საყვარელიძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი და ზოგიერთი მათი მსგავსი მშვიდობის მტრედი ისეთივე პოლიტოლოგ-კონფლიქტოლოგები არიან, როგორც პროქტოლოგები. თუ ამის საწინააღმდეგო დამადასტურებელ აკადემიურ საბუთს მომცემენ, საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს.

საქართველოს არშემდგარი დემოკრატია და მისი მიზეზები

დოდონა კიზირია
აშშ-დან

საქართველოს ახალი ლიდერები დღეს დგანან უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე, რომელიც მათმა წინამორბედებმა დაუტოვეს. ქვეყნის მომავალი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეძლებენ ისინი ამ სიძნელეებთან გამკლავებას.

ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს უაღრესად დაქვეითებული ეკონომიკა და დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე, რამაც ხელი შეუწყო უპრეცედენტო კორუფციასა და უკანონობას, მაფიოზური საქმიანობის სრულ დაუსჯელობას. ერთ მილიონზე მეტმა ადამიანმა უმუშევრობისა და მინიმალური შემოსავლის უქონლობის გამო დატოვა ქვეყანა, რათა ოჯახი ერჩინა; მათ შორის - ბევრმა განათლებულმა, ნიჭიერმა და ენერგიულმა ახალგაზრდამ, რომელთაგან, ალბათ, უკან ძალზე ცოტა დაბრუნდება. ეს კი ასეთი პატარა ქვეყნისთვის მეტად სავალალო ეკონომიკურ და დემოგრაფიულ დანაკარგს წარმოადგენს.

გასულ ნოემბერს გაზეთმა "ნიუ იორკ ტაიმსმა" შემდეგი ორი ფაქტი აღნიშნა: უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველომ ამერიკისაგან ერთი მთელი ორი მეათედი მილიარდი დოლარის დახმარება მიიღო; ესე იგი, მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით, პროცენტულად უფრო მეტი, ვიდრე უკრაინამ. ამასთანავე, 1991 წლიდან დღემდე, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის საქართველოს ეკონომიკა ყველაზე მეტად დაქვეითდა.

ბევრ ჩემ ამერიკელ ნაცნობს გაკვირვებით დაუსვამს ასეთი შეკითხვა: როგორ მოხდა, რომ ასეთ კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყანა, რომელიც საბჭოთა პერიოდში ცხოვრების დონის მიხედვით ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რესპუბლიკად ითვლებოდა; სადაც კერძო ბიზნესი, ანუ კაპიტალისტური ეკონომიკის საფუძველი, ყველაზე უფრო აქტიურად ვითარდებოდა; სადაც იმპერიის დაშლის შემდეგ მმართველ ძალას სათავეში ჩაუდგა ისეთი გამოცდილი და მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსი როგორიც შევარდნაძეაო? ამის მიზეზები მრავალგვარია, მაგრამ მე მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შევეხები.

პირველ ყოვლისა, ძალზე მცდარი იყო ის აზრი, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში შექმნილი კერძო ბიზნესი გახდებოდა დამოუკიდებელ ქვეყნებში დემოკრატიული სტრუქტურების ხელისშემწყობი ძალა. ისტორიულად კერძო ბიზნესებმა მართლაც დიდი როლი შეასრულა დასავლეთში, სადაც ხელისუფლების მმართველ ძალებთან მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლაში უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა მეწარმეთა წელმაგარი საშუალო ფენა. მათ მიერ მოპოვებული უფლებების საფუძველზე განვითარდა სისტემა, რომელშიც სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურები დამოუკიდებელნი და კანონით დაცულნი არიან მთავრობების ძალადობისა და თვინებობისაგან. სწორედ ამაშია დემოკრატიის არსი.

საბჭოთა პერიოდში სრულიად სხვაგვარი სიტუაცია შეიქმნა. იმპერიის არსებობის უკანასკნელი ორი-სამი ათწლეულის განმავლობაში წარმოშობილი და საკმაოდ მრავალფეროვანი კერძო ბიზნესები წარმოადგენდა ეგრეთ წოდებულ ჩრდილოვან ეკონომიკას, რომელსაც თავისი განსაკუთრებული სპეციფიკა ჰქონდა. ამგვარი ტიპის ეკონომიკა მჭიდროდ იყო გადახლართული მმართველ პოლიტიკურ ძალასთან, დამოკიდებული იყო მის კეთილგანწყობაზე, ანუ, როგორც ვამბობდით, "ბლატზე" და მისი ხელშეწყობის გარეშე ვერც იარსებებდა. სწორედ ამიტომ, საბჭოთა სისტემაში არსებული კერძო ბიზნესები ამ სისტემის ძირგამომთხრელი და კაპიტალისტური საწყისების მახარობელი კი არ იყო, არამედ საკმაოდ უნიკალური ფენომენი, რომელსაც მხოლოდ ტოტალიტალური სისტემის გარემოცვაში შეეძლო ეარსება. მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლა მათ ინტერესებში სრულიად არ შედიოდა.

კერძო ბიზნესის მასშტაბები პირდაპირ პროპორციული იყო პოლიტიკურ "ბლატთან" და მის წყალობასთან. რაც უფრო დიდი გაქანება ჰქონდა კერძო ბიზნესს და რაც უფრო მეტ რისკს მოითხოვდა მისი ოპერაციები, მით უფრო მაღალი დონის პატრონაჟი იყო საჭირო ამ ოპერაციების ორგანიზატორთათვის. ყველაზე მომგებიანი კერძო ბიზნესი კი დაკავშირებული იყო არა წარმოებასთან, ანუ მატერიალური სიმდიდრის შექმნასთან, არამედ უმეტესად ყიდვა-გაყიდვასთან, რასაც ყოველთვის კრიმინალური ხასიათი ჰქონდა. გავიხსენოთ, რომ იმ პერიოდში სულ რაღაც ხუთი დოლარის ქონა ამ მცირე თანხის კანონიერი ფლობის დამამტკიცებელ დოკუმენტაციას საჭიროებდა. მაშ, განა შეიძლებოდა კერძო პირებს დაუსჯელად მოეხდინათ უცხოური ვალუტით სპეკულაცია, დეფიციტური მასალების, მათ შორის ნარკოტიკების, ქვეყნიდან გატანა ან საზღვარგარეთიდან რაიმე მაღალი მოთხოვნილების ნაწარმის შემოტანა? ისინი დიდხანს ვერ იარსებებდნენ, თუ არ ექნებოდათ ათასნაირი კავშირები სხვადასხვა დონის ძალოვან, პარტიულ და სამთავრობო წრეებთან - საბაჟო, მილიცია და, რაც მთავარია, "კაგებე"; თუ არ იქნებოდნენ აღჭურვილი მათი მხარდაჭერითა და "კეთილი ნებით"?! თავის მხრივ, ეს კერძო ბიზნესები ერთგვარი ღალის სახით ზღაპრულ დივიდენდებს უხდიდა ძალაუფლებაში მყოფთ. ამ უკანასკნელთა მადა კი მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო ღრმავდებოდა ნაპრალი კანონიერი (და მაშასადამე ცენტრალიზებული) ეკონომიკისა და მისი ჩრდილოვანი ორეულის შესაძლებლობებს შორის. თანდათანობით ჩრდილოვან ეკონომიკაში ჩაება თითქმის ყველა, ვისაც კი რაიმე პრივილეგიების ან უფლებების გაცემა შეეძლო მასზე დაბალ უფლებრივ დონეზე მყოფთათვის თუ კი მათგან რაიმე მოგების გარანტია ექნებოდა.

ამგვარად შეიქმნა და განვითარდა ალიანსი კრიმინალურ მაფიასა და მმართველ წრეებს შორის, რაც ხშირ შემთხვევაში საბიზნესო თანამშრომლობაშიც გადაიზარდა; ესე იგი, მმართველი ძალები არ სჯერდებოდნენ ფეოდალის როლში ყოფნასა და მასთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი მაფიოზებისგან ქრთამის მიღებას. ისინი ამ უკანასკნელთა საბიზნესო პარტნიორები ხდებოდნენ. ასეთი სიმბიოზი იქმნებოდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში და თანაც მთავრობების ყველაზე მაღალ დონეზე. დღეს ჯერ კიდევ ბევრს უნდა ახსოვდეს საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი გენერალური მდივნის და მისი მეუღლის კრიმინალურ ბიზნესში მონაწილეობა. ძალაუფლებაში მყოფთა ამგვარი საქმიანობა მიღებული იყო როგორც თავისთავად ცხადი და გარდაუვალი. ასევე შეუვალიც! კანონი არ ვრცელდებოდა არც იმ ჩინოსნებზე და არც მათი პროტექციის ქვეშ მყოფ მაფიოზებზე და კანონიერ ქურდებზე.

მართალია, ზემოთ ნახსენებმა გენერალურმა მდივანმა თავისი მაღალი პოსტი დაკარგა; მაგრამ ის კანონმა კი არ დასაჯა, არამედ მისმა ძალაუფლებისათვის მებრძოლმა, უფრო ახალგაზრდა და უფრო შეუბრალებელმა ოპონენტმა ჩამოაგდო კარგად გამთბარი სკამიდან, რათა ამ სკამზე თვითონ დამჯდარიყო და მსოფლიოს დიდ პოლიტიკოსად გამხდარიყო ცნობილი. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბზრუცანა "გენსეკის" და მისი მეუღლის კრიმინალური საქმიანობა არასოდეს ყოფილა ოფიციალურად გამოკვლეული და საჯაროდ აღიარებული. ეს მმართველი ელიტის და მისი მაფიოზური მოკავშირეების შიდა, ოჯახურ-პატრიმონიალური საქმე იყო და უბრალო მოკვდავებს მათთან არაფერი ესაქმებოდათ. იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, მისი მრავალი "დამსახურება" მხურვალე ოვაციებით აღნიშნეს და კომფორტულ პენსიაზე დასვეს მეუღლითურთ.

აი, ამგვარ კრიმინალურ საქმიანობაში გამობრძმედილი ბიზნესმენები და მათი მფარველები უეცრად აღმოჩნდნენ სრულიად მიუჩვეველ სიტუაციაში - დაინგრა საბჭოთა კავშირი და ქვეშ დაიტანა ყველა აწყობილ-დაწყობილი ურთიერთობები და სარესურსო წყაროები, რაც მათთვის ოქროს ამოუშრეტელი საბადოს დაკარგვას უდრიდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ შევარდნაძის დაბრუნებას საქართველოში ზარ-ზეიმით შეხვდა მოსახლეობის როგორც ყველაზე პრივილეგირებული ნაწილი, ასევე კრიმინალური ფენა. ჩამოდიოდა პიროვნება, რომელიც მათთვის ნაცნობი, კარგად მორგებული ცხოვრებისა და საქმიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა. მისი ლიდერობა კი მწვანე შუქი იყო მიტოვებული ბიზნესების აღორძინებისა და შემდგომი გაფართოებისკენ. მით უმეტეს, რომ ახალი სიტუაცია მრავალ ახალ შესაძლებლობებსაც იძლეოდა.

ამგვარი ბიზნესების აღდგენას დიდად შეუწყო ხელი მთავრობის მიერ სრულიად კრიმინალური ფორმებით ჩატარებულმა პრივატიზაციამ. ამ პრივატიზაციის წყალობით ყოფილმა პარტიულ-კომკავშირულმა კლანმა, ასევე შევარდნაძის ჩამოყვანისა და მისი ხელისუფლების დაცვის საქმეში "დამსახურებულმა" კანონიერმა თუ უკანონო ქურდებმა, ფასდაუდებელი უძრავი ქონება - მიწები, სახლები, ფაბრიკები და მრავალი სხვა, კაპიკის ფასად დაისაკუთრეს. ამ პიროვნებების უდიდესი ნაწილისათვის სამომხმარებლო საქონლის წარმოება, ან ქვეყანაში სიმდიდრის შექმნა სრულიად უცხო ხილი იყო და ამიტომაც, უმეტესმა მათგანმა ჩვეულ საქმიანობას მიმართა - ახლად შეძენილი ქონება სასწრაფოდ ნაღდ ფულად აქცია და ეს ფული საზღვარგარეთ დააბანდა. თურქეთში ჯართად გაიყიდა ათასგვარი მოწყობილობა, ხელსაწყოები და მთელი საწარმოები. ზოგან ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შეძენილი, ახლად ჩამოტანილი და ჯერ კიდევ შეფუთული დაზგები, მანქანები და მატარებლის მთელი შემადგენლობებიც კი "ნედლ მასალად" იქნა გასაღებული. სამაგიეროდ აყვავდა და გაიფურჩქნა ტრადიციულად მაფიოზურ სისტემაში მყოფი ბიზნესები, როგორიცაა, მაგალითად, თამბაქოსა და ალკოჰოლის ნაწარმების ყიდვა-გაყიდვა, ნავთობის იმპორტ-ექსპორტი, ელექტროენერგიით სპეკულაცია და სხვა. მთავრობის სახელით მილიონობით კრედიტი იქნა აღებული საზღვარგარეთ, რომლის საშუალებით მიღებულ მოგებას მაფიოზები და მთავრობასთან დაახლოებული პირები იდებდნენ ჯიბეში, ხოლო მისი გადახდა უმძიმეს ტვირთად დააწვა ისედაც ეკონომიკურად წელში გაწყვეტილ მოსახლეობას.

რა პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ეკონომიკის განვითარებისა და დემოკრატიული სტრუქტურების განმტკიცების კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ის გულუხვი ჰუმანიტარული დახმარება, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთ ევროპის ქვეყნები აძლევდნენ საქართველოს მთავრობას. შევარდნაძე და მისი გარემოცვა იმდენად ძველი, საბჭოური მენტალობისანი იყვნენ, რომ მათ თავშიც არ მოუვიდოდათ, რაიმე სახის გამჭვირვალეობის საჭიროება ამ ძალზე მნიშვნელოვანი თანხების მოხმარებისა და განაწილების საქმეში. ისინი არავითარ ვალდებულებას არ გრძნობდნენ ანგარიში ჩაებარებინათ მოსახლეობისათვის, თუ როგორ დაიხარჯა ეს უზარმაზარი შემოსავალი. მათი გაგებით ეს მათი პირადი საქმე იყო და სხვას არავის ეხებოდა. სხვადასხვა უცხოური ორგანიზაციების ან უცხოეთში მყოფი ქართველების მიერ შემოწირული კერძო დახმარებაც კი ძალზე ხშირად მათი საკუთრება ხდებოდა და მათი პირადი გეგმების მიხედვით ნაწილდებოდა. მოსახლეობას კი მხოლოდ 5-10 პროცენტი თუ ხმარდებოდა, თანაც იმ ფორმით, რაც ეკონომიკის განვითარების არავითარ საფუძველს არ ქმნიდა. ეს იყო მცირეოდენი სურსათი, მაგალითად, ორი კილო ბრინჯი, ერთი კილო შაქარი, ვადაგასული წამლები და ასე შემდეგ. დამშეულ და გალატაკებულ მოსახლეობას ეს დახმარებაც ცის მანანად ეჩვენებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ უმნიშვნელო ნამცეცები იყო იმასთან შედარებით, რაც ხელისუფლების სათავესთან მდგარი პირების და მაფიოზების უძირო ჯიბეში მიედინებოდა.

მაგრამ, ჰუმანიტარული დახმარება არ იყო სამთავრობო წრეების ერთადერთი "ოქროს საბადო". ამას ემატებოდა ამ მთავრობის წყალობით გამდიდრებული მაფიოზური ბიზნესებისგან შემოსული ხარკი. ამგვარ ხარკს მათ ყოველთვიურად თუ ყოველკვირეულად უხდიდნენ ისინი, ვისაც სჭირდებოდა პროტექცია, მათი კრიმინალური საქმიანობის კანონისგან დაცვა და დაუსჯელობა. თავის მხრივ, უფრო შეძლებული და "ბლატიანი" მაფიოზური ბიზნესები საკუთარ შემოსავალს ამრავლებდნენ მათზე უფრო ხელმოკლე ბიზნესების ხარჯზე, მათგან თხოულობდნენ ხარკის გადახდას და ღებულობდნენ კიდეც მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მცირე ბიზნესები, როგორი ლეგალურიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ველარ იარსებებდნენ; მათ მოსპობდნენ და აღგვიდნენ მიწისაგან პირისა.

სწორედ ამ მიზეზების გამო თითქმის არ განვითარდა ლეგალურ საფუძველზე აღმოცენებული დიდი ან პატარა ბიზნესი. ვინ დაიცავდა მათ კანონისგან, თუკი ეს კანონი მაფიოზურ საქმიანობასთან დაკავშირებული მთავრობის ხელში იყო?! ვინ გაბედავდა წასულიყო რაიმე ბიზნესის დაწყების რისკზე, თუ მას მაფიოზი დამცველი ან პრეზიდენტის კლანის შიდა წრიდან ქომაგი არ ეყოლებოდა?! ბევრისთვის გაცილებით უფრო უსაფრთხო იყო, როგორმე ამ უკვე გარანტირებულ მაფიოზურ ბიზნესებში მოხვედრილიყო სამუშაოდ, ან მთავრობის მფარველობის ქვეშ მყოფ რომელიმე დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში ამოეყო თავი. ერთ-ერთი ასეთი მომგებიანი და სასურველი დაწესებულება გახდა უზომოდ გაზრდილი პარლამენტი. აქ ხელფასიც არ იყო ცუდი და, საბჭოური ტრადიციის მსგავსად, ქრთამის აღების უამრავი შესაძლებლობებიც იქმნებოდა. ამას ემატებოდა დაუსჯელობის გარანტია - გინდა ქვეყანა ძარცვე, გინდა კაცი მოკალი, გინდა დოქტორის ყალბი ხარისხი მოითხოვე, ხელს ვერავინ გახლებს - შენია ბურთი და მოედანი! ამიტომაც იყო, რომ მაფიოზები უზარმაზარ თანხებს უხდიდნენ სხვადასხვა პარტიების საპარლამენტო საარჩევნო სიების თავში მოსახვედრად. ხოლო ამ ფულის ამღები კანდიდატები რა კანონს დაიცავდნენ და როგორ შეუწყობდნენ ხელს დემოკრატიის განვითარებას, ადვილი წარმოსადგენია.

ამგვარად შეიქმნა ერთგვარი ნეო-კომუნისტური, კლეპტომანიით შეპყრობილი სამთავრობო და ადმინისტრაციული კლანი, რომელმაც სავსებით აღადგინა საბჭოური პერიოდის ფენომენი - კავშირი მმართველ ელიტასა და კრიმინალურ წრეებს შორის. მხოლოდ, ამჯერად, ამ ალიანსს ახლებური ფინანსური საფუძველი ჰქონდა. ეს იყო მაფიოზური, უკანონო ბიზნესი და უშრეტი ჰუმანიტარული დახმარება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მათი მრავალმილიონიანი შემოსავლების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შედიოდა ბიუჯეტში გადასახადების სახით, რაც კიდევ უფრო უწყობდა ხელს ეკონომიკის გაპარტახებასა და სოციალური დაცვის სტრუქტურების სრულ მოშლას. მაგრამ მმართველი ელიტის კეთილდღეობა სრულიად არ იყო დამოკიდებული ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებასა და მოსახლეობის გადამხდელუნარიანობაზე. ან რას გადაიხდიდა თვეში 20-30 ლარის მქონე მოსახლეობა?! სწორედ ამიტომ ისინი სრულიად დამოუკიდებელნი გახდნენ ამ მოსახლეობის, ანუ ამომრჩევლის განწყობისაგან, რასაც განვითარებულ დემოკრატიულ საზოგადოებებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ყველაფერი ამის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს მთავრობა, მისგან დავალებულ წრეებსა და მაფიოზურ ბიზნესებს სრულიად არ აფიქრებდათ ძალაუფლების დაკარგვის შესაძლებლობა. არჩევნები, ისევე როგორც საბჭოთა პერიოდში, ფორმალური რიტუალი გახდა, რისი შედეგებიც წინასწარ იყო გადაწყვეტილი. არჩევნების გაყალბების ფინანსურ საშუალებას კი ისევ და ისევ ჰუმანიტარული და მაფიოზური შემოსავალი იძლეოდა. ხოლო თუ გაყალბების ხშირად ტლანქი მეთოდები ყოველთვის არ რჩებოდა შეუმჩნეველი, ეს არავის აღელვებდა. მოსახლეობისგან დამოუკიდებელი მთავრობა ამ მოსახლეობის მიმართ უკიდურესი ცინიზმით იყო გამსჭვალული და თავს არხეინად გრძნობდა. წლების განმავლობაში საზოგადოების პოლიტიკური კულტურის მოუმწიფებლობაც ხელს უწყობდა იმ რწმენას, რომ მმართველობის ბერკეტებს მათ ვერასოდეს ვერავინ წაართმევდა.

ხავერდოვანმა რევოლუციამ ცხადყო, რომ ქვეყანაში სიტუაცია შეიცვალა. ამაღლდა პოლიტიკური კულტურა, გამოიკვეთა ახალი და ახალგაზრდა პოლიტიკური ძალა, რომელმაც შეძლო 12-13 წლის განმავლობაში სრულ ხელშეუხებლობას მიჩვეული მმართველი კლანი დაემარცხებინა. ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო, მაგრამ - მხოლოდ პირველი ფაზა ქვეყნის აღორძინების საქმეში. დღეს არსებული მდგომარეობის გამოსწორება, ეკონომიკის ამოქაჩვა, საშინაო და საგარეო პრობლემების მოგვარება, კანონიერების აღდგენა და მოსახლეობის განწყობის შეცვლა მძიმე ტვირთად აწევს საქართველოს დღევანდელ მთავრობას. მისი წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თვით მოსახლეობაზე, საზოგადოების თვითშეგნებაზე. ყველას ეკისრება პასუხისმგებლობა იმისა, თუ როგორი იქნება ქვეყნის მომავალი. ის ნაბიჯები, რაც ამ მოკლე ხანში მთავრობის მიერ იქნა გადადგმული, იმედის მომცემია, მაგრამ გარანტირებული არაფერი არ არის. ქვეყნის ბედი კრიტიკულ მიჯნაზეა, და ამის დავიწყება ერთი წუთითაც არ შეიძლება.

ევროპული ინტეგრაცია - გზა თუ გამოსავალი ?

A1 გვერდიდან

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყნის ხელისუფლებას ეძლევა შესაძლებლობა, სრულყოფილად წარმართოს თავისი საქმიანობა ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ამოცანების შესასრულებლად. ეს კი, როგორც ჩანს, დაკავშირებული იქნება არა მხოლოდ და არა იმდენად ობიექტურ სიძნელეებთან, რამდენადაც სუბიექტურ გარემოებებთან. საარჩევნო კამპანიამ ცხადყო, რომ არსებობს დაუფარავი მცდელობა ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების გაერთიანებისა ანტიდასავლურ პლატფორმაზე.

სწორედ ქვეყნის ევროპული ინტეგრაცია, ანუ პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ქვეყნის დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცებისაკენ, მისი კეთილდღეობისაკენ, იწვევს პროტესტს ოპოზიციური სპექტრის ნაწილის მხრიდან. ამ ძალების დამარცხება საპარლამენტო არჩევნებში არის სრულიად კანონზომიერი მოვლენა და დასტური ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სიბრძნისა და სწორი ხედვისა.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთი გამოსვლის დროს განაცხადა შემდეგი - **"ჩვენ არ გვავიწყდება საკუთარი კუთვნილი და რამდენიმე საუკუნის წინ დაკარგული ადგილის დაბრუნება ევროპულ ოჯახში, ევროპულ ცივილიზაციაში. როგორც უძველესი ცივილიზაციის ქრისტიანულმა ქვეყანამ, ჩვენ ეს ადგილი აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ. ჩვენი კურსი არის ევროპული ინტეგრაცია"**. სწორედ ასეთი ხედვა ჩვენი ქვეყნის დასავლური ორიენტაციისა, როდესაც ხაზი გაესვა იმას, რომ საქართველო არის ქრისტიანული ქვეყანა, პოულობს მოსახლეობის აბსოლუტურ და უპირობო მხარდაჭერას. ამ კურსის მოწინააღმდეგეები, როგორც წესი, ცდილობენ რეალური ვითარების დამახინჯებით დაარწმუნონ მოსახლეობა იმაში, რომ სწორედ დასავლეთიდან საქართველოს ემუქრება მრავალი საშიშროება, ცდილობენ დაგვაჯერონ, რომ გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება ეროვნულ ფასეულობებს, ჩვენ მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ კულტურას, ეკლესიას, განათლებას და სხვა. მსგავსი საშიშროების შესაძლო არსებობის გამო ბევრი მართლაც პატრიოტი ადამიანი შესაძლებელია, უნდობლობით მოეკიდოს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს.

გლობალიზაციის პირობებში ამ პროცესის სამივე განზომილება - პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული, მართალია, ცვლის საზოგადოების ორგანიზაციას და ძალაუფლების განხორციელებას, მაგრამ ის იმავდროულად იძლევა შესაძლებლობას დინამიკური განვითარებისათვის. გლობალიზაციას შეუძლია ზიანი მიაყენოს ქვეყანას და ერს, რომელმაც არ იცის თავისი ისტორია; მზად არის, გაცვალოს მარადიული ჭეშმარიტებები წუთიერ სიამოვნებაზე; არა აქვს უნარი და სურვილი, დაიცვას თავისი და თავისი წინაპრების მონაპოვარი; რომელსაც არა აქვს გარკვეული თავისი წარსულის, აწმყოს და მომავალის ურთიერთკავშირი. ჩვენმა ერმა იცის თავისი ისტორია, ჭეშმარიტი სარწმუნოება არასოდეს მიუტოვებია და სიცოცხლის ფასად მუდამ ურყევად იცავდა მას. ჩვენი ხალხი წინაპრებისადმი მოკრძალების და მადლიერების გრძნობებს მათ მიერ წამოწყებული საქმეების გაგრძელებით გამოხატავს, მას აქვს ბრძოლის უნარი, მისთვის თავი და თავი იყო და არის ენა, მამული, სარწმუნოება და სწორედ ამიტომ გლობალიზაციის პროცესი ქართველებს და საქართველოს არ ემუქრება.

სრულიად ნათელია, რომ საქართველოს ხელისუფლება ევროპული ინტეგრაციით მიზნად ისახავს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას, ამით ის არ გაურბის რეგიონულ პრობლემებს, პირიქით, მზად არის კონსტრუქციული დიალოგისათვის. საქართველომ აირჩია ევროპული ინტეგრაციის გზა, როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობის და კეთილდღეობის გარანტი და ის არ არის მიმართული სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. სწორედ ამ გზით გახდება შესაძლებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევა.

რას ნიშნავს ჩემთვის - ერთ-ერთი რიგითი მოქალაქისთვის - ევროპული ინტეგრაცია?

ეს ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი საქართველოს დაბრუნებას იმ ევროპულ ცივილიზაციაში, სადაც მას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ეს ნიშნავს ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და მრავალი ჩვენი თანამემამულის დაბრუნებას საკუთარ სახლებში.

ეს ნიშნავს ჩვენს ქვეყანაში ძირეული ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის გამოსვლას წარმოუდგენელი ეკონომიური სიდუხჭირიდან.

ეს ნიშნავს ჩვენი უძვირფასესი კულტურული მემკვიდრეობის სათანადო მოვლა-პატრონობას და პოპულარიზაციას.

ეს ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და მის განვითარებას.

ეს ნიშნავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მისი კუთვნილი ადგილის და ფუნქციის დაბრუნებას, რაც იქნება დაფუძნებული წმიდა ეკლესიის აღმატებულ პასუხისმგებლობაზე ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ვერ იქნება გულგრილი იმ პროცესების მიმართ, რომლებიც ვითარდება ქვეყანაში. ეკლესიას აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა ქვეყნის და ერის წინაშე, რაც მოითხოვს მისგან კონსტრუქციულ და პოზიტიურ თანამშრომლობას როგორც ხელისუფლებასთან, ისე ქვეყნის მთელ პოლიტიკურ სპექტრთან მათი კონსოლიდაციისა და თანამშრომლობის მისაღწევად. ჩვენმა წმიდა ეკლესიამ მისთვის დამახასიათებელი მზრუნველობით უნდა იტვირთოს სულიერი წინამძღოლის რთული მისია. ამისთვის ქვეყანაში დღესაც არსებობს სათანადო წანამძღვარები. ეკლესიაში და მის წინამძღოლში ქვეყნის სულიერ ლიდერს ხედავენ არა მხოლოდ მართლმადიდებლები, არამედ საქართველოში მცხოვრები სხვა კონფესიების და სარწმუნოების მიმდევრები, განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკლესია ვერ იტვირთავს ქვეყნის გამაერთიანებელის ფუნქციას, რასაც ის საუკუნეების განმავლობაში წარმატებით ასრულებდა. ეკლესია აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. მას არა აქვს უფლება, პოლიტიკაში ჩაურევლობის ან სხვა რაიმე საბაბით, შემოიფარგლოს მხოლოდ მაყურებლის როლით და სამოქალაქო დაპირისპირებების ჟამს უსიტყვოდ ადევნოს თვალი მოვლენათა განვითარებას.



მეუფე აბრაამი, „24 საათის" რედაქციაში.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პოლიტიკა, რომელსაც აირჩევს ქვეყნის უზენაესი საერო ხელისუფლება, განსაზღვრავს ყველა მოქალაქის დღევანდელ და ხვალინდელ ცხოვრებას, მათ შორის კი უმრავლესობას ჩვენი წმიდა ეკლესიის წევრები წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება ეკლესიის დაინტერესება და მისი უშუალო მონაწილეობის აუცილებლობა ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ჩვენი ქვეყნის ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ საქართველოსათვის ევროპული ორიენტაცია ჩვეულებრივი და კანონზომიერი მოვლენა იყო. ეს არ არის დღევანდელი სირთულეების გამო არჩეული გამოსავალი, ეს არის სრულიად ბუნებრივი გზა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში საქართველო ბიზანტიის მეშვეობით უკავშირდებოდა ევროპულ ქვეყნებს. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იზიარებდა ქართული სახელმწიფოს მესვეურთა ასეთ მისწრაფებას.

მიუხედავად იმისა, რომ მეთერთმეტე საუკუნის შემდეგ რელიგიურ-კონფესიური თვალსაზრისით ევროპის ქვეყნებსა და საქართველოს შორის არსებით განსხვავებებს ჰქონდა ადგილი, საქართველოს ეკლესიის მესვეურნი მაინც ერთგულნი იყვნენ ევროპული ორიენტაციისა. მეთოთხმეტე საუკუნეში, გიორგი მეხუთის მეფობის დროს, კათოლიკური საეპისკოპოსოს სმირნიდან თბილისში გადმოტანაც და ქართული ეკლესიის მხრიდან ამ ფაქტის შეწყნარებაც ამის დასტურია.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აქტიურად ცდილობდა, ევროპის ქვეყნების ყურადღება მიეპყროთ საქართველოსადმი (XVII საუკუნეში - ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, XVIII საუკუნეში - კი სულხან-საბა ორბელიანი).

ორიენტაციის ჭრილშია ასევე განსახილველი XVIII საუკუნის 50-იან წლებში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში გახმაურებული კონფლიქტი კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-სა და ნინოწმინდელ ეპისკოპოს ზაქარია გაბაშვილს შორის. ანტონის გადაყენება და ზაქარიას მომხრეთა გამარჯვება ევროპული ორიენტაციის მარცხად უნდა ჩაითვალოს, რაც ჯერ 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატით, ხოლო 1801 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვით დამთავრდა. ამას მოჰყვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის ხელყოფა. დადგა ჩვენი ქვეყნისა და მისი წმიდა ეკლესიისათვის ურთულესი ჟამი, როცა იმპერიული ზრახვები და არა ერთმორწმუნეობა განსაზღვრავდა მეფის რუსეთის პოლიტიკას უძველესი ქრისტიანული ქვეყნის მიმართ.

1917 წელს, ავტოკეფალიის აღდგენისთანავე, უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმ. მღვდელმოწამე კირიონმა განიზრახა ისტორიული ტრადიციის გაგრძელება, მაგრამ არ დასცალდა. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ რუსეთის საერო ხელისუფლებამ მაშინვე ცნო ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ხოლო რუსეთის ეკლესიას ამისათვის დასჭირდა საუკუნის მეოთხედი და ი. სტალინის უშუალო ბრძანება.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, გასული საუკუნის 90-იან წლებში გარეშე ძალების მიერ იწყება ჩვენში სრულიად უცხო ანტიდასავლური იდეოლოგიის დანერგვის მცდელობა. ქვეყნის მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ ამერიკას და ევროპას მასონებისა და მწვალებლების მეშვეობით განზრახული აქვს საქართველოში როგორც ეროვნული, ისე სარწმუნოებრივი ღირებულებების განადგურება. ამან გამოიწვია ის, რომ ჩვენი ეკლესიის წევრთა ნაწილისთვის მიუღებლად მოჩანს ევროპული ორიენტაცია, ევროპული და დასავლური ღირებულებები.

ჩვენი ქვეყნის მტრებისათვის საოცნებოა საქართველოს საერთაშორისო იზოლაცია, რათა გააგრძელონ თავისი უგუნური პოლიტიკა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზით მიმავალი ქართველი ერის წინააღმდეგ.

ვფიქრობ, რომ დღეს საქართველოს ეკლესიას შეუძლია, მტკიცედ და მკაფიოდ განაცხადოს, რომ

1. ისტორიულად ჩვენთვის უცხო იყო და არის ნებისმიერი რელიგიური ფუნდამენტალიზმი და ჩვენ ისევ ერთგულნი ვრჩებით ჩვენს ეკლესიაში არსებული ტოლერანტული ტრადიციებისა.

2. ის მზად არის დიალოგისათვის განსხვავებული კონფესიების და რელიგიების წარმომადგენლებთან.

3. აღიარებს, რომ თანამედროვე, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ეტაპზე საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის სრულიად აუცილებელია ევროპულ ქვეყნებთან ინტეგრაცია და გამოთქვამს მზადყოფნას ამაში თავისი პოზიტიური წვლილის შესატანად.

ამას ექნება უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჩვენი ერის კონსოლიდაციისათვის, ამავე დროს ეს ხელს შეუწყობს ეკლესიის და მისი თითოეული წევრის უფრო აქტიურ ჩართვას ქვეყანაში მიმდინარე და მომავალში განსახორციელებელი აღმშენებლობის საქმეში.

ამავე დროს ეს დაუსვამს წერტილს ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების მცდელობას, გამოიწვიონ დაპირისპირება არა მხოლოდ ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრივ, ეროვნულ და სარწმუნოებრივ ინტერესებსა და ეკლესიას შორის, რაც ყოვლად დაუშვებელია.

12.04.2004

ქ.რეგენსბურგი

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February

გამოწერით.
on subscription basis

e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25
24 Hours
Georgia Reforms
World Structural
Student

დირიჟორი, რომელიც მსოფლიოში სჭირდებათ

მუსიკალურ წრეებში ოპერის თეატრის ახალ ხელმძღვანელებზე საუბრობენ

მადი სერებრიაკოვა

ბოლო დროს თბილისის ოპერის თეატრი საკმაოდ უსიამოვნო სკანდალში გაეხვია. გამოჩენილი დირიჟორის ჯანსულ კახიძის გარდაცვალების შემდეგ ორი წლის მანძილზე თეატრი მთავარი დირიჟორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის გარეშე განაგრძობს არსებობას. ეს გარემოება არაერთხელ გამხდარა საოპერო თეატრთან დაკავშირებული ინტრიგებისა და კონფლიქტების მიზეზი. მიუხედავად იმისა, რომ თეატრს დღეს საუკეთესო დღეები არ უდგას და სახელოვან წარსულს ხშირად ფორმალურადაც ვერ ამართლებს, იგი მაინც ის ნოყიერი ლუკმაა, რომელსაც ბევრი ისურვებდა სათავისოდ. ოპერის ხელმძღვანელი ხომ, ავტომატურად, ქართული კლასიკური კულტურის ერთ-ერთი უპირველესი ტონის მიმცემი ხდება. ოპერაში ხელმძღვანელობის სტრუქტურა რამდენჯერმე შეიცვალა. დროებითი სამხატვრო საბჭო, სამხატვრო კოლეგია, მუსიკალური ხელმძღვანელი - ეს ოპერაში ჩატარებული რეფორმების მაგალითებია. პრობლემა კი არ გადაიჭრა.

ერთი კია, გასულ კვირას ოპერაში სოლისტების ნაწილის აჯანყებამდე მისულ პროტესტზე (რამდენად დასაბუთებული და სამართლიანია, მნიშვნელობა არა აქვს) თვალს ვერავინ დახუჭავს. მოსწონს თუ არა ეს ოპერის დღევანდელ ხელმძღვანელობას, ცხადია, რომ იგი ვერ ავსებს იმ ვაკუუმს, რაც ოპერაში ჯანსულ კახიძის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა. ამის გამო, მუსიკალურ წრეებში ხშირად განიხილავენ ახალი ხელმძღვანელის პერსპექტიულ კანდიდატურებს. როგორც უკანასკნელ პრესკონფერენციაზე ოპერის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გურამ მელივამ განაცხადა, ჯანსულ კახიძის გარდაცვალებისთანავე გარკვეულმა წრეებმა ამერიკაში მოღვაწე ცნობილი ქართველი დირიჟორის ვახტანგ ჟორდანიას ჩამოყვანაზე დაიწყეს მსჯელობა. შემდეგ მისი კანდიდატურა ახალგაზრდა, ნიჭიერმა, ადგილობრივმა დირიჟორმა ზაზა აზმაიფარაშვილმა შეცვალა, რომელსაც თეატრის დასისგან, თითქმის, სრული მხარდაჭერა ჰქონდა. დღეს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი სულაც აღარ არსებობს. თუმცა, მის აღდგენას კვლავ ბევრი ელოდება. მუსიკალურ კულუარებში ზაზა აზმაიფარაშვილთან ერთად ვახტანგ ჟორდანია კვლავ ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ჭორებისაგან თავის ასარიდებლად ვახტანგ ჟორდანიას სეულში დავუკავშირდით, სადაც იგი ამჟამად მართავს კონცერტებს.

ვახტანგ ჟორდანიას საოპერო დასთან მუშაობისა და ხელმძღვანელობის ფართო გამოცდილება აქვს. მას განხორციელებული აქვს ათობით საოპერო პრემიერა ამერიკის სხვადასხვა საოპერო დასთან. მსოფლიოს ოპერებში მას, თითქმის, მთელი საოპერო კლასიკა აქვს დადგმული. ამერიკის კონტინენტზე ჟორდანია იყო პირველი დირიჟორი, რომელმაც დვორჟაკის ალი დადგა მინესოტას საოპერო თეატრში. თავის დროზე იგი ხელმძღვანელობდა ჩატანუგას ფილარმონიასა და საოპერო კომპანიას. ჩაწერილი კომპაქტ-დისკების წყალობით კი, ექვსჯერ იქნა წარდგენილი გრემის საერთაშორისო პრემიაზე. ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური გამოცემა ოპერა ნიუსი პუჩინის ჟორდანიასეულ დადგმას ასე აფასებდა: **„ჟორდანიამ ბრწყინვალედ წაიკითხა პუჩინის პარტიტურა... სპექტაკლი უზადოდ იყო მომზადებული და უნაკლოდ ჟღერდა“.**

ვახტანგ ჟორდანიამ არ უარჰყო, რომ თბილისის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ მას არაერთხელ დალაპარაკებიან და თავადაც მზად არის ამ წინადადების მისაღებად. თუ ასე მოხდება, ჟორდანია თეატრში სერიოზული რეფორმების განხორციელებას აპირებს. მენეჯმენტის ახალი, მოქნილი სისტემა, რომელიც მთელ მსოფლიოში მოქმედებს, თბილისის თეატრსაც უფრო მობილურსა და თანამედროვე სტანდარტებისთვის შესაბამისს გახდის: **„ველოსიპედს არ ვიგონებ“,** - აღნიშნავს დირიჟორი, - **„მე არაერთხელ მიმუშავია საოპერო დასთან და ვიცი, როგორ უნდა ვუხელმძღვანელო ამ სისტემას. აქ განსაკუთრებული არაფერია; რაც მთავარია, ეს საკითხი დასმა თვითონ დასვა. ხოლო თუ დასი ხელს შემიწყობს, ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისთვის, რომ ერთ-ორ წელიწადში ევროპისა და ამერიკის თეატრებს გავუწიოთ კონკურენცია“.**

დღეს ოპერის თეატრს უამრავი პრობლემა აქვს - დაწყებული ორკესტრითა და გუნდით, დამთავრებული სოლიტების ახალი კადრებით. ფინანსურ მხარეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამასთან დაკავშირებით ვახტანგ ჟორდანია მხოლოდ სახელმწიფო სახსრების იმედად არ არის: **„ჩვენ ვლაპარაკობთ უნაგირზე იმ ცხენისთვის, რომელიც ჯერ არ არსებობს. თუმცა, გარკვეული იდეა, გეგმა უკვე არსებობს იმისთვის, თუ როგორ უნდა წარვმართოთ თეატრის ცხოვრება. დახმარებას ამ მიმართულებით მოველი სახელმწიფოსგანაც, მაგრამ, ალბათ, უპირველესად - იმ ადამიანებისგან, რომლებიც ახლა საზღვარგარეთ არიან, მაგრამ თუ სულ მცირე პირობას მაინც შევუქმნით, ყველა დაბრუნდება და შეეცდება საკუთარი თეატრის, საკუთარი ქვეყნის დახმარებას“.**

თეატრის ხელმძღვანელად ჟორდანიას კანდიდატურა, განსაკუთრებით, ვარდების რევოლუციისა და სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ წამოტივტივდა. როგორც თეატრის ერთ-ერთი სოლისტი ბესო გაბიტაშვილი აღნიშნავს, ახალ პრეზიდენტს აღებული აქვს კურსი დასავლეთში მოღვაწე პროფესიონალების დასაბრუნებლად. ჟორდანია, ამ მხრივ, ერთ-ერთი პირველია, რომელიც სამშობლოში დაბრუნებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს. **„ვიდრე ჯერ კიდევ შემწევს ძალა და სრული დატვირთვით მუშაობის საშუალება მაქვს, მინდა, ეს ენერგია და გამოცდილება ჩემს სამშობლოს მოვახმარო“, -** აღნიშნავს დირიჟორი, **- „რა არის ამაში გასაკვირი“?!**

საოპერო თეატრის დღევანდელი მმართველები კი ჟორდანიას კანდიდატურას სწორედ მისი უცხოური კონტრაქტების გამო იწუნებენ. მათი თქმით, დიდია საფრთხე, რომ ვახტანგ ჟორდანია მხოლოდ ფორმალურად იქნება თეატრის მმართველი, მაგრამ მუდმივად უცხოეთში მოუწევს ყოფნა. თეატრის მართვას კი ამასობაში სულ სხვა ძალები შეეცდებიან. ამ საფრთხეზე თავად დირიჟორსაც ვესაუბრეთ: **„რა თქმა უნდა, მე არ ვაპირებ, რომ აქ მივატოვო ყველაფერი და საქართველოში გადმოვიდე გამოუსვლელად. დამიჯერეთ, დირიჟორი, რომელიც მსოფლიოში არავის სჭირდება და საკუთარ ქვეყანაში ჯდომის მეტი აღარაფერი დარჩენია, არც თქვენ გჭირდებათ“.**

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის, თუ რა ძალებზე დაყრდნობით აპირებს დირიჟორი თეატრის საკმაოდ რთული ფინანსური და შემოქმედებითი კრიზისიდან გამოყვანას. ევროპასა თუ ამერიკაში ბევრი ქართველი მუსიკოსი მოღვაწეობს, მათ შორის - ისეთებიც, რომელთა სოლისტობას მსოფლიოს ნებისმიერი თეატრი ისურვებდა. ძნელი წარმოსადგენია, რა პირობებით შეიძლება მათი გადმობირება. **„დღეს მსოფლიოს არც ერთ თეატრში აღარ მოქმედებს ისეთი სისტემა, რომ სოლისტი დაბმული იყოს თავის თეატრში. რა თქმა უნდა, არც ერთი უცხოეთში მოღვაწე ჩვენი მუსიკოსი არ დაანებებს ყველაფერს თავს. უბრალოდ, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი მოქნილი სისტემა, რომ მათ აქ თავისუფლად შეეძლოთ წარმართონ კარიერა და საჭიროების შემთხვევაში თავისუფლად იარონ საგასტროლოდ ყველგან. მე ბევრ მუსიკოსთან მაქვს კონტაქტი და ისინი სავსებით მზად არიან ასეთი პირობებისთვის“, -** გვითხრა ვახტანგ ჟორდანიამ.

ქართული კინოს ქილერები

სანდრო ნავერიანი

პროლოგი

რვა აპრილს, რაღაც, გრიპის ბაცილებმა შემომიტიეს და გადავწყვიტე, ლოგინში ჩავწოლილიყავი და გამოვშუშებულიყავი. ჩავწექი. ვერ დავიძინე. წიგნი ავიღე, - წავიკითხავ-მეთქი, - მაგრამ, ვერ ვქენი ეგ საქმე - თვალებმა დამაღალატეს, მელლებოდნენ. არადა, საინტერესო წიგნია - რემარკის "время жить и время умирать"; ერთი თვეა, ვკითხულობ და, დაახლოებით, 125-ე გვერდზე ვარ. მოკლედ, წიგნი ვერ წავიკითხე. მაგნიტოფონი არ მაქვს, რომ მუსიკისთვის მომესმინა. გადავწყვიტე, - ტელევიზორს ვუყურებ-მეთქი. ჩავრთე ჩემი დენიკინის დროინდელი რუბინი და შევგორდი ისევ ლოგინში. იმაზე კი არ მიფიქრია, რომ რუბინს დისტანციური მართვის მოწყობილობა არ გააჩნია. ჰოდა, იმის გამო, რომ სხვა არხზე გადამერთო უნდა წამოვმდგარიყავი, რაც შავი ჭირივით მეზარებოდა, ამიტომაც იმ არხს ვუყურებდი, რაც ავტომატურად ჩაირთო. ეს იყო სახელმწიფო არხი, პირველი არხი. ახლა კი ვნანობ, - რა ჯანდაბამ ჩამართვევინა ტელევიზორი-მეთქი, - მაგრამ, უკვე გვიანია.

წვრილვარსკვლავთა ღამე - აი, ეს სერიალი ჩანდა ჩემი ტელევიზორის ცისფერ, უფრო სწორად, შავ-თეთრ ეკრანზე. ადრე სადღაც მინახავს ამ სერიალის რეკლამა, მაგრამ არასდროს სურვილი არ გამჩენია, მეყურებინა. საერთოდ, სერიალებს არ ვუყურებ - ვერ ვიტან გაწელილ სიუჟეტებს, დინამიკური ფილმები მიყვარს. იმ სერიალსაც სიზარმაცის გამო ვუყურე.

ინტერლუდია

რატომ დავიწყე ამ წერილის წერა?! რატომ და იმიტომ, რომ რაც მე სერიალში ვნახე, სრული არაპროფესიონალიზმის გამოვლინება იყო. მოკლედ აგიხსნით, რა ხდება ამ, ქართულ, ალბათ, მძაფრსიუჟეტიან სერიალში. გმირები არიან, დაახლოებით, ისეთი, როგორიც ნათლიაში - დონ ვიტო, დონ ტომაზინო, დონ ალტობელი და ა.შ.; მაგარი მაფიოზური უჭირავთ და ბლატნოი ტალღაზე არიან. არჩევენ საქმეებს და მილიონობით დოლარს ისე იქნევენ აქეთ-იქეთ, რომ ყურსაც კი არ აბარტყუნებენ. ეს არაფერი, ამ ჟანრის ფილმები დღევანდელ კინოსამყაროში ყველაზე აქტუალურია. იმაზე მინდა, გითხრათ, თუ რა ოსტატობით ასრულებენ მსახიობები თავიანთ პრიმიტიულ როლებს. დონ ვიტოს ინტერპრეტაცია ზის თავის ოფისში და ამ დროს შემოდის მოხდენილი ტანის დონ ალტობელოს ინტერპრეტაცია, რომელიც დონ ვიტოს ინტერპრეტაციას ეუბნება, - ზევიდან მითხრეს, - შენი ადგილი ჩემი გახდაო, - და მერე მიდის ამის გარჩევა; ეძებენ მიზეზს და მაფიოზური ალღოთი მოღალატეებს ავლენენ. ეს ყველაფერი თქვენი თვალით უნდა ნახოთ. ამის აღწერა ძალიან დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მე მაინც შევეცდები, გადმოგცეთ ის გრძნობა, რაც იმ კადრის შემხედვარეს დამეუფლა. პირველი, რაც ვიგრძენი, ეს სირცხვილის, მორიდების გრძნობა იყო. შემრცხვა თუ არა, იმ წამს, ეზოდან მეზობელი ქალის საყვედური მომესმა: ვაი, თქვენს პატრონსო, - ვიღაცას მიაძახა, - მაგრამ, ჩემს სიტუაციაშიც ზუსტად ჩაჯდა. სირცხვილის და მორიდების გრძნობებმა ნელ-ნელა გადამიარა და ბრაზი მომერია. გავბრაზდი, ძალიან გავბრაზდი მსახიობებზე, რეჟისორებზე, მაგრამ აბა, რას ვიზამდი?! - ვერც ვერაფერს.

ქრისტინედან დაწყებული, ლურჯა ცხენებით დამთავრებული, როგორც ყველა ქართულ ფილმში მსახიობების თეატრალური ოსტატობის ნიჭი უფრო ჭარბობდა, ვიდრე კინო მსახიობისა, მაგრამ ეს არ გადადიოდა, როგორც იტყვიან, დაუკრეფავში და ეს არ იყო კატასტროფა. მეტიც, ქართულ ფილმს უხდებოდა და უხდება რეჟისორისა და მსახიობების ასეთი მიდგომა - ეს ფილმს უფრო ტრადიციულს ხდიდა და ქართველი მაყურებლისთვისაც უფრო მისაღები იყო. იმერულ ესკიზებში ოტელოს რომ დადგამენ, ხომ გახსოვთ? უნამუსო ვიყო, თუ იმის რეჟისორს უფრო მეტი სატრაბახო არ ჰქონდეს, ვიდრე - წვრილვარსკვლავთა ღამის.

პროლოგი

არ ვიცი, ვის დავაბრალო ის, რომ, წვრილვარსკვლავთა ღამის სახით, ანტიკინო თუ, გნებავთ, ანტისერიალი ვნახე. მსახიობებს დავაბრალო, მეტყვიან, - რეჟისორი კმაყოფილია და რა გინდაო. რეჟისორს დავაბრალო და მეტყვის, - რა ვქნა, გენაცვალე, მეტი არ შეუძლიათო. მოკლედ, ერთიც და მეორეც თავის მართლებას შეეცდება. ითვლებოდა და ითვლება, რომ ქართული კინოს სიკვდილი უფულობის ბრალია, მაგრამ არ დაიჯეროთ, ხალხო, არ გაბრიყვდეთ. ფული რო იყოს, მსახიობებს და რეჟისორებს ნიჭი მოემატებათ თუ რა?! აქამდე, თურმე, ბრმა ვყოფილვარ და მეგონა, რომ ქართული კინო შევარდნაძემ მოკლა. არადა, სადა ბანაობ, სად იხეხები?! მკვლელები თავად ისინი ყოფილან, ვინც ყვირის, - ქართული კინო მოკლესო.

ბევრი ვინერვიულე, თან სულ კინოს განვითარებაზე ვფიქრობდი. მერე ისეთი ფილმის ყურება მომინდა, რომელზეც ნერვები არ ამეშლებოდა. წამოვდექი და ვათვალიერე არხები (ნეტა ადრე წამოვმდგარიყავი და სხვა არხზე გადამერთო). არსად არაფერი საინტერესო არ იყო. მერე დაღამდა. ვუყურე "ღამის კურიერს". დამთავრდა "ღამის კურიერი" და დაიწყო მხატვრული ფილმი როცა ჰარი შეხვდა სალის. მახსოვს, რამდენიმე დღის წინ მაკა ჯაიანმა, როდესაც ამ ფილმის ანონსი ნახა, როგორი სიხარულით აღნიშნა, - არაჩვეულებრივი ფილმიაო. ჰოდა, მეც ჩავუჯექი, მიუხედავად იმისა, რომ ფილმი რუსთავი 2-ზე გადიოდა და არა მზე-ზე. დავისვენე, მართლა დავისვენე.

P.S. რეჟისორებო და მსახიობებო, და საერთოდ, "კინოშნიკებო", იმედია, იცით, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ რაც არ იცი, არ უნდა აკეთო. მე არ ვიცი ფოლადის დნობა და ამიტომაც არ ვარ ფოლადის მდნობელი. თუ არ იცი, რა არის კინო, მაშინ შეეშვი, ბიძიკო, გეხვეწება ვინმე თუ?

P.P.S. მე არ ვეძებ დამნაშავეს, უბრალოდ, მაინტერესებს, რა ხდება? იმედია, ამაზე ის გამცემს პასუხს, ვინც საჭიროა და არა - კოკა ყანდიაშვილი.

ჭორები, რომლებიც გულს ახარებს

ანა კორძაია-სამადაშვილი

რატომ უნდა ადარდებდეს რიგით თბილისელს მადონას საყვარლების რაოდენობა? სხვა ამბავია, რომ, წესით, ცხოველ ინტერესს არც მეზობლად მცხოვრები დედაკაცის ზნეობრივი სახე უნდა იწვევდეს, მაგრამ სახელგანთქმულ ადამინთა პირადი ცხოვრების შესახებ საუბარი მაინც სხვა სიხარულია. ნეტა, რატომ?

ალბათ, იმიტომ, რომ ნათელი ხდება: ისინი, ვინც ლამის ნახევარღმერთებად არიან აღიარებული, ვისი გარეგნობა თუ სიმდიდრეც ჩვენში აღტაცებას ან დაუფარავ შურს იწვევს, არაფრით არიან ჩვენზე უკეთეს დღეში.

თუნდაც ყოფილი Spice Girl, ვიქტორია ბექჰემი ავიღოთ. უდავოდ ლამაზი ქალია, ფულიც ბევრი აქვს, არც სახელი და დიდება აკლია და მისი ქმარიც მშვენიერი კაცია - მრავალი თვალსაზრისით. მაგრამ აი, გაირკვა, რომ ფეხბურთის ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი თავის მზეთუნახავ ცოლს ღალატობს. რანაირი ხალხია ეს მამაკაცები!

მეტსაც მოგახსენებთ: ის ვიღაც 26 წლის რებეკა ლოსი ერთადერთი ქალი არ ყოფილა, რომელიც ფეხბურთელის საყვარლობას იჩემებს. ბრიტანულ საკვირაო გაზეთში „ნიუს ოფ ზე ვოლდ“ (როგორც ხედავთ, ბრიყვული ჭორები მხოლოდ ქართული საეჭვო გამოცემების რეპორტიორებს არ იზიდავს) კიდევ ორი ქალი იფიცება, რომ ორი შვილის მამა ბექჰემთან ჰქონდა საქმე. 29 წლის სარა მარბეკი მოჰყვა, რომ ბექჰემს ორი წლის განმავლობაში ხვდებოდა და სექსიც არაერთგზის ჰქონია. მათ 2001 წელს, სინგაპურში, წვეულებაზე გაუცნიათ ერთმანეთი და რამდენიმე საათში უკვე სასტუმროს ნომერში აღმოჩენილან.

არც მე და არც მას არ ჩაგვითვლია, რომ ეს ზედაპირული ურთიერთობა იყო, ჰყვება ქალი. ეს მამაკაცი მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული მამა, მეოჯახე და მეუღლეა, და მან ჩემი ცხოვრება შეცვალა. (ხედავ, ასეთი მამები, მეოჯახეები და ქმრებიც კი გარეწრები არიან. ყველა კაცი ერთნაირია, ხარობს უიმედო და გაწბილებული მკითხველი ქალი).

ამ შესანიშნავ მამაკაცს დამაბნეველი SMS-ების წერა სცოდნია. ის საკუთარ თავს პიტერ პენს უწოდებდა, მარბეკს - წკრიალას, თავის ცოლს, ვიქტორიას - ვენდის. მოკლედ, დევიდ ბექჰემს ბავშვად ყოფნა სურდა და ვიქტორია არ აცდიდა, და ბოლო იმედი სარა მარბეკი იყო.

მართალია, ასეთი ბოლო იმედების ნაკლებობას დევიდი არ უჩიოდა - მისმა ყოფილმა თანაშემწემ, რებეკა ლოსმა გაზეთის კორესპონდენტს მოახსენა, რომ დევიდთან კარგა ხნის განმავლობაში იყოფდა სარეცელს. ლოსიც დარწმუნებული იყო, რომ დევიდს უყვარდა: ჩემთვის და დევიდისთვის მთავარი სექსი არ ყოფილა. მეგონა, რომ მისთვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოვადგენდი და ერთადერთი ქალი ვიყავი, რომლის გამოც ასეთი მამაკაცი ცოლს უღალატებდა. ახლა მივხვდი, რომ ვცდებოდი.

ვიქტორია ბექჰემი

ბოროტი ენები კი ჰყვებიან, ლოსმა თავის აღსარებაში 350 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღოო. შესანიშნავი თანხაა! ხვდებით, რა ძვირად ფასობს ჭორი! სკანდალი უკვე მეორე კვირა გრძელდება, ვიქტორია კი ჯერჯერობით ინგლისშია - მაგრამ ხომ ჩამოვა! ხარობს მკითხველი. ბექჰემი მთელ ამ ამბავს სასაცილოს უწოდებს - იცინის ის, ვინც ბოლო იცინის! იმედოვნებს ობივატელი და ოჯახური ჩხუბის შესახებ ინფორმაციის მოლოდინში ფურცლავს ჟურნალებსა და გაზეთებს.

ხომ გეუბნებით - ჭორები ყველაზე დიდი სიხარულია. შემდეგი ჭორი ნებისმიერ შემთხვევაში გაგითბობთ გულს: თუ ნიკოლ კიდმანის თაყვანისმცემელი ბრძანდებით, მისი მჩაგვრელი ქმრის მარცხის ამბავი გეამებათ, თუ პენელოპა კრუსის გულშემატკივარი ხართ, კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ მისი ღირსი არავინაა, თუ ტომ კრუზი მოგწონთ, შეგიძლიათ იოცნებოთ, რომ თავისი ცხოვრების ქალების გარეწრობას მიხვდა და შეიძლება ჭეშმარიტი სიყვარულის ძებნაში თქვენც გამოგიაროთ... ხოლო თუ ავი არსება ბრძანდებით, ძალიან გეამებათ, რომ ამ ცხოვრებაში არავის უმართლებს, მზეთუნახავებსაც კი.

საქმე ისაა, რომ ლამაზი წყვილი - ტომ კრუზი და პენელოპა კრუსი, იანვარში დაცილდა ერთმანეთს, მაგრამ გასულ კვირას, ბერლინში, ისინი კვლავ ერთად იყვნენ. ამ ამბავს „ველთ ამ ზონთაგის“ ჟურნალისტები გადააწყდნენ: პენელოპა და ტომი Bocca di Bacco-ში ისხდნენ, პენელოპა ტიროდა და სულ იმეორებდა; მითხარი, რატომო. ამის თვითმხილველების, ანუ მოცლილი, ჭორიკანა ასულების თქმით, მსახიობი ისტერიკაში არ ჩავარდნილა, მაგრამ დრამატული იერი ჰქონდა, და თან აშკარად ცუდად გამოიყურებოდა, ჩამქრალი იყო. სამაგიეროდ, თვითონ ხომ აყვავდნენ! მართალია, ტომი მას ეხვეოდა, კოცნიდა და დამშვიდებას ლამობდა, მაგრამ ასეთ წვრილმანებს რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ ლამაზი პენელოპა დაუშნოვდა, რომ ლამაზი პენელოპა ტირის, რომ მამაკაცები ლამაზ პენელოპებსაც ტოვებენ. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ყველა ქალი ერთნაირია - ჯერ ნერვებს დაგაგლიჯავს და მერე იძახებს, რატომ, რატომო. მოკლედ, „ველთ ამ ზონტაგმა“ თავის მკითხველს შესანიშნავი, საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა.

ერთ მაგარ ამბავს მეც გეტყვით: გუბერნატორი არნოლდ შვარცნეგერი არა მარტო ეკრანზე, არამედ ცხოვრებაშიც გმირი ყოფილა! სააღდგომო არდადეგებზე კუნძულ მაუის სანაპიროზე გაშოტილმა არნოლდმა წყალში ვიღაც გაჭირვებულს მოჰკრა თვალი. შვარცნეგერის თანამშრომლის თქმით (ცხადია, ცემთვის არაფერი უთქვამს, ნეცცაიტუნგში წავიკითხე), ის იხრჩობოდა. გმირი წამითაც არ დაფიქრებულა, წყალში გადაეშვა და კაცი ხმელეთზე გამოიყვანა. აი, ასე!

დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი მკითხველისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციაა: ამიერიდან ყველას ეცოდინება, რომ მაუიზე დახრჩობა არ დაემუქრება; მთავარია, მაუიზე მოხვდეს და არნოლდიც სადმე სიახლოვეში იყოს წამოგორებული.

ეს ასე დაიწყო

როკ ენ როლი 50 წლისაა

რაც არ უნდა ილაპარაკონ, რომ ოთხმოციანი წლების შემდეგ როკ ენ როლი მოკვდა, ყოველთვის იარსებებს ხალხი, რომელიც დიდებულ სიმღერებს დაწერს და როკ ენ როლს სიამოვნებით მოუსმენს. ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მქონე როკ ენ როლი ცოცხალია, უბრალოდ, სამოციან და სამოცდაათიან წლებში ის საპროტესტო მოძრაობასთან იყო დაკავშირებული და ამიტომ განსაკუთრებით ამაყად ჟღერდა, ახლა კი სოციალური ცვლილებების მაუწყებლის როლი დაკარგა, ესაა და ეს.

ჯინსები და პიკანტური ქვედაბოლოები, პომადა და ცხენის კუდივით შეკრული თმა - 50 წლის წინათ ამერიკაში დაწყებული უჩვეულო რევოლუციის სიმბოლოები სწორედ ასე გამოიყურებოდნენ. ზნეობის სადარაჯოზე მდგომნი როკ ენ როლს მუსიკად ქცეულ სიგიჟეს და არასრულფასოვანთა სახიფათო ეროტიკულ ცდუნებას უწოდებდნენ. ზნეობის სადარაჯოზე მდგომთათვის ეს ამაზრზენი ამბავი იყო. როკ ენ როლმა კი მოზრდილთა შეუზღუდავი დიქტატის დაძლევა შეძლო. როკ ენ როლმა ისიც კი შეძლო, რასაც ვერავინ და ვერაფერი ახერხებდა: რკინის ფარდის მიღმა გასვლა.

სინამდვილეში, ყველაფერი ბევრად უფრო ადრე დაიწყო. ვიდრე 1954 წელს რადიოში Rock Around The Clock დაატრიალეს, როკ ენ როლი სამხრეთის პლანტაციებში და დიდი ქალაქების გეტოებში ჩაისახა. აფროამერიკელთა მუსიკის გარეშე ის ვერ იარსებებდა - დამოუკიდებელი ახალგაზრდული კულტურის შესაქმნელად იმ ჰანგებისა და რითმების გათეთრება მოხდა, რომელთაც მრავალი თეთრკანიანი აგდებულად ზანგურ მუსიკას უწოდებდა.

ითვლება, რომ როკ ენ როლს სამი მამა ჰყავდა, სამი თეთრკანიანი მამაკაცი: ალან ფრიდმა მას სახელი დაარქვა, ბილ ჰელიმ ჰიმნი შექმნა, ელვის პრესლი მისი ხატი იყო.

ალან ფრიდი პირველი თეთრკანიანი რადიო-დიჯეი იყო, რომელმაც ეთერში რითმ ენდ ბლუზი გაუშვა. 1952 წელს მან ბრძანა, რომ ეს მუსიკა როკ ენ როლია, შავკანიანები კი როკ ენ როლს სექსს უწოდებდნენ.

შემდეგ, 1954 წლის 12 აპრილს, ბილ ჰელიმ ჩაწერა თინეიჯერთა ტერორის ჰიმნი, Rock Around The Clock. ეს ყველაზე ხმამაღალი და სასტიკი რამ იყო, რაც ბავშვებს მანამდე გაეგონათ, იხსენებს ფრენკ ზაპა. უცნაურია, როგორ მოახერხა პუტკუნა, მუდამ ცხიმიანი თმით მოარულმა ბილ ჰელიმ ამ სიმღერის დაწერა და ამგვარად ისტორიაში შესვლა. ალბათ, Rock Around The Clock-ის ისტორიული როლი იმ დროს უნდა დავაბრალოთ - უფერული, ულიმღამო ომისშემდგომი პერიოდი იყო, მაშინ დიდ ბრიტანეთში სანოვაგეც კი ულუფებით გაიცემოდა, და, ცხადია, ახალგაზრდებს დიდად არაფრის იმედი არ ჰქონიათ. და უცებ - Rock Around The Clock!

ისტორიული შეხვედრა: სამხედრო სამსახურში მყოფი ელვის პრესლი ფრანკფურტში კონცერტის გასამართად ჩასულ ბილ ჰელის შეხვდა.

OBACCONIST
როლინგ სთოუნზი მუდამ სკანდალებში ეხვეოდა. მიკ ჯაგერი და მისი მეგობარი მერიენ ფეითფული ლონდონის სასამართლოში მიემართებიან იმის ასახსნელად, თუ რატომ ინახავდნენ კანაბისის მარაგს (1969).

ვერავინ იტყვის, რომ ეს ყველა დროის საუკეთესო სიმღერაა. გარდა ამისა, ჰელი ლამაზი ბიჭი არასოდეს ყოფილა. იმ დროს სხვა კარგი მუსიკოსებიც არსებობდნენ, მაგალითად, ლიტლ რიჩარდი, მაგრამ ის შავკანიანი იყო და ხშირად ჩიოდა, თეთრებმა მუსიკა წაგვართვესო (რომ დაუკვირდეთ, მთლად ასეც არ ყოფილა საქმე: აი, როლინგ სტოუნზმა მადი ვოთერსის სიმღერები შეასრულეს, და აშკარაა, რომ მათ მეტი ენერგია ჰქონდათ). ჩაკ ბერიც ჩინებული მუსიკოსი იყო, მაგრამ თამამად შეეძლო, შუა სიმღერის დროს საათზე დაეხედა - გამომუშავებელი დრო ხომ არ დასრულდაო. აბა, ამას ვინ აპატიებდა!

ამიტომ ელვისმა ყველა იოლად დაჩრდილა - უკეთესი მუსიკოსიც იყო და გარეგნულადაც აშკარად ყველას სჯობდა, და როკ ენ როლის 50-ე წლისთავის აღნიშვნისას, პირველ რიგში, ელვის პრესლი გვახსენდება.

სატვირთო მანქანის ნორჩი მძღოლი მთელ დღეებს მემფისის სან სტუდიოში ატარებდა და ქანთრის ათვისებას ლამობდა. ბი ბი კინგის მოყვარული სტუდიის ხელმძღვანელი, სემ ფილიპსი, ოხრავდა: ერთი თეთრკანიანი რომ მაპოვნინა, რომელიც ზანგურ ბგერას გამოსცემს და ზანგური გრძნობით იმღერებს, მილიონერი გავხდებოდი.

ერთხელაც, 1954 წლის 5 ივლისს, ელვისმა შესვენების დროს ძველი ბლუზი, That's All Right, Mama დაამღერა. ფილიპსი უმალვე მიხვდა, რასთან ჰქონდა საქმე. ჩანაწერი მრავალ რადიოარხზე გაისმა, მაგრამ მსმენელი დარწმუნებული იყო, რომ ელვისი შავკანიანია. თეთრკანიანმა რადიო-დიჯეებმა ის მხოლოდ მას შემდეგ შეიტანეს თავიანთ რეპერტუარში, რაც გაირკვა, რომ პრესლი თეთრკანიანი, ლამაზი ბიჭი იყო.

ქალი როკში: ჯენის ჯოპლინის დარად ვერავინ მღეროდა. 1970 წელს ის ნარკომანიის გამო გარდაიცვალა.

ელვისი შემდგომშიც შავკანიანი მუსიკოსების ნაწარმოებებს ამუშავებდა. თავისუფლების ძიებაში მყოფ მოზარდებს მისი ცეკვა და ფეხების მოძრაობები უზომოდ მიმზიდველად მიაჩნდათ. ამ გამყარებულ საფუძველზე უკვე დიდი შავკანიანი როკ ენ როლის შემსრულებლები გამოჩნდნენ - იგივე ჩაკ ბერი თუ ლიტლ რიჩარდი, და როკ ენ როლმა კლასობრივი და რასობრივი საზღვრების გარღვევა შეძლო.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ელვისი დღესაც ცოცხალია - ის ისეთ საფეხურზე დგას, რომ მართლა სულ ერთი გახდა, ფიზიკურად ამქვეყნადაა თუ არა. მასზე კვლავ ლაპარაკობენ, ჭორაობენ, მისი ჩანაწერები იყიდება და ისმინება, ორი წლის წინათ კი მისი ჰიტი საუკეთესოდაც იყო აღიარებული.

მიუხედავად ამისა, ჟურნალ როლინგ სთოუნზის მიერ შედგენილ 50 უკვდავთა სიაში, რომელიც ახლა, საიუბილეოდ გამოქვეყნდა, პირველ ადგილზე ბითლზი დგას. ელვისისგან განსხვავებით, რომელიც აშკარად აგრესიულ სექსს ასხივებდა, ნებისმიერი ბითლის წარმოდგენა საყვარლის როლშიც შეიძლებოდა და ოჯახში შესული, დედიკოსთან მომასლაათე საქმროოს როლშიც.

მაგრამ, რატომ ბითლზი და მერე, მნიშვნელოვნად მერე როლინგსთოუნზი? იმიტომ, რომ ბითლზმა თავის დროზე მსოფლიო შეცვალა, სთოუნზმა - არა. ბრიტანელები ხუმრობენ, ჩვენთან სექსი 1963 წელს აღმოაჩინესო: თურმე, მანამდე რომანი ლედი ჩატერლის საყვარელი აკრძალული იყო, და ბევრს ქირქილებდნენ, როცა პროკურორმა პროცესის დროს კითხვა დასვა: ნუთუ მართლა გინდათ, რომ ჩვენმა ცოლებმა და მსახურებმა ეს წიგნი წაიკითხონ? წარმოიდგინეთ: ამ ფონზე გამოჩნდნენ მომხიბვლელი და სექსუალური ბითლზი.

ისე, ძალიან გამიკვირდა, რომ იმხანად ბითლზთან ერთად მანქისს უსმენდნენ, და თითო საყვარელი ბითლი ან მანქი ყველას ჰყავდა. მეტსაც მოგახსენებთ - თურმე, ერთი ხანა მანქისი უფრო მეტადაც კი მოსწონდათ - უკეთესი სიმღერები აქვთო. უსმენთ მანქისს? არა მგონია. ბითლზი კი გიყვართ. ამაში დარწმუნებული ვარ.

უკვდავნი

როკ ენ როლის ყველა დროის უდიდესი შემსრულებლები

"ბითლზი"
ბობ დილანი
ელვის პრესლი
"როლინგსთოუნზი"
ჩაკ ბერი
ჯიმი ჰენდრიქსი
ჯეიმს ბრაუნი
ლიტლ რიჩარდი
არეტა ფრანკლინი
რეი ჩარლზი
ბობ მარლი
"ბიჩ ბოიზი"
ბადი ჰოლი
"ლედ ზეპელინი"
სტივი ვანდერი
სემ კუკი
მადი ვოტერსი
მერვინ გეი
"ველვეტ ანდერგრაუნდი"
ბო დიდლი
ოტის რედინგი
U2
ბრიუს სპრინგსტინი
ჯერი ლი ლევისი
ფეტს დომინო
The Ramones
"ნირვანა"
პრინცი
"ჰუ"
"კლეში"
ჯონი ქეში
სმოკი რობინსონი
The Everly Brothers
ნილ იანგი
მაიკლ ჯექსონი
მადონა
როი ორბინსონი
ჯონ ლენონი
დევიდ ბოვი
საიმონი და გარფანკელი
"დორსი"
ვან მორისონი
Sly and the Family Stones
Public Enemy
The Byrds
ჯენის ჯოპლინი
პატი სმითი
Run-DMC
ელტონ ჯონი
The Band

როცა ორი ბორბალიც საკმარისია

რომაული არდადეგების მოტო-დამსახურება

თამარ ბაბუაძე

თბილისის უკეთეს შემთხვევაში დაკემსილ, უარეს შემთხვევაში კი ორმოებიან გზატკეცილებს ჯერჯერობით არ აქვთ შანსი მსოფლიო გზატკეცილებზე დაფიქსირებულ მოდურ ტენდენციებს აჰყვნენ. მსოფლიოში კი მოდაში სკუტერები შემოდის. მძიმეწონიან ჰარლის მიჩვეულ გზებზე სულ უფრო ხშირად ჩნდებიან ახალი მოტო-სკუტერები, რამდენიმე მნიშვნელოვანი პლუსით.

რამდენიმე წლის წინ კი სხვა სიტუაცია იყო. მოტოციკლეტებზე დაბალ და პატარა სკუტერებს შეზღუდული სიჩქარე ჰქონდათ და ლარივით გაჭიმულ გზებზე სარბოლად და მაქსიმალური სიამოვნების მისაღებად არ გამოდგებოდნენ. შესაბამისად, სკუტერს მასობრივად არავინ ყიდულობდა.

ტენდენციის შეცვლაზე წელს მოტოციკლეტების ცნობილმა იტალიურმა მწარმოებლებმა ვესპამ და აპრილიამ იზრუნეს. 2004 წლის გაზაფხულიდან მათ გამოუშვეს ვესპა გრანტურიზმო - 200 კუბურ სანტიმეტრიანი ძრავით, რომელიც დამაბინძურებელ ნივთიერებებს მინიმალური რაოდენობით გამოჰყოფს და იგივე ძრავიანი აპრილია ატლანტიკ 200. ორივე სკუტერი ზომითაც უჩვეულოდ დიდია, კომფორტული და ჩქარიც - 80-მდე მილი/საათში. ადგილიდან დასაძვრელად მძღოლს მხოლოდ სპეციალურ ღილაკზე თითის დაჭერა სჭირდება. სკუტერებს აქვთ ჩაფხუტის შესანახი ადგილიც და მათი მართვა ისე იოლია, რომ ამას ნებისმიერი შეძლებს, ვისაც ველოსიპედის ტარება უყვარს.

ასე რომ, საგზაო მოდა იცვლება და ეს, პირველ რიგში, ვესპას დამსახურებაა.

პირველი მოტოსკუტერი კი 1946 წელს იტალიელმა ინჟინერმა კორადინო დ`ასკანიომ გამოიგონა. მას ტოსკანურმა კომპანია პიაჯომ ერთი კონკრეტული დავალება მისცა. დ`ასკანიოს უნდა შეექმნა მარტივი, ყველასთვის ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც ომგადატანილ ქვეყანაში ხალხი ერთბაშად აიტაცებდა.

დ`ასკანიომ მისია შეასრულა, ხოლო როცა კომპანიის პრეზიდენტმა ენრიკო პიაჯომ მისი პროტოტიპი პირველად ნახა, ხმამაღლა შენიშნა, რომ ის ვესპას ჰგავდა - იტალიურად ბზიკს. ასე დაიბადა სავაჭრო ნიშანი, რომელიც სახელგანთქმული მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში იყო. 1996 წელს - ვესპას ორმოცდამეათე იუბილეზე გაყიდვის მაჩვენებლმა 15 მილიონს გადააჭარბა. ვესპას დიზაინი ლიცენზიით მსოფლიოს მასშტაბით მრავალ მწარმოებელს გადაეცა. ვესპა მასკულტურაშიც დამკვიდრდა და ამაში უდიდესი როლი კინემატოგრაფმა ითამაშა.

ახალი „ვესპა“

დ`ასკანიო, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდა, მაგრამ მისი ვესპა კინოს ერთ-ერთი მთავარი გმირი გახდა: იტალიურ და ფრანგულ ახალი ტალღის ფილმებში მეამბოხე ახალგაზრდა ბიჭები ჟიტანს ეწეოდნენ, უცნაური ქუდები ეხურათ, სვიტრები მხრებზე ჰქონდათ შემოხვეული და ერთმანეთს საკუთარი ვესპებით რივიერასა და ბერძნულ კუნძულებზე დასდევდნენ.

შემდეგ უილიამ უაილერმა გადაიღო ბევრისთვის უსაყვარლესი კლასიკა რომაული არდადეგები (1953 წ.) და ამ ფილმმა იგივე გააკეთა ვესპას პოპულარიზაციისთვის, რაც გოლდფინგერმა - ასტონ მარტინისთვის. თუ ასტონ მარტინის საჭესთან ჯდომა ყველა მძღოლში ქვეცნობიერად ჯეიმს ბონდურ ასოციაციებს და განცდებს იწვევს, ვესპას დანახვა ასევე ქვეცნობიერად მუდამ უკავშირდება ოდრი ჰეპბერნთან ერთად რომის ქუჩებში მსრბოლელ გრიგორი პეკს.

იგივე შეიძლება ითქვას ფელინის 1960 წლის კლასიკაზეც: ვესპას გახსენებაზე ბევრს დოლჩე ვიტა და ანიტა ეკბერგი ახსენდება.

ერთი სიტყვით, დ`ასკანიოს პირმშო ისეთი სისწრაფით გახდა პოპულარული, რომ 1950-იან წლებამდე ის 60-მდე ფილმში გადაიღეს. მეტიც, ვესპას დააქროლებდა პუჩინის ბოჰემა გმირი როდოლფოც...

ვესპა პოპულარული იყო ამერიკაშიც. თუმცა, დადგა დრო, როცა ამერიკაში უფრო ჰონდა, იამაჰა და სუძუკი შეიყვარეს, ამავე პერიოდში იტალიურ ვესპას წარმატებით ცვლიდა იგივე პრინციპებით აგებული იაპონური სუროგატი - იამაჰა ვინო. შტატებს იაფფასიანი აზიური სკუტერების შემოსევა ელოდა.

თუმცა, ამერიკულ ბაზარზე ვესპა მეორედ მოვიდა. ეს 2000 წელს მოხდა. იტალიელებმა ჩვეული ეფექტური სარეკლამო კამპანიით სასწაული შეძლეს. მათ საზოგადოება დაარწმუნეს, რომ ჰარლი დევიდსონის მსგავსად ვესპაც ერთგვარი კულტურული კერპი იყო (მხოლოდ გრიგორი პეკისა და ანიტა ეკბერგის გახსენება რად ღირდა). 60-იდან პირველი ბუტიკი კომპანიამ შერმან ოუქსში (კალიფორნია) გახსნა. იქ იყიდებოდა ყველაფერი - ვესპას სავაჭრო ნიშნიანი ხელჩანთები, ტანსაცმელი, სუვენირები. შემდეგ ვესპას კეთილდღეობა ხელში ისეთმა ცნობილმა სავაჭრო ქსელებმა აიღეს, როგორიცაა ნიმან მარკუსი და საქსი მეხუთე ავენიუზე. ვესპაზე თვით ბარბიც კი ამხედრდა. ასე დაიპყრო ამერიკული მასკულტურა იტალიურმა ვესპამ.

რაც შეეხება აპრილიას, წარუმატებლობას არც ის უჩივის. ამ სავაჭრო ნიშანს, ძირითადად, მოტორალებისთვის დამზადებული პროფესიული, სუპერ-მოტოციკლეტებით იცნობენ. თუმცა, ის წელს სკუტერების ბაზარზეც შედის და თან სამი ახალთახალი მოდელით. მეტიც, 2004 წლიდან აპრილია საკუთარ პრადას მსგავს ბუტიკს ფლობს მანჰეტენის სოჰოში.

ასე რომ, მოდაშია სკუტერები, რაზეც სტატისტიკაც მეტყველებს: 1997-2003 წლებში გაყიდვის მაჩვენებლმა 600 პროცენტით აიწია. ხოლო მხოლოდ ამერიკაში 2003 წელს 84 ათასი სკუტერი გაიყიდა.

რაც შეეხება თბილისს, მას ჯერაც ვერ მოუნელებია უცხო ხილი - ბაიკერების ქროლვა, შესაბამისად, ჩვენი ქალაქი ჯერ ვერც სკუტერების ტენდენციას აუბამს მხარს. მით უფრო, რომ საამისოდ არც უკეთეს შემთხვევაში დაკერილი და არც უარეს შემთხვევაში ორმოებიანი, თანაც, მარშუტკებით გაჯერებული გზები გამოდგება....

თუმცა, ჯობს, წერილი აქვე შევწყვიტოთ, თორემ ერთბაშად გაგვახსენდება ის, რომ ჩვენთან ჯერაც არ ჩაუმატებიათ ველოსიპედისტებისთვის ბილიკი ტროტუარსა და გზატკეცილს შორის; ის, რომ ჯერაც სირცხვილად ითვლება მგზავრობისას უსაფრთხოების ქამრის გადაჭერა და მიწისქვეშა გასასვლელებითა და შუქნიშნებით დანიშნულებისამებრ სარგებლობა; ის, რომ გაუმწვანებელ, უსკვერო თბილისში გამონაბოლქვით სასტიკად დაბინძურებული ჰაერია და საერთოდ აღარ ისუნთქება... გაგვახსენდება ეს და კიდევ ბევრი რამ და იტალიური სკუტერების ფასის ნაცვლად, ურბანისტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროების მისამართებით დავინტერესდებით.

კრივი

კლიჩკო დაეცა

კლიჩკომ ბრიუსტერის მუშტიც იგემა და წაგებაც

ბიბა ბურასაშვილი

ვაი, სირცხვილო და თავის მოჭრავ! ალბათ, ეს სიტყვები თუ აღმოხდებოდა ვლადიმირ კლიჩკოს გულშემატკივართა არმიას. უკრაინელმა სუპერმძიმეწონოსანმა კარიერის მესამე მარცხი იწვნია. ვის არ წაუგია, მაგრამ მეტოქეს გააჩნია! ამერიკელი ლეიმონ ბრიუსტერი, რომელიც დიდი ვერაფერი მოჩხუბარია და კრივის სამყაროს მხოლოდ იმით დაამახსოვრა თავი, რომ შედარებით სახელიან მოკრივეებს შერკინებია. ვლადიმირ კლიჩკოს, ამბიციურსა და არცთუ უპერსპექტივოდ მიჩნეულ გიგანტს, მწარე გაკვეთილი ჩაუტარა. გაკვეთილი კი ხუთ რაუნდს მიმდინარეობდა. ხმაური და აყალმაყალი კი მარტო იმიტომ არ ატყდა, რომ კლიჩკო ცემეს, არამედ იმიტომ, რომ უკრაინელისა და ამერიკელის შერკინება სატიტულო გახლდათ - კრივის მსოფლიო ორგანიზაციისა (WBO). ორგანიზაცია კი, მოგეხსენებათ, ერთი წელიწადია, ახალი ჩემპიონის მოლოდინში იყო. იმ ერთი წლის განმავლობაში ყველას ეგონა, რომ ვლადიმირი სამხერთაფრიკელ კორი სანდერსთან შარშან, 8 მარტს, ორ რაუნდში დაკარგულ ტიტულს დაიბრუნებდა, რომლითაც 2000-2003 წლებში თავს იწონებდა, მაგრამ...

შაბათ საღამოს კრივის მექაში, ლას ვეგასში, დიდ შეხლა იყო. სუპერმძიმეწონოსნები, უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო (44-3-0, აქედან 39 ნოკაუტით) და ამერიკელი ლეიმონ ბრიუსტერი (30-2-0, აქედან 27 ნოკაუტით) ვაკანტურად გამოცხადებულ ორგანზიაციის უმთავრეს ტიტულს ეცილებოდნენ ერთმანეთს. მეხუთე რაუნდში ამერიკელმა ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა. ისევე როგორც კორი სანდერსმა, რომელმაც, როგორც უკვე ვთქვით, უკრაინელს შარშან ტიტული აართვა, ბრიუსტერმაც სწრაფად დაიწყო ჩხუბი. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ბრიუსტერს უნდოდა, უცებ მოეთავებინა საქმე. ალბათ, იმიტომ რომ მარათონულ ორთაბრძოლაში წარმატების იმედი არ ჰქონდა. ამერიკელის ჯიქურ შეტევის მიუხედავად, უკრაინელმა ძლიერი ჯებით უპასუხა და დროდადრო ოსტატურად სთავაზობდა ჰუკებს. სიტუაცია მესამე რაუნდში დაიძაბა. ბრიუსტერმა მარცხნიდან შეუტია კლიჩკოს და საკმაოდ შეაჯანჯღარა კიდეც, მაგრამ ვიდრე გონგს მესამე რაუნდის დასასრულის მაუწყებლად შემოჰკრავდნენ, კლიჩკომ ამერიკელისგან მიღებული მუშტები, თითქოს ერთად აკინძული, მეტოქეს ხურდასავით დაუბრუნა. მეოთხე რაუნდში კლიჩკო უკვე საკუთარ თავს დაემსგავსა. ამერიკელს მარჯვნიდან შეუტია, თანაც, ისე, რომ ტიტულის მოცილე რინგზე გაშხლართა. ამის შემდეგ ბრიუსტერს დიდი ჯაფა დაადგა, რომ როგორმე გონგის ხმამდე მიეტანა თავი. მეოთხე რაუნდის შემდეგ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ კლიჩკოს გამარჯვება, გადამწიფებული თუ არა, მომწიფებული მაინც იყო, მაგრამ... ამგვარი უპირატესობის მიუხედავად, მეხუთე რაუნდში ორმეტრიანი უკრაინელი ბრიუსტერის მოულოდნელ თავდასხმას იგემებს. ამერიკელის გაშმაგება რაუნდის მიწურულს ხდება თვალშისაცემი - გააფთრებული, ძალების სრული მობილიზაციით უტევს უკრაინელს და სამჯერ ძლიერადაც უთავაზებს. იმ სამი დარტყმიდან უკანასკნელი საბედისწერო გამოდგა უკრაინელისთვის. ბრიუსტერის მესამე დარტყმამ კლიჩკო ბაგირებზე გადაკიდა. რეფერი რობერტ ბერდი მიხვდა, რომ უკრაინელს თვალზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული, წონასწორობას ვერ ინარჩუნებდა და დათვლა დაიწყო: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი. ვლადიმირმა თვალებში გამოიხედა. რეფერიმ ბრძოლის განახლება ბრძანა. მეხუთე რაუნდის ბოლომდე 29 წამი-ლა რჩებოდა. უკრაინელს ზუსტად ამდენი სჭირდებოდა იმისთვის, რომ სულის მოსათქმელად საკუთარი კუთხისკენ გაეწია. აშკარად ჩანდა: კლიჩკო გაძლებაზე იყო, წონასწორობის შენარჩუნება უჭირდა, საკმარისი იყო ერთი დარტყმა და უკრაინელი ძირს გაიშხლართებოდა. რის ვაი-ვაგლახით გონგის ხმამდე მიატანა, მაგრამ... ის იყო, გონგს შემოჰკრეს, რომ კლიჩკო რინგზე დაეცა. უკრაინელმა საკუთარ კუთხეს მხოლოდ მსაჯის დახმარებით მიაღწია. მერე კი... მერე რეფერიმ ბრძოლის შეწყვეტის განკარგულება გასცა. რობერტ ბერდი იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო - უკრაინელი ტექნიკური ნოკაუტით დამარცხებულად გამოეცხადებინა, რადგან აშკარა იყო, ვლადიმირს ბრძოლის გაგრძელება აღარ შეეძლო.

მალე ლეიმონ ბრიუსტერს ორგანიზაციის უმთავრესი საჩემპიონო სარტყელი გადასცეს და უპატრონოდ დარჩენილ კრივის მსოფლიო ორგანიზაციას მისი სახით ახალი მმართველი მოევლინა. ახლა საინტერესოა, რამდენ ხანს გასტანს ბრიუსტერის ზეობა ორგანიზაციის საჩემპიონო ტახტრევანზე. მით უმეტეს, რომ კლიჩკოს უკვე რევანში სწყურია. და კიდევ: ამბობენ, ვლადიმირის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი გულთან დაკავშირებული პრობლემააო. კლიჩკოს შემხედვარე მატჩის რეფერიმ თქვა: "მას არ შეეძლო, ჩემს კითხვებზე ეპასუხა. ადრე არასდროს შევჯახებივარ ასეთ სიტუაციას".

TV-სპორტი

სამშაბათი. 13 აპრილი

НТВ+ ФУТБОЛ

08:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
09:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ჯორჯ გერვინი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა - ჩელსი
15:40 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:40 თავისუფალი დარტყმა
16:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:50 უკრაინის ჩემპიონატი. შახტიორი - დინამო
19:35 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:35 თავისუფალი დარტყმა
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
21:25 ევროფანკლუბი
21:55 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:25 თავისუფალი დარტყმა
23:40 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:35 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი - ლაციო
02:20 02:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დღიური
04:30 NBA TV. "TORONTO RAPTORS" - "DETROIT PISTONS". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ-ПЛЮС СПОРТ

11:00, 14:00, 17:05, 19:50, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 ოლიმპის შვილები
11:20, 14:15 ფორმულის ჰარმონია
11:35 ორშაბათამდე მივატანთ
12:05 ყველაზე ძლიერი ადამიანი ზამბიაში. ქალთა ასპარეზობები
13:00 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. რუსეთის ჩემპიონატი. დღე მეორე
14:30 რკინის ფაქტორი. ტელეჟურნალი
15:05 კარატე. რუსეთის თასი მოსკოვში. დღე მეორე
16:35 სპორტული გლობუსი. Trans World Sport წარმოგიდგენთ
17:20 ჩოგბურთი. დევისის თასი. მეორე წრე. ბელორუსია - არგენტინა. გადამწყვეტი მატჩი
20:05 ბოულინგი. PBA Tour მედფორდში. აშშ
21:00 ვარსკვლავური სამშაბათი
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ჩოგბურთი. დევისის თასი. მეორე წრის მატჩების მიმოხილვა
23:25 ფიგურული სრიალი. კურტ ბრაუნინგის შოუ
00:20 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship". შესვენებისას (01:15) - ახალი ამბები
01:50 ბოულინგი. PBA Tour მედფორდში. აშშ
02:40 02:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
05:00 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. "ST.LOUIS BLUES" - "SAN JOSE SHARKS". მე-4 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT

11:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი იტალიაში
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა - საუკეთესო
14:00 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
15:30 ფეხბურთი. ევროგოლები
16:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის საათი
17:30 კრივი. ევროპის ჩემპიონატი შვეიცარიაში
19:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ისტორიიდან
20:00 ფეხბურთი. ევროგოლები
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
22:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის საათი
23:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
00:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება იტალიაში
01:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
02:30 მულტისპორტი
03:00 ახალი ამბები
03:15 ფეხბურთი. ევრო-2004-ის ჩემპიონთა ახალი თაობა
03:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ისტორიიდან
04:15 ახალი ამბები

ჩოგბურთი

ჩოგბურთი აქეთ, ჩოგბურთი იქით

სანდრო ნავერიანი

რაღაც ხდება ჩვენს თავს. რაღაც ვერ არის საქმე კარგად. აჟურში ვერ არის ყველაფერი. ყველაფერი კი არა, არაფერიც არ არის აჟურში. ქართველმა ჩოგბურთელებმა იტალიური ტურნე დაამთავრეს. ჩვენდა სამწუხაროდ, მათი იტალიური ვოიაჟი წარუმატებელი აღმოჩნდა.

დევისის თასის ევროპა-აფრიკის ზონის მეორე ჯგუფში ყველა შეხვედრა დამთავრდა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების გამოსვლა იყო. ქართველები იტალიელებთან დამარცხდნენ. დაპირისპირება 9 აპრილს დაიწყო და 11 აპრილს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ უკანასკნელი და გადამწყვეტი მატჩი, რომელიც ჩიხლაძესა და სეპის შორის უნდა გამართულიყო, ოთხი გეიმის შემდეგ შეწყდა. მიზეზი ძლიერი წვიმა იყო. მატჩი 12 აპრილისთვის გადაიტანეს. ჩიხლაძემ სამ სეტში 6:2, 6:4, 6:4 დათმო შეხვედრა. ქართველებმა ხუთი მატჩიდან ორი მოიგეს და ორივე ირაკლი ლაბაძის ანგარიშზეა. ასეა თუ ისე, ქართველებმა წააგეს და დევისის თასის პირველ ჯგუფში გადასვლა მომავალი წლისთვის გადაიდო. ახლა მთავარია, მესამე ჯგუფში არ გადავიდეთ. რაც შეეხება დანარჩენ შეხვედრებს, ბულგარეთის ნაკრებმა ეგვიპტის ეროვნულ გუნდს ხუთივე შეხვედრა მოუგო, პოლონელებმა სლოვენიელებს სძლიეს - ხუთი შეხვედრიდან სამი მოიგეს, პორტუგალიის ეროვნულმა გუნდმა ტუნისელები დაამარცხა - 3:2, სერბია მონტენეგრომ ლატვიის ნაკრებს სძლია - 4:0, უნგრეთმა ირლანდიის ეროვნული გუნდი დაამარცხა - 4:1, ნორვეგიამ უკრაინას მოუგო - 3:2.

ირაკლი ლაბაძის გამარჯვებებმა საქართველოს ნაკრები ვერ გადაარჩინა

დევისის თასის უმაღლეს ლიგაშიც დამთავრდა ყველა მეოთხედფინალი. ყველაზე დიდი სენსაცია ბელორუსის ეროვნულმა გუნდმა მოახდინა. მათ ფავორიტად არავინ თვლიდა, მაგრამ ბელორუსებმა შეძლეს და არგენტინის უძლეველი გუნდი დაამარცხეს. მართალია, არგენტინელებს არ ჰყოლიათ არც ნალბანდიანი, არც კორია, მაგრამ ასე სამარცხვინოდ წაგებას მათგან არავინ ელოდა. ჯუან მონაკო, ლუკას არნოლდი, გილიერმო კანა და ავგუსტინ კალერი - აი, ეს არის არგენტინის ნაკრები, რომელიც ბელორუსის ნაკრებმა გაანადგურა (5:0). ვოლჩკოვმა და მირნიმ, შეიძლება ითქვას, მარტომ მოუგეს არგენტინის გუნდს. პირველი შეხვედრა ვლადიმირ ვოლჩკოვმა და ავგუსტინ კალერიმ ითამაშეს. ბელორუსმა ჩოგბურთელმა სამ სეტში მოაგვარა საქმე არგენტინელ ჩოგბურთელთან, რის შემდეგაც არგენტინულმა პრესამ განაცხადა, რომ კალერის პოსტსაბჭოური ქვეყნების ჩოგბურთელებთან თამაში ძალიან უჭირს. ალბათ, იმიტომ, რომ კალერიმ ინდიან ველსის ტურნირზე ლაბაძესთან წააგო. შემდეგი შეხვედრა მირნისა და გილიერმო კანას შორის გაიმართა. მირნიმ სამ სეტში, ერთნაირი ანგარიშით (6:2, 6:2, 6:2) დაამარცხა არგენტინელი. მესამე შეხვედრა კი წყვილთა თანრიგში გაიმართა, ავგუსტინ კალერი და ლუკას არნოლდი მახ მირნისა და ვლადიმერ ვოლჩკოვს დაუპირისპირდნენ. არგენტინელები ამ შეხვედრას მეტი სერიოზულობით უნდა მოკიდებოდნენ, მაგრამ არც ერთმა სერიოზულობა არ გამოამჟღავნა, რის გამოც დაისაჯნენ კიდეც. ბელორუსებმა კვლავ სამ სეტში გაიმარჯვეს და დარჩენილ ორ შეხვედრას ყველანაირი აზრი დააკარგვინეს. დარჩენილი ორი მატჩი ბელორუსის მხრიდან ისევ მირნიმ და ვოლჩკოვმა ჩაატარეს, არგენტინელებმა კი მათ ხუან მონაკო და ლუკას არნოლდი დაუპირისპირეს, მაგრამ მათ ვერაფერი გააწყეს და თავიანთი შეხვედრები დათმეს.

დიდ ინტერესს იწვევდა შვეიცარია-საფრანგეთის დაპირისპირება. საფრანგეთის ნაკრების ლიდერმა, სებასტიან გროსჟანმა ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშა შვეიცარიელებთან, მაგრამ ფრანგებმა მაინც დაამარცხეს მეტოქე. შვეიცარიელთა ანგარიშზე ორი მოგებაა. ორივე მატჩი როჟე ფედერერმა მოიგო (ნიკოლა ესკუდეს და არნო კლემანს სძლია). დანარჩენი სამი შეხვედრა ფრანგების გამარჯვებით დასრულდა. არნო კლემანმა და ნიკოლა ესკუდემ, შესაბამისად, ივო ჰოიბერგერი და მიშელ კრატოშვილი დაამარცხეს, ხოლო წყვილთა თანრიგში ივ ალეგრო და როჟე ფედერერი მიშელ ლოდრამ და ნიკოლა ესკუდემ დაამარცხეს. როგორც სპეციალისტები ამბობდნენ, - ნახევარფინალში შვეიცარიელები გავლენო, - არ გამართლდა. ნახევარფინალში ფრანგები გავიდნენ.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ აშშ-შვედეთის დაპირისპირებაში ამერიკელები გაიმარჯვებდნენ, მაგრამ არავის ეგონა, თუ შვედები ასე იოლად დათმობდნენ. შვედებმა, კერძოდ, იონას ბიორკმანმა პირველი შეხვედრა მოიგო და თავისი ნაკრები 1:0 დააწინაურა, მაგრამ ამის შემდეგ ვერც ერთმა შვედმა ხეირიანი ვერაფერი გააკეთა. ამერიკელებმა დარჩენილი ოთხივე შეხვედრა მოიგეს. ენდი როდიკმა ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივე მოიგო. ჯერ ტომას ენკვისტი გაანადგურა სამ სეტში, ხოლო შემდეგ - ტომას იოჰანსონი (ასევე სამ სეტში). ძმებმა ბრაიანებმა ბიორკმან-იოჰანსონის წყვილი დაამარცხეს სამ სეტში. ერთი შეხვედრა მარდი ფიშმაც მოიგო. მან ტომას იოჰანსონი დაამარცხა, თუმცა, ამ შეხვედრას არანაირი აზრი აღარ ჰქონდა.

ესპანეთისა და ჰოლანდიის დაპირისპირებაც ისევე დამთავრდა, როგორც აშშ-შვედეთის. ესპანელებმა 4:1 დაამარცხეს ჰოლანდიელები. ერთადერთი შეხვედრა, რომელიც ესპანელებმა დათმეს, ეს იყო წყვილებში. რაფაელ ნადალმა და ტომი რობრედომ იონ ვან ლოტუმ-მარტინ ვერკერკის წყვილთან განიცადეს მარცხი. არადა, პირველი ორი სეტი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს, დარჩენილ სამ სეტში კი სამარცხვინოდ ითამაშეს და დამარცხდნენ კიდეც. მაგრამ ხუან კარლოს ფერერო რისი ხუან კარლოს ფერერო იქნებოდა, რომ სტატუს-კვო არ აღედგინა?! მან მარტინ ვერკერკი დაამარცხა და მეხუთე შეხვედრას ყველანაირი აზრი დააკარგვინა. ასე რომ, მეოთხედფინალში აშშ-ს, ესპანეთის, საფრანგეთისა და ბელორუსის გუნდები გავიდნენ.

ფეხბურთი

შეურაცხყოფილი ღირსება

ნინო პირველი

ლონდონის არსენალი ის გუნდია, რომელიც ყოველი სეზონის წინ ჩემპიონთა ლიგის ფარულ ფავორიტად ითვლება, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერლიგაში შესანიშნავად ასპარეზობს, ევროსარბიელზე ვერასოდეს აღწევს დიდ წარმატებებს. კარგა ხანია, მეთოფეთა ფანები ამაოდ ელოდებიან არსენალის ტრიუმფალურ გამარჯვებებს ჩემპიონთა ლიგაში. არსენ ვენგერი ყოველ წელიწადს ჰპირდება გულშემატკივრებს, სეზონის ბოლოს ლიგის თასი ჩვენი გახდებაო, მაგრამ შემდეგ მოვლენები ისე უცნაურად ვითარდება, რომ არსენალის საჩემპიონო ამბიციებისგან აღარაფერი რჩება. ლონდონელებს მუდამ გადამწყვეტ მომენტში ღალატობს ძალა და სწორედ მაშინ გაინცდიან ალოგიკურ მარცხს, როცა მათი წაბორძიკება ყველაზე ნაკლებადაა მოსალოდნელი.

ეს უსიამოვნო ტრადიცია არც მიმდინარე სეზონში დარღვეულა. არსენალი, რომელმაც ინგლისის ჩემპიონატში ყველა მატჩი მოუგო თანაქალაქელ ჩელსის, ჩემპიონთა ლიგას მეოთხედფინალში დაემშვიდობა. როგორც ყოველთვის, მეთოფეებს არც ახლა გაუღიმა ბედმა. გახარებული კლაუდიო რანიერი ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ალაპარაკდა, დამწუხრებულმა არსენ ვენგერმა კი ისევ პრემიერლიგაზე გადაიტანა მთელი ყურადღება. ჩელსისთან წაგების შემდეგ არსენალმა ჯერ ლივერპულს მოუგო, შემდეგ ნიუკასლთან დაასრულა მატჩი ფრედ და რაკი ჩელსიმ ვერაფრით ვერ შეძლო მიდლსბროს დამარცხება, მტკიცედ დამკვიდრდა პირველ ადგილზე. ახლა უკვე ეჭვი აღარავის ეპარება, რომ არსენალი ამ სეზონშიც უპრობლემოდ გახდება ინგლისის ჩემპიონი.

კლაუდიო რანიერი ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ალაპარაკდა

კლაუდიო რანიერიმ უკვე მიულოცა გაჩემპიონება არსენ ვენგერს: არსენალი მტკიცე და ძლიერი გუნდია. მათ შესანიშნავად ითამაშეს და დაიმსახურეს პრემიერლიგის მოგება. შესანიშნავი ნამუშევარია, - შეაქო მეტოქე იტალიელმა. ჩელსის არავინ მიართვა სააღდგომო საჩუქარი. მიდლსბრომ არაფერი დაუთმო ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტებს და ამ სეზონში ორი ტიტულის მოგების იმედი საბოლოოდ დაუკარგა. რანიერი მაინცდამაინც არ ნერვიულობს ამის გამო. ჩემპიონთა ლიგაში ისეთი არაჩვეულებრივი სიტუაციაა შექმნილი ყველა ფავორიტის გამოვარდნის შემდეგ, რომ ჩელსის, წესით და რიგით, არ უნდა გაუჭირდეს ფინალში გასვლა და თასის აღება. აღარც რეალი, აღარც მილანი, მანჩესტერი ან იუვენტუსი... მათ ნაცვლად მონაკო, პორტუ და დეპორტივო. აბა, რატომ არ უნდა იოცნებოს ასეთ დროს რანიერიმ ლიგის მოგებაზე?

სანამ ჩელსი თასის აღების იმედით სულდგმულობს, არსენალი დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ცდილობს და მომავალ სეზონში ტრიუმფით დაბრუნებას აპირებს. არავისთვის არ არის საიდუმლოება, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მეთოფეების კრახის მთავარი მიზეზი ჩელსთან ცუდი თამაში გახდა. იენს ლემანის მიერ დაშვებული ფატალური შეცდომები რომ არა, იქნებ ჩელსის ვერც კი გაეტანა გოლები. ლემანმა ორივე მატჩში ერთსა და იმავე პუნქტში შეცდომა - სტემფორდ ბრიჯზეც და ჰაიბერიზეც ბურთი ცხვირწინ მოიგდო და ჩელსის ფეხბურთელებს შესანიშნავი საგოლე მომენტი, რომელთაგან უარი არ თქვეს ამ საჩუქრებზე. არსენ ვენგერი ისე გააბრაზა ლემანის შეცდომებმა, რომ ახალი მეკარის შეძენაზე ალაპარაკდა: თუ მომავალ წელს მაინც ვერ გავიმარჯვებთ ლიგის მოგება, მაშინ ჩვენს კარს ნამდვილი პროფესიონალი უნდა იცავდეს, - განუცხადა ინგლისურ სანს მეთოფეეთა ფრანგმა ხელმძღვანელმა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ვენგერი უკმაყოფილოა ლემანის თამაშით და გერმანელის გაშვებას აპირებს? ეს სასიკვდილო დარტყმა იქნებოდა პატივმოყვარე იენს ლემანისთვის, რომელიც ისე იყო გაამაყებული თავისი წარმატებებით, რომ გერმანიის ნაკრების თავკაცს, რუდი ფიოლერს პრეტენზიებს უყენებდა, ყოველთვის ოლივერ კანი რატომ არის ეროვნული გუნდის პირველი მეკარე, მეც ვიმსახურებ ნაკრებში სტაბილურად თამაშსო. ლემანმა კანზე ეს შეტევა მაშინ განახორციელა, როცა ბაიერნს უმნიშვნელოვანესი მატჩი ჰქონდა ჩასატარებელი მადრიდის რეალთან. გაღიზიანებულმა კანმა ეს ყველაფერი ვერ გადახარშა და მადრიდელებთან მატჩში ისეთი სულელური შეცდომა დაუშვა, რომ მთელი ევროპა გაოგნებული დატოვა. ახლა მსგავსი შეცდომებს უკვე ლემანი უშვებს და თავს არსენ ვენგერის რისხვა ატყდება. ოლივერ კანს ისეთი დიდი ავტორიტეტი აქვს ბაიერნში, რომ მას ხელს ვერავინ ახლებს, თუმცა ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა მხოლოდ მისი ბრალი იყო. აი, არსენალში ერთი წლის წინ გადასულ ლემანს კი ნამდვილად არავინ აპატიებს გუნდის ფიასკოს. როგორც სანი იუწყება, არსენალი უკვე დაუკავშირდა საუთჰემპტონის ფინელ მეკარეს, ანტი ნიემის და ლონდონში გადასვლა შესთავაზა. არსენალის ხელმძღვანელობა მზადაა, საუთჰემპტონს 7,5 მილიონი ევრო გადაუხადოს ფინეთის ეროვნული ნაკრების პირველი მეკარის კონტრაქტის გამოსასყიდად. რა ელის ლემანს, რომელსაც 2006 წლამდე აქვს ხელშეკრულება მეთოფეებთან? ინგლისელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ გერმანელ მეკარეს მძაფრი კონკურენციის პირობებში მოუწევს ბრძოლა ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად. ერთი რამ ცხადია: იენს ლემანს უკვე ძალიან გაუჭირდება, ეროვნულ ნაკრებში ოლივერ კანს ადგილი წაართვას.

„საოჯახო ლოტო"-ს 10 აპრილის №54
გათამაშების ცხრილი

ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა	ბილეთის N	მოგებული თანხა
000002	1,5	003045	1,5	006525	2,0	009496	6,0	012646	2,5	015705	2,0	018490	3,5	022180	5,0	025938	1,0	028737	2,0	031527	1,5	034225	9,0	037530	4,0	040080	1,0	043721	3,5	046820	1,5
000012	2,5	003046	2,5	006575	1,0	009540	1,0	012690	1,5	015707	4,5	018530	1,5	022183	1,5	025957	1,5	028742	5,0	031537	1,0	034234	2,0	037549	9,0	040082	1,5	043723	1,5	046835	1,5
000023	1,5	003057	12,5	006594	3,5	009560	1,5	012716	1,5	015732	2,5	018536	2,0	022186	1,5	025996	1,0	028784	1,5	031552	3,0	034255	5,0	037561	2,0	040085	1,0	043735	1,0	046841	1,5
000028	2,0	003061	1,5	006604	4,0	009564	2,0	012758	1,5	015746	4,5	018546	2,5	022209	1,5	026001	2,0	028807	2,5	031562	3,0	034261	1,5	037570	1,5	040090	8,0	043758	4,5	046858	2,0
000066	1,5	003064	2,0	006614	4,5	009585	1,0	012774	1,5	015750	3,0	018710	2,5	022211	4,5	026005	1,5	028831	1,5	031580	1,5	034281	1,5	037573	1,5	040118	1,0	043764	2,0	046860	1,0
000073	2,5	003065	2,5	006634	3,5	009615	4,0	012777	1,0	015765	2,0	018732	1,5	022226	1,5	026009	1,5	028858	1,5	031621	7,0	034339	1,5	037578	1,5	040121	1,5	043851	1,5	046880	1,0
000085	7,0	003108	1,5	006661	5,0	009632	1,5	012805	2,5	015768	2,0	018754	1,5	022242	1,0	026028	1,0	028859	3,0	031625	1,0	034352	2,0	037591	2,0	040127	1,5	043852	1,0	046923	3,5
000095	7,0	003130	1,0	006669	2,0	009642	2,0	012830	1,5	015770	2,5	018780	3,0	022257	1,5	026032	2,0	028861	2,0	031633	2,0	034356	1,5	037634	1,5	040179	2,0	043873	1,5	046944	1,5
000103	3,5	003159	1,5	006670	3,0	009643	1,5	012863	2,0	015778	1,5	018784	2,0	022274	1,0	026034	3,5	028865	2,0	031661	1,0	034359	3,5	037639	3,0	040189	1,5	043874	1,5	046961	4,0
000134	1,5	003163	1,5	006679	4,5	009678	1,5	012878	8,0	015791	1,5	018828	2,0	022280	8,0	026038	1,0	028877	1,0	031674	1,0	034366	7,0	037676	2,0	040212	1,0	043930	2,5	046972	1,5
000149	1,5	003195	1,5	006680	2,5	009690	2,5	012888	2,0	015825	30,0	018839	1,5	022283	1,5	026041	1,0	028974	4,5	031689	4,0	034370	4,5	037679	2,5	040234	1,0	043951	1,0	046980	1,5
000198	2,0	003204	1,0	006686	1,0	010201	3,5	012921	8,0	015830	2,5	018867	2,0	022303	1,0	026046	2,0	028976	1,5	031701	1,5	034371	1,5	037703	1,5	040240	2,5	043953	2,0	046981	1,0
000212	2,5	003218	2,0	006711	1,5	010236	6,0	012943	1,5	015844	1,5	018873	1,5	022306	1,0	026053	4,0	029102	5,0	031707	2,0	034428	1,0	037710	1,5	040247	1,0	044005	2,0	046983	2,5
000239	1,0	003229	3,0	006715	1,0	010253	4,5	012953	1,5	015886	1,5	018882	1,5	022362	3,0	026057	2,0	029131	3,0	031725	1,0	034443	3,5	037713	1,0	040259	5,0	044031	4,5	047033	1,5
000278	1,5	003279	1,5	006722	3,5	010282	4,5	012967	2,0	015892	1,5	018921	3,0	022378	1,0	026113	1,5	029135	1,5	031737	1,0	034495	2,0	037723	1,5	040261	2,0	044043	3,5	047038	1,5
000283	1,0	003297	1,5	006728	1,0	010295	1,0	012974	4,0	015900	3,0	018938	2,0	022382	1,0	026174	3,0	029145	3,5	031738	1,5	034498	1,5	037758	1,5	040266	3,5	044051	2,5	047042	3,0
000294	3,0	003348	2,0	006734	4,0	010324	1,5	013004	1,5	015925	1,5	018941	1,5	022396	1,5	026191	1,5	029146	1,5	031746	1,5	034513	3,5	037764	3,5	040305	4,0	044065	1,5	047053	1,0
000302	2,0	003384	1,0	006735	2,5	010326	1,0	013012	2,5	015932	4,5	018963	1,5	022417	1,0	026195	1,0	029156	3,5	031757	2,0	034515	4,0	037774	8,0	040332	1,5	044070	1,5	047071	1,5
000304	2,0	003398	3,5	006779	1,5	010340	4,5	013020	2,5	015952	1,0	018977	9,0	022434	1,5	026210	8,0	029157	1,5	031774	1,0	034611	1,5	037782	1,5	040350	4,0	044081	2,5	047133	2,0
000318	1,5	003399	2,0	006824	1,0	010363	1,5	013034	2,0	015967	1,0	018978	1,0	022459	3,5	026226	4,0	029173	2,0	031809	2,0	034631	5,0	037784	10,0	040363	3,5	044169	1,5	047150	4,5
000328	9,0	003403	1,0	006856	1,0	010364	2,0	013044	4,0	015968	3,5	018982	1,5	022477	1,5	026252	2,0	029179	4,5	031832	1,5	034655	2,0	037793	1,5	040369	1,0	044196	1,5	047170	1,5
000335	1,0	003416	1,5	006873	1,5	010374	2,0	013075	1,5	015997	4,5	019019	2,5	022487	3,5	026306	2,0	029210	1,5	031856	4,5	034664	1,0	037802	9,0	040373	1,5	044205	1,5	047179	1,0
000338	1,5	003442	2,0	006909	2,5	010380	4,5	013083	2,0	016011	1,5	019027	2,0	022498	1,5	026315	6,0	029213	1,5	031866	2,5	034675	2,5	037838	2,5	040938	1,5	044221	1,5	047208	2,0
000375	1,5	003454	5,0	006910	2,5	010393	2,0	013103	1,5	016036	2,5	019028	1,5	022505	2,0	026323	2,0	029226	1,0	031901	3,0	034713	1,5	037844	1,5	040939	1,0	044235	1,5	047225	1,5
